ვაჟა კაკაბაძე

საგარეო ვაჭრობის განვითარების ისტორია და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური ასპექტები

ნაშრომი არის პირველი მცდელობა, გაუწიოს სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს მნიშვნელოვანი დახმარება საქართველოსა და მსოფლიო საგარეო ვაჭრობის განვითარების შესწავლაში, რაც უდაოდ მისასალმებელია.

თბილისის საავტორო საგანმანათლებლო კომპლექს ბალავარის დირექტორი
ლ. ბერძენიშვილი

თბილისი 2001 წელი

წარმოდგენილ ნაშრომში აღწერილია ძველი და თანამედროვე მსოფლოს საგარეო ვაჭრობის განვითარების მიმართულებები და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური ასპექტები.

წიგნი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სკოლის მოსწავლეებს, სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, დიპლომატებს.

რედაქტორი: ნანა მაისურაძე

მხატვარი: მარიამ კაკაბაძე

რეცენზენტები: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი – იოსებ არჩვაძე.

აკდ. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი – ბესიკ ლორთქიფანიძე.

თბილისის საავტორო საგანმანათლებლო კომპლექს ბალავარის დირექტორი – ლალი ბერძენიშვილი.

თბილისის საავტორო საგანმანათლებლო კომპლექს ბალავარის სამეცნიერო-პრაქტიკული ლაბორატორიის გამგე – ირინა ზედგენიძე

გამომცემლობა თბილისი 2001 წელი

წინათქმა

ქართველი თავისი ბუნებით შორს
დგას ვაჭრობიდან, ივი უფრო შემოქმედია,
მაგრამ ამჟამად როცა ჩვენი ქვეყნის
კეთილდღეობა ძირითადად დამოკიდებულია
ვაჭრობაზე. ჩვენც იძულებულები გავხდით
ამ სფეროში გამოგვეჩინა მარიფათი.

—

5 [საგარეო ვაჭრობა ერთ-ერთ ურთულეს სფეროდაა მიჩნეული, რომელიც მჭიდროდაა მდაკავშირებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან და სწორედ ამიტომაა, რომ ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფო ძალისხმევას არ იშურებს ხელსაყრელი პირობები შეიქმნას საგარეო ვაჭრობაში.]

საგარეო ვაჭრობა ადამიანთა ურთიერთობის უძველესი სფეროა, მაგრამ, როგორც აკადემიური დისციპლინა, საქართველოში ნაკლები ყურადღება ეთმობა.

ეხლა, როცა საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და დამოუკიდებლად იკვლევს გზას მსოფლიო პოლიტიკის ლაბირინთებში და ეკონომიკურ სისტემებში, ჯეროვანი ყურადღება უნდა დეთმოს საგარეო ვაჭრობის დისწიპლინის სწავლებას სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში.

ამასთან, მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ყველა ის პიროვნება, ვინც დამეხმარა წიგნის გამოცემაში, განსაკუთრებით კი, ჩემი ქალიშვილი - მარიამ კაკაბაძე, მეგობარი - ნინო აგლაძე, რედაქტორი, რეცენზენტები და სამსახურის თანამშრომლები.

ვ. კაკაბაძე

ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

წიგნის ავტორი დაიბადა 1953 წ. პედაგოგების ოჯახში. სარწმუნეობით. მართლმადიდებელი-ქრისტიანია

დაამთავრა: 1976 წ-ს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, ხოლო 1993 წ. ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა (უნივერსიტეტი).

მ უ შ ა ო ბ დ ა: ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ბ ე ო ლ ო გ ი ი ს სამმართველოში, თბილისის დიდუბის რაიონის გამგებლის მოადგილედ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში. იყო, გაზეთის „ნოვაია გაზეტას" კომერციული დირექტორი და სადაზღვევო კომპანია „არგანის" გენერალური დირექტორის მოადგილე.

ამჟამად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ავტორია ასზე მეტი საგაზეთო პუბლიკაციის და ათი სამეცნიერო სტატიის, რომლებიც დაიბეჭდა ჟურნალებში: ეკონომიკა, მაკრო-მიკრო ეკონომიკა, „ვნეშნაია ტორგოვლა უკრაინი". წიგნების: საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობანი თანამედროვე პირობებში (თბ., 1998 წ.), დიპლომატის ცნობარი (თბ., 2000 წ.), სახელმძღვანელოს — საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (თბ., 2000 წ.).

ნანა მაისურაძე

შესავალი

სცდებით, ბ-ნო ან-ო! ხალხი, რომელზედაც დამწერლობითი ცნობებია მე-11 ს-ში ქრ. შ. წინ უძველესი ხალხია, ასურელები და ფინიკიელებიც უძველესი ხალხები იყვნენ. ხოლო მათი სახსენებელი დღეს აღარ არის, ჩვენი კი არის მსოფლიოს დამე, ჩვენ უძველესთან ერთად თანამედროვე ერიც ვყოფილვართ.

არჩილ ჯორჯაძე

1) საერთაშორისო ეკონომიკამ თავისი განვითარების მანძილზე ᲐᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ როლი შეასრულა სახელმწიფოების და გარკვეული ფსიქოლოგიის მქონე ერების ჩამოყალიბებაში.

2) სახელმწიფოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წარმოშობის პირობებით, განვითარების თავისებურებებით, პოლიტიკური კულტურით, იდეოლოგიით და ამ ინდივიდუალობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოცემულ სახელმწიფოს ადგილობრივ მაცხოვრებელთა მენტალიტეტი, რომლის აზროვნებაზე, კულტურაზე, გემოვნებაზე და სხვა თვისებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები, და პირველ რიგში, საგარეო ვაჭრობა.

4) საგარეო ვაჭრობას მეტად რთული ისტორია გააჩნია, რომლის განვითარების მამოძრავებელი ძალაა: ინდივიდის, საზოგადოების და კაცობრიობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა, კლასობრივი ბრძოლა, ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეები. თავისი განვითარების მანძილზე საგარეო ვაჭრობამ უზარმაზარი [illegible]

შექმნა. კერძოდ, უზრუნველყო მილიონობით ადამიანი სურსათით, სხვადასხვა ნივთითა და მომსახურებით.]

საგარეო ვაჭრობამ მოგვცა ჭეშმარიტად გლობალური ეკონომიკური კავშირები, რომლის ფონზე საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა საკმაოდ სუსტი და ამორფული მოჩანს.

სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა დღითიდღე სულ უფროდაუფრო დამოკიდებული ხდება საგარეო ვაჭრობის სისტემაზე, ხოლო ამ სისტემის შემადგენელ ცოცხალ ორგანიზმებად შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო ორგანიზაციები.

ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგარეო ვაჭრობა სახელმწიფოების განვითარების და ეკონომიკის გლობალიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძრავაა, რომელიც ზემოქმედებს სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე, მსოფლიო ძალაუფლების და უსაფრთხოების დინამიკაზე. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა, ძალთა წონასწორობა მოიშალა, მსოფლიო პოლიტიკურად ორ დაპირისპირებულ ბანაკად დაიყო, ქვეყნებს შორის საგარეო ვაჭრობა არ შემწყდარა (აშშ-ის ბიზნესმენებს გერმანელებთან გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა გააჩნდათ – ჰყიდიდნენ ბენზინს), რამაც მშვიდობის დამყარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

საგარეო ვაჭრობაზე საუბრის დროს არ შეიძლება, რომ არ შევეხოთ მის, როგორც ხალხთა დამაკავშირებელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ არგონავტების მოგზაურობა – იასონმა ოქროს საწმისის სახით კოლხეთიდან არა მარტო ოქროს

მოპოვების მეთოდი გაიტანა, რაც მეცნიერულ-ტექნიკური შედეგების საერთაშორისო ვაჭრობად შეიძლება მივიჩნიოთ, არამედ საფუძველი ჩაუყარა ორი სახელმწიფოს ხალხთა ურთიერთობასაც, იგივე შეიძლება ითქვას "აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზის" შესახებ. ეს გზა შეიძლება მივიჩნიოთ ხალხების, კონტინენტების და, საერთოდ, კაცობრიობის შემაერთებელ გზად.

ამ გზაზე მოძრაობდნენ ადამიანები, იდეები, თქმულებები; იქმნებოდა ლეგენდები და ხალხებს შორის ყალიბდებოდა ურთიერთობის ნორმები.

თუ გადავხედავთ საგარეო ვაჭრობის განვითარების ხანგრძლივ ისტორიას, ნათლად დავინახავთ, რომ მან განვითარების რამოდენიმე სტადია განვლო, კერძოდ: სავაჭრო ურთიერთობის ჩამოყალიბების სტადია, რომელიც კაცობრიობის ისტორიის განვითარების საწყის სტადიებს მოიცავს; ადრეული სტადია, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის XII-I საუკუნეებს უკავშირდება და რომლის უმაღლესი განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული "დიდი აბრეშუმის სავაჭრო გზის ჩამოყალიბებასთან"; გვიანდელი სტადია, ახალი წელთაღრიცხვის I-XVIII საუკუნეებს უკავშირდება, როცა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები მოხდა; თანამედროვე სტადია, რომლის ნიშნები XIX ს-ში შეინიშნებოდა და, რომელიც იყოფა ორ ეტაპად: I ეტაპი, დაკავშირებული საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყალიბებასთან: II ეტაპი - ეკონომიკურ ინტეგრაციულ პროცესთან (თავისუფალი სავაჭრო და ეკონომიკური ზონების შექმნა).

საქართველომ თავის განვითარების პერიოდში ზემოთ აღნიშნული საგარეო ვაჭრობის ყველა სტადია განვლო და აქტიურად ღებულობს მონაწილეობას საგარეო

ვაჭრობის განვითარების თანამედროვე სტადიის II ეტაპში. ღნიშნულს კარგად მიესადაგება ილია ჭავჭავაძის სიტყვები: "არაფერი ქვეყანაზე არც იმით დაიწუნება, რომ ძველია, არც იმით მოიწონება, რომ ახალია".

I თავი

საქართველოს საგარეო ვაჭრობის საწყისი და ადრეული სტადია.

ერონების შესწავლა თუ გვინდა უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ კონკრეტულ პირობებს, სადაც ისახება და ვითარდება იგი.

არჩილ ჯორჯაძე

ჩვენი ქვეყნის უძველეს კულტურაზე არქეოლოგიური გათხრებით შეიძლება ვიმსჯელოთ. საქართველოს ნიადაგში აუარებელი ძეგლი და ნივთია ნაპოვნი, რაც სრულ უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ საქართველოში ბრინჯაოსა და რკინის ხანაში კარგად იყო განვითარებული სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა. მაღალ დონეზე იდგა ხელოსნობა. უკვე იყვნენ კარგად გაწაფული ოსტატები, რომლებიც აკეთებდნენ მშვენიერ, საუცხოოდ მოხატულ თიხის ჭურჭელს, საუკეთესო რკინასა და ბრინჯაოს იარაღს, ლამაზი ორნამენტებით შემკულ მატყლისა და სელის ქსოვილებს. ხმარობდნენ ოთხთვალა და ორთვალა ურმებს. განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ორთვალა ეტლები, რომლებშიც ცხენს უბამდნენ, იგი საომარი

საშუალება იყო.

დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინათ, ქართველი ხალხის შორეულ წინაპრებს უკვე ჰქონდათ თავისი საკუთარი სახე. ისინი ენითა და კულტურით საკმაოდ განსხვავდებოდნენ ჩრდილოელ კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთში მცხოვრებ ტომებისაგან, რომლებთანაც გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდათ (აღებ-მიცემა).

სამხრეთიდან ქართველებს (ქართები, სვანები, მეგრელ-ჭანები და ამ უკანასკნელში შემავალი აფხაზები) ეშეზობლებოდნენ: ხურიტები (მითანის სამეფოს ძირითადი მოსახლეობა), ხეთები (მცხოვრები მცირე აზიაში), ურარტუელები (ხურიტების მონათესავე ხალხი, რომელმაც ვანის ტბის რაიონში შექმნა ჩვ.წ. აღ-მდე IX საუკუნეში ძლიერი სახელმწიფო ურარტუ), ძველთაგანვე ქართველი ტომების უშუალო მეზობლები იყვნენ არმენები, რომლებიც იმ დროის მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიებზე ცხოვრობდნენ.

იმ ხანაში ჩვენი წინაპრები მეზობელ ტომებს აწვდიდნენ თიხის ნაკეთობებს, ქსოვილს, საბრძოლო იარაღს. სამაგიეროდ, შემოჰქონდათ ძვირფასი ქვები და შემოჰყავდათ მონები.

ჩვ. წ. აღ-მდე XII საუკუნეს საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ-დასავლეთ ქართველთა ტომების გაერთიანების საფუძველზე ჩამოყალიბდა დიდი სახელმწიფო — დიაოხი, რომლის სახელი შემდგომ საქართველოს ერთ-ერთ ოლქს ტაოს შემორჩა. დიაოხი თანდათან იზიდავდა ვაჭრებს, ხელოსნებს, ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე იკვეთებოდა აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მომავალი სავაჭრო გზები. ძველი ბერძნები ამ ადგილზე მცხოვრებ ხალხს

რკინის გამომგონებლებად თვლიდნენ. ამავე საუკუნის ბოლოს დიაოხი საკმაოდ მოძლიერდა, იგი საფრთხეს უქმნიდა ჩრდილო მესოპოტამიაში მდებარე დიდ სახელმწიფოს ასურეთს, ამიტომ იყო, რომ ჩვ. წ. აღ-მდე 1112 წ-ს ასურეთმა გამოილაშქრა დიაოხის წინააღმდგ. ბრძოლაში ასურიელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ დიაოხის დასამორჩილებლად ძალა აღარ ეყოთ.

ჩვ. წ. აღ-მდე VIII საუკუნის შუახანებში დიაოხის სახელმწიფო გაანადგურეს, ერთის მხრივ, ურარტუმ და, მეორეს მხრივ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მეორე დიდმა სახელმწიფომ —კოლხამ.

აპოლონიოს როდოსელისა და მასზე ადრინდელი ბერძენი ავტორების ჰომეროსის, ჰესიოდეს, კალიმაქეს, ჰეროდოტეს, პოლიბიოსის, ქსენოფონტეს მიხედვით, კოლხეთი წარმოადგენდა იმდროინდელი მსოფლიოს ერთ--ერთ უმდიდრეს ქვეყანას. ანტიკურ საბერძნეთს და კოლხეთის სამეფოს უაღრესად ფართო და გაცხოველებული ვაჭრობა გააჩნდათ. ბერძნებს კოლხეთიდან გაჰქონდათ რკინა, ქსოვილი, ბეწვეული, ტყავები, ბზის მასალა, ოქრო და თიხის ნაწარმი. მაგალითად, ათენში გათხრებისას აღმოჩნდა წყლის სასმისი, რომელსაც აქვს წარწერა "კოლხმა გამაკეთა მე" (ინახება ბერლინის მუზეუმში), კერამიკული ნაკეთობები წარწერით - "ექვსითეოსმა გამაკეთა მე", "კოლხმა მომხატა". ქართველებს საბერძნეთიდან შემოჰქონდათ კერამიკა, ძვირფასი თვლები, ზეთი, მონები.

ძველთაძველი დროიდანვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს აღებ-მიცემა ჰქონდათ ეგეოსის ზღვის ხალხებთან და უკვე ჩვ. წ. აღ-მდე VII საუკუნისათვის ეს ვაჭრობა ისე გაფართოვდა და

გაცხოველდა, რომ ბერძნებმა საჭიროდ ჩათვალეს შავი ზღვის სანაპიროზე მუდმივი ბინა გაეჩინათ. ისინი შეუდგნენ აქ ახალშენების დაარსებას.

საქართველოში ბერძნული ახალშენები იყო ფასიდი (ანუ ფაზისი - ფოთის ადგილი), დიოსკურია (სოხუმის ტერიტორია), პიტიუნტი (ბიჭვინთა). ეს იყო სანავსადგურო ქალაქები.

ბერძნებს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტად ვაჭრობა აინტერესებდათ, რადგანაც აქ გადიოდა ძველი მსოფლიოს ყველაზე დიდი სავაჭრო გზა, რომელიც შორეულ ინდოეთში იწყებოდა და მილეთის ნავსადგურით თავდებოდა (ჩვ. წ. აღ-მდე VII ს).

ჩვ. წ. აღ-მდე VII-VI სს-ში ბერძნული იმპორტი რიონი-ყვირილის გზით კოლხეთის შიდა რაიონებსა და აღმოსავლეთ საქართველოსაც აღწევდა.

უძველესი ბერძნული ცნობები (ჩვ. წ. აღ-მდე VI) საქართველოს მცენარეულობით, ცხოველებითა და მინერალური ნედლეულით მდიდარ ქვეყნად გვიხატავენ. კულტურული მცენარეებიდან დასახელებულია ვაზი და აღნიშნულია, რომ აყენებდნენ ღვინოს. მოხსენიებულია კაკალი და წაბლი. მოხსენიებულია, რომ წაბლის ნაყოფს დიდი რაოდენობით ხმარობდნენ მოხარშულს, ან პურის სახით გამომცხვარს. აღწერილია, რომ საქართველოში აშენებდნენ ყოველნაირი ჯიშისა და კარგი ხარისხის მსხალსა და ვაშლს. ზოგი ხეხილი აქედან შემდეგში სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. მაგალითად, კოლხეთის ქალაქ კერასუნტიდან რომაელებმა პირველად შეიტანეს ევროპაში ბალი, რომლის სახელი ევროპულ ენებში კერასუნტის სახელთანაა დაკავშირებული (ს.ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 19

"მეცნიერება" გვ. 21).

ჩვ. წ. აღ-მდე VI საუკუნის შუა ხანებში შავი და ეგეოსის ზღვების სანაპიროზე განლაგებულ სახელმწიფოებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა კოლხური სელი და მისი ქსოვილი, რომელიც საზღვარგარეთ ბერძნებს გაჰქონდათ.

კოლხეთმა ამ დროისათვის სახელი გაითქვა მესაქონლეობით. აქ გამოჰყავდათ მაღალი ჯიშის ცხვარი, ცხენი, ძროხა. დიდი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე წერს: "ფასიდზე არის პატარა ძროხები, რომელთაგან თითოეული ბევრ რძეს იძლევა".

ძველი ბერძნები დიდი აზრისა იყვნენ ქართველი მეტალურგების შესახებ. კერძოდ, სამხრეთის ტომების ხალიბებისა და მოსინიკების მიერ რკინის გამოღნობის მეთოდზე. ხალიფების მიერ დამზადებულ რკინას ჟანგი ძნელად ეკიდებოდა. ხალიბები მაღალი ხარისხის ფოლადსაც ამზადებდნენ, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ეგვიპტეში და სხვა აღმოსავლეთ თუ დასავლეთ ქვეყნებში. ფოლადის ბერძნული სახელი "ხალიფას", ხალიბების სახელწოდებიდანაა ნაწარმოები და ხალიბურ ლითონს აღნიშნავს. მოსინიკები თითბერის არაჩვეულებრივი დამამზადებლები იყვნენ. თითბერის სახელიც ზოგიერთ ევროპულ ენაში (მაგ. გერმანული "მესინგ") მოსინიკების სახელისგან არის წარმომდგარი.

ბერძნული ახალშენები (ფაზისი, დიოსკურია, პიტიუნტი) დიდ სარგებელს პოულობდნენ კოლხეთთან ვაჭრობაში. გაიზარდა და გამდიდრდა ეს ქალაქები მარმარილოსაგან ნაკეთები შენობებით, კარგი ნავსადგურებით, არხებითა და წყალსაცავებით, მტკიცე ქალაქის კედლებით შეიმკო ფასიდი, ტრაპიზონი,

პიტიუნტი და დიოსკურია. უცხოელი ვაჭრებისაგან დარჩენილ სხვადასხვა ქვეყნის ფულს დღესაც პოულობენ დასავლეთ საქართველოს ნიადაგში.

ჩვ. წ. აღ-მდე VI საუკუნეში ვაჭრობა მთელ კავკასიაში. იმდენად განვითარდა, რომ კოლხეთში უცხოეთიდან შემოტანილი ფული აღარ ჰყოფნიდათ და ამავე საუკუნის ბოლოს კოლხეთში ადგილობრივი ფულის დიდი რაოდენობით ჭრა დაიწყეს. ეს ვერცხლის ფული იყო.

ჩვ. წ. აღ-მდე V-IV სს-ში ვაჭრობამ ფართო საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ამ დროისათვის წარმოიშვა კიდევ ერთი დიდი სავაჭრო-სატრანსპორტო გზა, რომელიც ჩინეთში იწყებოდა და ინდოეთის სავაჭრო მაგისტრალს უერთდებოდა. ჩვ. წ. აღ-მდე IV-III სს-ში დასავლეთში ჩინურ აბრეშუმზე მოთხოვნის ზრდამ, ჩინეთს საშუალება მისცა აქტიურად ჩართულიყო საგარეო ვაჭრობაში.

უძველესი ავტორების აღწერით, ეს გზა შუა აზიიდან (დღევანდელი ცენტრალური აზიიდან) სანაოსნო იყო. ეს გზა მდინარე ოქსუსით (ამჟამინდელი ამურდარია)-კასპიის ზღვით-მტკვრით-სურამის უღელტეხილის გავლით - მდინარე ფასისით (დღევანდელი რიონი) ქალაქ ფაზისამდე (თანამედროვე ფოთამდე) აღწევდა. იქიდან კი ზღვით წინა აზიისა, მცირე აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს უკავშირდებოდა.

ქართლის სამეფოს აღწერისას ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი მსოფლიოში ცნობილ თავის "გეოგრაფიაში" ამბობს, რომ ერთი გზა შავი ზღვიდან მდ. ფასისის აყოლებით და ციხე-სიმაგრე სარაპანზე (თანამედროვე შორაპანი) გავლით მიდიოდა იბერიაში, მის ცალ ქალაქ

მცხეთაში. სტრაბონის ცნობით, მდინარე ფასისზე იმ დროს 120 ხიდი იყო.

მეორე გზა კავკასიის ალბანეთიდან მცხეთისაკენ მიდიოდა. ეს გზა ჯერ კლდეში იყო გაჭრილი, ხოლო შემდეგ, სტრაბონის თქმით, გადიოდა ჭაობზე, რომელსაც ქმნიდა მდ. ალაზონისი (თანამედროვე ალაზანი). სტრაბონის და ქართველი მეცნიერების ცნობით, არსებობდა კიდევ მესამე და მეოთხე გზა, რომლებიც ნაკლებ დატვირთული იყო. მესამე გზა, არმენიიდან (ადრინდელი სომხეთი; სომხეთი გეოგრაფიული დასახელებაა და იქ ცხოვრობდნენ ქართველთა ტომები) მტკვრის გავლით იბერიაში შედიოდა, ხოლო მეოთხე, თერგის ხეობითა და მდინარე არაგვის გაყოლებით მოემართებოდა ჩრდილოეთის მომთაბარე ქვეყნებიდან, დარიალის კარიდან კავკასიის იბერიის დედაქალაქ მცხეთამდე.

ეს ოთხივე ისტორიული გზა თავს იყრიდა ქართლის დედაქალაქ მცხეთაში. ამ გზებიდან ყველაზე დატვირთული იყო პირველი ორი, რომელიც სტრაბონის "გეოგრაფიის" მონაცემებით, იბერიაში და კოლხეთში ინდოეთიდან და ჩინეთიდან მოდიოდა.

ეს იყო დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზა.

ამ გზით იწყება დიდი აბრეშუმის გზის მსოფლიო ისტორია, რომელმაც დააკავშირა მდიდარი აღმოსავლეთი და დასავლეთი.

ჩვ. წ. აღ-მდე III საუკუნეში აღმოსავლეთის სიმდიდრით დაინტერესებული და სავაჭრო მაგისტრალის გაკონტროლების მიზნით, რომი მსოფლიო პოლიტიკაში აქტიურად ერევა, იგი იმაგრებს პოზიციებს შავი ზღვის

მოსაზღვრე სახელმწიფოებში და უკვე ჩვ. წ. აღ-მდე II ს-ში მთლიანად აკონტროლებს აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზის ჩრდილო განშტოებას.

ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნიდან ინდოეთიდან და ჩინეთიდან მომავალმა დიდმა სავაჭრო გზამ მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა. ამ გზით რომში შედიოდა აბრეშუმი, პარფიუმერია, ხელოვნების ნიმუშები, ახალი გამოგონებები, მონები, რაც თანამედროვე კლასიფიკაციით საგარეო ვაჭრობის შემდეგნაირ ფორმებად შეიძლება დავყოთ:

1. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობა;
2. მეცნიერულ-ტექნიკური შედეგების გაცვლა;
3. სამუშაო ძალით ვაჭრობა;
4. ინფორმაციული კავშირები.

გაჩნდა საქონლის კლასიფიკაციის ნიშნების დაყოფის შესაძლებლობა, კერძოდ:

1. მოხმარების მიხედვით: სამომხმარებლო მოთხოვნის და სამეურნეო დანიშნულების;
2. დანიშნულების მიხედვით: ფუფუნების და ყოველდღიური მოხმარების;
3 დამუშავების ხარისხის მიხედვით: შუალედური და მზა საქონელი.

ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნის შუა პერიოდიდან დიდი სავაჭრო გზა ახალ ფუნქციას — საინფორმაციო და სამხედრო დანიშნულებას იძენს. ეს გასაკვირიც არაა: ინდოეთში და ჩინეთში (სინძიანში) დაწყებული გზები კვეთდნენ ნახევარ მსოფლიოს.

ჩინეთში - სინძიანში დაწყებული გზა, ქ. დუნხუანიდან ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისაკენ.

ორივე გზა შუა აზიაში, ქ. ყაშგარში იყრიდა თავს. აქედან კი გზის ერთი სამხრეთი განშტოება, ჩრდილოეთ

შუამდინარეთის (ევფრატისა და ტიგროსის) ქვეყნების, მათ შორის ბაბილონის გავლით ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ანტიოქიაში ჩადიოდა.

რაც შეეხება გზის მეორე - ჩრდილოეთ განშტოებას, იგი - კასპიის ზღვის, კავკასიის ალბანეთის (თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორია), ქართლის (იბერიის), კოლხეთის (ეგრისის) გავლით ჩადიოდა ქ. ფასისში, საიდანაც მიემართებოდა დასავლეთით იბერიის კულტურის მატარებელი ქვეყნებისაკენ.

ჩვ. წ. აღ-მდე საქართველოს აქტიურ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობაზე მიუთითებს თბილისის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრებიც, განსაკუთრებით საყურადღებოა დიღმის ველზე ჩვ. წ. აღ-მდე IV-III სს-ში ბერძნული მონეტების აღმოჩენა, ხოლო დიდუბეში, ორთაჭალაში და ბოტანიკური ბაღის მიდამოებში ჩვ. წ. აღ-მდე III ს-ის ბაქტრიული, ბოსფორული, რომაული და პართული მონეტების თუ ეგვიპტური "სკარაბების" მიკვლევა. რაც უტყუარი ფაქტია, რომ ჩვენ წინაპრებს ფართო სავაჭრო კავშირები ჰქონიათ საბერძნეთთან, კასპიის ზღვის გადაღმა მდებარე ბაქტრიის სამეფოსთან, ეგვიპტესთან, რომის რესპუბლიკასთან და ყირიმის ნახევარკუნძულზე მდებარე ბოსფორის სამეფოსთან.

მსოფლიო საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა

ჩვენი წელთაღრიცხვით I საუკუნის დასაწყისში ქვეყნებს შორის ჩამოყალიბდა საგარეო ვაჭრობის თავისებური სტრუქტურა, რომელიც სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის, ურთიერთდამოკიდებულობის და

დამოკიდებულობის პრინციპზე იყო აგებული.

* დამოუკიდებლობა. თუ განვიხილავთ საგარეო ვაჭრობის განვითარების საწყის და ადრეულ სტადიას შევნიშნავთ, რომ მცირე ქვეყნებთან შედარებით დიდი ქვეყნებისათვის უფრო მეტად იყო დამახასიათებელი ეკონომიკური დამოუკიდებლობა. თუმცა ეს დამოუკიდებლობაც პირობითი იყო და საგარეო ვაჭრობის შემდგომი განვითარების სტადიაზე, მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების კვალობაზე გაქრა.

* დამოკიდებულობა - საგარეო ვაჭრობის განვითარების ყველა სტადიაზე შეინიშნება. ეს ლოგიკური შედეგია ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომელსაც მცირე ბუნებრივი რესურსები, დაბალი ტექნოლოგიური დონე და არაკვალიფიციური შრომითი რესურსები გააჩნია. მაგალითად, ჩვ. წ. აღ-მდე II ს-ში კოლხეთის სამეფოს ექსპორტ-იმპორტის უდიდესი ნაწილი მასზე ბევრად უფრო ძლიერ პონტოს სამეფოზე, ხოლო ბერძნების და ჩრდილოეთ კავკასიის ძომთაბარე ტომების საგარეო ვაჭრობა კოლხეთზე იყო დამოკიდებული, XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ექსპორტ-იმპორტი დამოკიდებული იყო ირანზე და ნაწილობრივ თურქეთზე, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში კი რუსეთზე. ამგვარი დამოკიდებულება ქვეყნის წარმოების წინსვლას აფერხებს.

* ურთიერთდამოკიდებულობა - დამოკიდებულობის მსგავსად საგარეო ვაჭრობის განვითარების ყველა სტადიაზე შეინიშნება და განვითარების სხვადასხვა სტადიაზე ზოგიერთ ქვეყნები უფრო მჭიდრო ურთიერთდა-მოკიდებულობას იჩენდნენ. ამას მრავალი ფაქტორის ზემოქმედება განაპირობებდა, კერძოდ: ტერიტორიული

სიახლოვე, მოსახლეობის მსოფლმხედველობა და მსყიდველობითუნარიანობა, პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური დონე და ა. შ.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების პროცესის საწყის და ადრეულ სტადიაზე გამოიკვეთა ვაჭრობის განვითარების შემდეგი ხელშემწყობი ფაქტორები:

1. ტომების გაერთიანება ერთ მთლიან სახელმწიფოდ (საგარეო ვაჭრობის აუცილებლობის მაჩვენებლის ხარისხის ზრდა);
2. იმპერიების დაშლა (ახალი ბაზრების გაჩენა);
3. გეოგრაფიული აღმოჩენები;
4. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

ძველი მსოფლიოს საგარეო ვაჭრობის ისტორია

✧ საქართველოს აღმოსავლეთ ტერიტორიაზე თბილისის მახლობლად ავჭალის გზატკეცილის მიდამოებში ნაპოვნია ჩვ. წ. აღ-მდე XIV-XIII სს-ის საოჯახო ნივთები და სამკაულები. მიკვლეულ ძეგლებს თავისი პარალელები მოეპოვება და შეიძლება ითქვას იდენტურობა გააჩნია აღმოსავლურ-ქართული კულტურის და კავკასიის სხვა რეგიონებში აღმოჩენილ ნამარხებთან. ეს კი უფლებას გვაძლევს დავუშვათ, რომ კავკასიის ტერიტორიაზე დასახლებულ ტომებს ერთმანეთთან აქტიური აღებ-მიცემითი სავაჭრო კავშირები გააჩნდათ.

✧ ბაბილონის (ჩვ. წ. აღ-მდე XXIII ს.) ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მდინარეები ევფრატი და ტიგროსი. ისინი განსაზღვრავდნენ და წარმართავდნენ მის მეურნეობას. ამ მდინარეთა წყლის

ექსპლოატაცია მისი ეკონომიკის საფუძველი იყო. აქაური მონარქები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ირიგაციას. ირიგაციის მოშლა აქ ქვეყნის ძირეულ გაღატაკებას იწვევდა.

ბაბილონის მკვიდ მოსახლეობას აქტიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა შუამდინარეთის სხვა მოსახლეობასთან.

ჩვ. წ. აღ-მდე XVIII ს-ში ბაბილონში შემუშავებული იყო კანონები, რომელიც ეკონომიკურ ურთიერთობას არეგულირებდა. მაგალითად, თუ მსესხებელი (წვრილი მეწარმე) თავის დროზე ვალს ვერ დაუბრუნებდა კრედიტორს, იგი ვალდებული იყო კრედიტორთან დაეგირავებინა საკუთარი ოჯახის წევრები, მათ შორის ცოლი და შვილები, რომელთაც მევალის სახლში უნდა ემუშავათ მონურ მდგომარეობაში. მოგვიანებით წვრილ მეწარმეთა ინტერესების დაცვის მიზნით ბაბილონში წესდება გადასახადის პროცენტის მაქსიმუმი, ფულადი სესხისათვის 30%, ხოლო მარცვლეულისათვის - 20%. ასევე შემცირდა სავალო კაბალის ვადა (ხამურაბის კანონის 117-ე მუხლი).

ჩვ. წ. აღ-მდე VII ს-ის დასასრულს შუამდინარეთში ძველი ბაბილონის ადგილზე შეიქმნა ახალი ბაბილონი. ახალი ბაბილონის სამეფოს ეკონომიკა ძირითდად ისევე როგორც ძველი სამეფოს ხანაში, სოფლის მეურნეობას ეყრდნობოდა და, შესაბამისად, ექსპორტი ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტით წარმოდგენილი იყო.

ნაბუქოდონოსორის მეფობის პერიოდში (ჩვ. წ. აღ-მდე VII ს.) ბაბილონში აქტიურად ვითარდება არა მარტო საგარეო ვაჭრობა არამედ სავახშო საქმიანობაც. მეცნიერების მიერ აღმოჩენილი უამრავი საბუთი

მიუთითებს იმ დროინდელ დიდ სავაჭრო ოპერაციებზე.

ბაბილონი ჰყიდდა პურს, ქერს, ღვინოს, ფინიკს, ზეთს, პირუტყვს, ქსოვილებს, ტანისამოსს, მატყლს, მინდვრებს, სახლებს, ბაღებს და სხვა. ბაბილონში ჩამოყალიბდა (ჩვ. წ. აღ-მდე VII ს.) ე. წ. "ეგიბის ძეთა სავაჭრო სახლი", ნიფურში - "მურაშუს ძეთა სავაჭრო სახლი". ეს იყო უდიდესი გაერთიანებები. სპარსული წყაროებიდან ჩანს, რომ ამ სავაჭრო სახლების წარმომადგენლები მდიდარი სპარსელების მეურნეობას უძღვებოდნენ, ოჯარით აძლევდნენ კერძო პირებს მიწებს, საქონელს და სხვა.

✧ ეგვიპტეს ჰეროდოტემ "ნილოსის ნობათი" უწოდა. ნილოსის ნიადაგი ძალზედ ნაყოფიერი იყო და ეგვიპტელებს წელიწადში ორი მოსავლის აღება შეეძლოთ, მაგრამ ამის მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ საირიგაციო სისტემის არსებობის შედეგად. ამიტომ, ეგვიპტელებმა უძველესი დროიდან დაიწყეს ნილოსის მთელ გაყოლებაზე საირიგაციო არხების ფართო ქსელის მშენებლობა.

ეგვიპტის სიმდიდრეს დიდად განაპირობებდა მისი ბუნებრივი რესურსები. აქ უხვად მოიპოვებოდა მარმარილო, გრანიტი, ალებასტრი, რომელიც მეზობელ სახელმწიფოებსაც გაჰქონდათ სახლების ასაშენებლად და მოსაპირკეთებლად. აღმოსავლეთ ეგვიპტის უდაბნოს საბადოები ოქროს ულევ წყაროს წარმოადგენდა, სინაის ყელის — სპილენძის და ფირუზის. ეგვიპტეში მრავლად მოიპოვებოდა სარდიონი, მალაქიტი, ზურმუხტი, ამეთვისტო. ნუბიიდან (თანამედროვე ეთიოპია) ეგვიპტელებს შემოჰქონდათ სპილოს ძვალი, ძვირფასი ხის ჯიშები, ტყავი. პუნტიდან (თანამედროვე სომალი)

- უცხო სანელებლები. განსაკუთრებით აქტიური საგარეო სავაჭრო ურთიერთობით ხასიათდებოდა ჩრდილოეთ ეგვიპტე (დაახლ. 3000 წ. ჩვ. წ. აღ-მდე), რის გამოც ქვემო ეგვიპტე, სამხრეთზე უფრო მდიდარი იყო. აქ ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა ნათელყოფს კონტაქტებს ლიბიელებთან, კვიპროსთან, კრეტასთან, პალესტინასთან, სირიასთან, შუამდინარეთთან.

ჩვ. წ. აღ-მდე XV ს-ის ეგვიპტეში დასავლეთ აზიის საქონელი ჭარბობს. ეგვიპტელებმა დასავლეთ აზიელებისაგან ისწავლეს მსუბუქი საბრძოლო ეტლის დამზადება, შემოჰყავდათ მაღალი ჯიშის ცხენები.

525 წ. ჩვ. წ-მდე ეგვიპტე დასუსტდა, იგი სპარსეთის გავლენის ქვეშ მოექცა (სპარსეთის მეფე კამბიზის არმიამ გაანადგურა ეგვიპტის ჯარი და სიკვდილით დასაჯა ფარაონი პსამტიხ III). სპარსეთის ხელში გადავიდა ეგვიპტის საგარეო ვაჭრობაც (სავაჭრო გზები).

ჩვ. წ. აღ-მდე II-III საუკუნეებში ეგვიპტე მნიშვნელოვნად აფართოებს თავის საგარეო ვაჭრობას, აღდგა ძველი ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები, უცხოელ ვაჭრებს ეგვიპტეში მრავლად შემოაქვთ საქონელი - აბრეშუმი, ტანსაცმელი, ნოხები, საკვები პროდუქტი, ხის მასალა, ცოცხალი პირუტყვი.

◇ ხეთების ძველი სამეფოს (განლაგებული იყო შავი ზღვის სამხრეთით, მცირე აზიის ტერიტორიაზე) უკვე ჩვ. წ. აღ-მდე XVI ს-ში აქტიური სავაჭრო ურთიერთობები გააჩნდა ეგვიპტესთან და მის ჩრდილოეთით განლაგებულ სახელმწიფოებთან, ხოლო ძვ. წ. 1450-1200 წწ-ში იგი განიხილებოდა, როგორც ეგვიპტის, ბაბილონისა და ასურეთის ტოლი სახელმწიფო.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად დამტკიცდა ხეთების სამშენებლო საქმის განვითარების საკმაოდ მაღალი დონე. აქაურ ხელოსნებს იწვევდნენ მეზობელი სახელმწიფოების დიდებულები.

გარდა მშენებლობისა, ხეთებს ჰყავდათ კარგი დურგლები, ფეიქრები, მეთუნეები, ოქრომჭედლები.

სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის საკმაოდ მაღალმა დონემ განაპირობა საგარეო ვაჭრობის განვითარება. ვაჭართა ფენას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხეთების საზოგადოებაში. ხეთები იცნობდნენ საცალო და საბითუმო ვაჭრობას, გაერთიანებული იყვნენ სპეციალურ სავაჭრო სახლებში და სარგებლობდნენ სამეფო ხელისუფლების განსაკუთრებული მფარველობით. ხეთები ვაჭრობდნენ სხვადასხვა სახის ქსოვილებით, ძვირფასი და სამშენებლო ქვებით, სოფლის მეურნეობისა და ხელოვნების ნაწარმით.

სახელმწიფო განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ხეთების ეკონომიკურ ცხოვრებაში. მეურნეობის არცერთი დარგი არ რჩებოდა გარკვეული ორგანიზაციისა და ცენტრალური ხელისუფლების ყურადღების გარეშე. სპეციალური მოხელეები ხელმძღვანელობდნენ სამეურნეო საქმიანობას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხეთების კანონების ასზე მეტი მუხლი მეტ-ნაკლებად ეხება მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების საკითხებს, კერძოდ:

— საკუთრებისა და მიწათმფლობელობის უფლებების დაცვას;

— არხებისათვის, ნათესებისა და პირუტყვისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ფორმებს;

— დაქირავებული მუშაკის შრომის ანაზღაურების ოდენობას;

– ფასებს მიწაზე;
– ფასებს პირუტყვზე.

ხეთებთან არსებობდა საკმაოდ ორგანიზებული ეკონომიკა, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებდა საგარეო ვაჭრობაში და საზოგადოებრივი განვითარების საქმეში.

✧ ფრიგიაში ჩვ. წ. აღ-მდე VIII-VII სს-ში კარგად განვითარებული მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო. საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა ხის დამუშავების ტექნიკა, კერამიკული წარმოება, ამზადებდნენ ბრინჯაოს ბალთებს, ლურსმნებს, კაუჭებს, სარტყლებს, რკინისაგან - სამფეხა ქვედასადგამებს.

ფრიგიის ეკონომიკის განვითარების მაღალი დონე, თავის მხრივ საშუალებას აძლევდა მას აქტიურად ჩაბმულიყო საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაში. ამაზე აშკარად მეტყველებს არქეოლოგიურ მასალებში ადგილობრივის გვერდით, იმპორტული (ასურული, ურარტული, კვიპროსული, კოლხური და ჩრდილო სირიული) წარმომავლობის ნივთების არსებობა. ამასვე ლაპარაკობს "ბიბლიის" ცნობილი ადგილი იეზეკიელის ტვიროსის გოდებაში, სადაც ნათქვამია: "იავანი (ე. ი. იონელი), თობელი (ე. ი. თაბალი) და მოსოხ (ე. ი. ფრიგია) ვაჭრობდნენ შენ შორის სულებსა კაცთასა და ჭურჭელნი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდა".

იმდროინდელი ფრიგიის სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესების წარმოსადგენად საკმარისია განვიხილოთ, თუ რა გააფთრებით იბრძოდა ფრიგია, რათა პირველობა მოეპოვებინა სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიის ისეთ მნიშვნელოვან ოლქში, როგორიც იყო კილიკია. ცნობილია, რომ კილიკიაზე გადიოდა ჩრდილოეთ სირიისა და

აღმოსავლეთ ქვეყნებისკენ მიმავალი სავაჭრო გზა.

✧ ლიდიაში ჩვ. წ. აღ-მდე VII ს-ში საზოგადოების შიგნით დიდი ქონებრივი უთანასწორობა ჩამოყალიბდა. ამ პროცესის გაღრმავებას, შინაგანი ფაქტორების გარდა, მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მაღალგანვითარებულ ფრიგიასთან და იონურ სავაჭრო ცენტრებთან მეზობლობა და მჭიდრო ურთიერთობა.

სავაჭრო გზების სიმრავლემ, ხელი შეუწყო ლიდიაში ეკონომიკის განვითარებას. ლიდიაზე არაერთი სავაჭრო გზა გადიოდა. ცნობილია, რომ აქ იწყებოდა ის განთქმული სავაჭრო მაგისტრალი, რომელსაც მთელ მცირე აზიაზე გავლით ვაჭრები სარდესიდან (ლიდიის ქალაქი) სუზაში (ბაბილონის აღმოსავლეთით, სპარსეთის ყურის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქი) ჩაჰყავდა. ჰეროდოტეც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ "ლიდიელები პირველი წვრილვაჭრები იყვნენ", რომ "მათ პირველებმა მოჭრეს და გამოიყენეს ოქროს ფული". ლიდიური მონეტა ორი ტიპისა იყო. შინაური ბაზრისათვის ლიდიელები უფრო მსუბუქ მონეტას ჭრიდნენ (168,4 გრანი. 1 გრანი=0,0648 გრამს), ხოლო იონურ ქალაქებთან სავაჭროდ - შედარებით უფრო მძიმეს (224 გრანი).

ლიდიელებს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები ჰქონდათ როგორც მცირე აზიის ხალხებთან, ასევე ეგეოსურ სამყაროსთან, მატერიკულ საბერძნეთთან, ეგვიპტესთან, სირია-ფინიკიასთან, კოლხეთთან და ბაბილონთან.

✧ ფინიკიის მაცხოვრებლებს (ქანაანელები) მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში აქტიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ მიკენის ბერძნებთან. ფინიკიის სანაპიროზე სწრაფად ვითარდებოდა საპორტო ქალაქები.

ერთ-ერთ ასეთ ქალაქს ბიბლოსს, სავაჭრო კავშირები გააჩნდა ეგვიპტესთან. ეგვიპტელებს ფინიკიიდან გაჰქონდათ კედარი, მუხა და თავისი წარმომადგენლები ჰყავდათ ქალაქ ბიბლოსში. მეორე დიდი ქალაქი იყო ტვიროსი, მას ძირითადად სავაჭრო ურთიერთობა გააჩნდა პირენეის იბერიელებთან და ეგვიპტესთან. ეგვიპტის ქალაქ მემფისში ფინიკიელებს საკუთარი სავაჭრო უბანიც კი ჰქონდათ. ფინიკიაში, კიდევ ერთი დიდი სავაჭრო ქალაქი იყო უგარითი. ამაზე მიუთითებს ისიც რომ ქალაქს მეზობელ სახელმწიფოებში თამქარი ჰყავდა. თამქარნი მეფის სავაჭრო აგენტები იყვნენ, ისინი ზოგჯერ დამოუკიდებელ სავაჭრო ოპერაციებსაც ეწეოდნენ.

ფინიკიელები პირენეის იბერიაში დიდ სავაჭრო ექსპედიციებს აწყობდნენ, სადაც ბრინჯაოს იარაღს, ნაირგვარ სურნელოვან ზეთებს, ძვირფას ქსოვილებსა და სხვადასხვა საქონელს მიეზიდებოდნენ (ექსპორტი), იქ შეძენილი საქონელი კი მიჰქონდათ აღმოსავლეთისაკენ - სიცილიაში, საბერძნეთში, აზიაში და ვაჭრობის შედეგად დიდ მოგებას ნახულობდნენ. თანდათანობით ფინიკიელებმა ამ სავაჭრო გზის სრული ათვისება მოახერხეს.

ფინიკიის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო მაგისტრალი, რომელიც ეგვიპტეს, ტიგროსისა და ევფრატის მოსაზღვრე ქვეყნებთან აკავშირებდა. ფინიკიის სატრანზიტო ნავსადგურებში თავს იყრიდა სხვადასხვა საქონელი მრავალი ქვეყნიდან. ფინიკიის გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობის სურათს კარგად გვიხატავს წინასწარმეტყველი იეზეკილი. მისი თქმით, ტვიროსი თარშიშიდან (ესპანეთის იბერია) ღებულობდა ვერცხლს,

რკინას, კალასა და ტყვიას, საბერძნეთიდან და მცირე აზიიდან - მონებსა და სპილენძის ნაწარმს, აფრიკიდან (სამხრეთ არაბეთის გზით) და ინდოეთიდან - სპილოს ძვალს, ჩრდილოეთ სირიიდან - შალის ქსოვილს და ძვირფას ქვებს.

საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობა ხელს უწყობდა (ჩვ. წ. აღ-მდე VI ს) ფინიკიის სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობის აღმავლობას. ფინიკიის სოფლის მეურნეობის წარმატებაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ფინიკიური ღვინო ძველ მსოფლიოში საუკეთესო ღვინოდ ითვლებოდა. აქ განვითარებული იყო მეთევზეობა, გამხმარი თევზი ფინიკიელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქონელი იყო. ფართო სავაჭრო ურთიერთობებმა განაპირობეს გემთმშენებლობის ტექნიკური განვითარება, რასაც ხელს უწყობდა ფინიკიის სიმდიდრე სამშენებლო და საანძო ხე-ტყე.

✧ ასურეთი ეწოდებოდა თანამედროვე ერაყის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს. ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს საგრძნობლად განვითარდა ასურეთის საგარეო ვაჭრობა, რაც განპირობებული იყო იმ ფაქტორით, რომ მის მიწაზე გადიოდა დიდი სავაჭრო გზები. სამხრეთ მესოპოტამიიდან სირიისაკენ, ტიგროსითა და ევფრატით მიმავალი გზები ასურეთზე ან მის უშუალო სიახლოვეს გაივლიდა, ტიგროსის გაყოლებით მიმავალი სავაჭრო გზა ასურეთის ტერიტორიაზე უერთდებოდა მცირე აზიიდან და კავკასიიდან მომავალ გზებს. ასურეთთან ძალიან ახლოს გადიოდა აღმოსავლეთიდან, ირანის ზეგანიდან, მდინარეების ადამისა და ლალას გაყოლებით გადაჭიმული სავაჭრო გზები. ამრიგად, ასურეთი თავისებურ გზაჯვარედინზე მდებარეობდა, რამაც ხელი შეუწყო აქ

ვაჭრობის ადრეულ განვითარებას და ასურეთის გადაქცევას ერთგვარ შუამავლად წინა აზიის სხვადასხვა ოლქებს შორის აღებ-მიცემობაში.

მცირე აზიიდან ასურიელ ვაჭრებს გაჰქონდათ ხელოსნური ნაწარმი, უმთავრესად ქსოვილები, ხოლო მცირე აზიიდან შემოჰქონდათ ვერცხლი, ტყვია, სპილენძი; ასურეთი ამ ბუნებრივი რესურსების სიმცირეს განიცდიდა.

დაახლოებით 1500 წ. ძვ. წ. ასურეთის პოზიციები საგარეო ვაჭრობაში სუსტდება, რაც ძირითადად გამოწვეული იყო სავაჭრო გზების დასავლეთით გადანაცვლებით, ამ პერიოდში ძირითად სავაჭრო ცენტრებად იქცა სირიისა და, განსაკუთრებით, ფინიკიის ქალაქები, სადაც თავს იყრიდა კრეტა-მიკენის, ეგვიპტის, ხეთების, მითანის მხარეებიდან მომავალი საქონელი.

ჩვ. წ. აღ-მდე XIII ს-ში ასურეთი ძველი სავაჭრო გზების ხელახალ აღორძინებას იწყებს, მაგრამ საგარეო ვაჭრობამ მაინც ვერ მოიპოვა ისეთი წამყვანი როლი, როგორიც მას ადრეულ პერიოდში ჰქონდა; ამის მიზეზი იყო მცირე აზიაში ხეთების ძლიერი სახელმწიფოს წარმოქმნა და სავაჭრო გზების გადანაცვლება უფრო დასავლეთით. ამასთან, ასურეთში ვაჭრობას უკვე ნაკლები პრიორიტეტი ენიჭებოდა. ქვეყანა სოფლის მეურნეობის განვითარებას შეუდგა.

ასურეთის სახელმწიფოში მიწის უმთავრეს მფლობელს სასოფლო თემი წარმოადგენდა. სათემო მიწის მთელი ფონდი შედგებოდა დასამუშავებელი მიწისაგან, რომელიც იყოფოდა ნაკვეთებად; ნაკვეთები ცალკეულ ოჯახებს ურიგდებოდა და პერიოდულად გადანაწილებას განიცდიდა. სათემო მიწებში შედიოდა კიდევ სათადარიგო მიწები, რომლებიც საერთო საკუთრებაში ითვლებოდა.

დასაშვები იყო მიწის გაყიდვა. ყველა ამ საქმიანობას მძლავრი ბიუროკრატიული აპარატი ახორციელებდა მეფის ხელმძღვანელობით.

ასურეთის ეკონომიკის და ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სალმანასარ V სახელმწიფოებრივმა რეფორმამ. ამ დროისათვის ასურეთის გაბატონებული კლასი ორად იყო დაყოფილი – ქურუმებად და ვაჭრებად. შედარებით ძლიერ და გავლენიან კლასს ვაჭრები წარმოადგენდნენ.

ახალასურულ ხანაში (ჩვ. წ. აღ-მდე IX ს) მეფეები განსაკუთრებულად ზრუნავდნენ სავაჭრო მაგისტრალების კეთილმოწყობაზე. ჩნდება მოკირწყლული გზები, მდინარეებზე აგებენ ხიდებს, ეწყობა გზების საგანგებო დაცვა. ახალასურულ, ხანაში თავისუფალი მოსახლეობის ფართო მწარმოებელ ფენებს ევალებოდათ სხვადასხვა ნატურალური გადასახადის გადახდა, საშენებლო და სამხედრო ბეგარის მოხდა, რომლის დიდი ნაწილი სავაჭრო გზების უსაფრთხოებაზე იხარჯებოდა.

✧ ურარტუ ტერიტორიულად მდებარეობდა სამხრეთ ამიერკავკასიის ირან-თურქეთის მომიჯნე ტერიტორიაზე.

ურარტუში მაღალგანვითარებული ბრინჯაოს მეტალურგიის გვერდით დაიწყო განვითარება რკინის მეტალურგიამაც. მაღალ განვითარებას მიაღწია ლითონის დამუშავებამაც. ურარტული ლითონის ნაწარმი განთქმული იყო ამ ქვეყნის გარეთაც და ფართო ექსპორტის საგანს წარმოადგენდა სირიაში, მესოპოტამიაში, ირანსა და წინა აზიის დასავლეთ ნაწილში ეგეოსის ზღვამდე.

✧ ელამი წინააზიური სამყაროს ერთ-ერთ უძველესსა და საკმაოდ მნიშვნელოვან სახელმწიფოს წარმოადგენდა. მისი ისტორია მჭიდროდ იყო დაკავშირებული

შუამდინარეთის უძველესი საზოგადოების ისტორიასთან. ელამი იყო დამაკავშირებელი რგოლი ირანსა და წინა აზიის კულტურულ ცენტრებს შორის.

ისტორიული წყაროები მიუთითებენ შუამდინარეთის ქალაქებსა და ელამს შორის არსებულ ვაჭრობაზე, რომელიც უკვე III ათასწლეულის დასაწყისიდან ამ ქვეყნებს შორის გაცხოველებით მიმდინარეობდა. ელამიდან შუამდინარეთში გაჰქონდათ ძვირფასი ხე-ტყე, ვერცხლი, ლითონი, ხოლო მესოპოტამიიდან ელამში შემოჰქონდათ ქერი და ზეთი.

◇ ირანი აზიური სამყაროს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო. მან სამხედრო ძალის გამოყენების დახმარებით ხელში ჩაიგდო მრავალი სავაჭრო გზის კონტროლი; შემოიერთა მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორია და უკვე ჩვ. წ. აღ-მდე VII ს-ში აქემენიდური ირანი ლიდიის სავაჭრო გზების მეპატრონე ხდება.

ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ ჩვ. წ. აღ-მდე VIII-VII სს-ის ურარტუს, ჩვ.წ. აღ-მდე VII-VI სს-ის მიდიის სამეფოსა და ჩვ. წ. აღ-მდე V ს-ის აქემენიდურ ირანს თავისი მეურნეობისათვის სამუშაო ძალის მოპოვების დაახლოებით ერთნაირი წყაროები ჰქონდათ — დამორჩილებული ქვეყნების მოსახლეობის ნაწილს მიწაზე ასახლებდნენ, როგორც სამეფო მონებს, ნაწილს კი სხვადასხვა სამუშაოებზე იყენებდნენ, მათ შორის სავაჭრო გზების მოსაწესრიგებლად.

ირანს სავაჭრო კავშირები გააჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფოებთან, არის ისტორიული წყაროები, რომელიც კოლხეთის სამეფოსთან სავაჭრო კავშირზე მიუთითებს.

✧ ინდოეთი გეოგრაფიულად სამ ნაწილად იყოფა: 1) ინდისა და განდის დაბლობი, 2) დეკანის მაღლობი, რომელიც გადაჭიმულია ვინდჰიას მთებიდან კრიშნასა და ტუნგაბჰადრას ხეობამდე და, 3) შორეული სამხრეთი. ამ გეოგრაფიულმა დანაწევრებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უძველესი ინდოეთის მოსახლეობის დიფერენციაციაში. ამ უზარმაზარ ნახევარკუნძულზე მცხოვრები ხალხები ენობრივად და ანთროპოლოგიურად დღესაც ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ინდოევროპული და დრავიდული.

ინდოეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არიელთა ტომმა (არია ნიშნავს ერთგულს) რომლებიც ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულს ჩასახლდნენ ინდოეთის ტერიტორიაზე. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი აღმოსავლეთ ევროპიდან მოვიდნენ.

არიელთა ტომმა ინდოეთში მესაქონლეობის კულტურა შეიტანა, მათ თანდათანობით დაამკვიდრეს სარწყავი არხების სისტემით მიწის მორწყვის მეთოდი; მოჰყავდათ: ხორბალი, ქერი, შაქრის ლერწამი, ბამბა, სხვადასხვა სახის ხილი და ბოსტნეული. სავაჭრო კავშირები გააჩნდათ მეზობელ ტომებთან.

დრავიდები — ინდოეთის ერთ-ერთი უძველესი მკვიდრნი — ძირითადად ცნობილი იყვნენ, როგორც კარგი მეზღვაურები და ვაჭრები. საერთოდ, ინდოეთს აქტიური ვაჭრობა ჰქონდა მეზობელ სახელმწიფოებთან და უკვე ჩვ. წ. აღ-მდე V-IV სს-ში მყარდება აქტიური სავაჭრო ურთიერთობა სპარსეთთან, ხოლო ჩვ. წ. აღ-მდე IV-ს შუა ხანებში, ბერძნებთან. ამ პერიოდში დიდი სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც ინდოეთიდან მთელი

აღმოსავლეთის გადაკვეთით კოლხეთში და შემდგომ საბერძნეთში ჩადიოდა, ახალ მნიშვნელობას იძენს, იგი არამარტო სავაჭრო გზა ხდება, არამედ ინფორმაციის მოპოვების (ჩვ. წ. აღ-მდე პირველი ფართომაშტაბიანი საინფორმაციო კავშირი) და სამხედრო დანიშნულების მაგისტრალად გადაიქცა.

✧ ჩინეთში უკვე ძვ. წ. II ათასწლეულში შუამდინარეთის, ეგვიპტისა და ინდოეთის მსგავსად, შეიქმნა ცივილიზაციის უძველესი და უმძლავრესი კერები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კაცობრიობის ისტორიაში.

ჩინეთის ეკონომიკა ჩვ. წ. აღ-მდე XI ს-მდე ძირითადად მიწათმოქმედებაზე იყო დამოკიდებული. მიწა მემკვიდრეობით გადადიოდა უფროს ვაჟიშვილზე, მოგვიანებით მიწის ნაკვეთი ყიდვა-გაყიდვის საგნად იქცა. სახელმწიფოში არსებობდა გადასახადების კარგად აწყობილი სისტემა.

ძვ. წ. 597 წ. ჩინეთში ძლიერდება ვაჭართა კლასის ზედა ფენა — "და შანჟენი", რომლებიც ძირითადად საგარეო ვაჭრობით იყვნენ დაკავებული, ხოლო რაც შეეხება "შუმინს" წვრილ ვაჭრებს (დაკავებული ქვეყნის შიდა ვაჭრობით) და მონებს ("ნული"), მათი მდგომარეობა უარესდება. "შიძინ"-ში ვკითხულობთ: "სილარიბიდან სიმდიდრისაკენ გადასვლა გლეხისათვის უფრო ძნელია, ვიდრე ხელოსნისათვის, ხოლო ხელოსნისათვის უფრო ძნელია, ვიდრე ვაჭრისათვის".

ჩვ. წ. აღ-მდე II ს-ში ჩინეთის საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვნად ვითარდება, იგი უკავშირდება დასავლეთის შორეულ ქვეყნებს, სადაც გაპკონდათ პირველ რიგში ჩინეთის ცნობილი აბრეშუმი. რომში ჩინელებს

უწოდებდნენ სერებს ე. ი. აბრეშუმის მწარმოებლებს ("სერ" წარმოადგენს ჩინური სიტყვის სი-ს - "აბრეშუმის" - ბერძნულ ტრანსკლიფციას), მთელი რიგი ქალაქები (გუანხანი, ჩენდუ, ინიანი, იუანი) სავაჭრო ცენტრებად იქცა. გაიზარდა ფულის მიმოქცევა. გაჩნდა სპილენძისა და კალის, რკინისა და ტყვიის შენადნობი მონეტები. ძვ. წ. 115 წ-ს მონეტების მოჭრაზე დაწესდა სახელმწიფო მონოპოლია. მიმოქცევაში იყო ოქროს ზოდები, რომელთა წონაც ერთ ძინ-ს (244 გრამი) უდრიდა. ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებდნენ მევახშეებიც, რომელნიც იძლეოდნენ, როგორც წესი 20% სესხს.

✧ ბერძნები დუნაისპირა მიდამოებიდან გადმოსახლდნენ და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მაცხოვრებელ ტომებს შეერიენ (ძვ. წ. აღ III ათასწლეული). ძვ. წ. აღ. II ათასწლეულიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე თანდათანობით მცირე სამეფოები იქმნება, რომლებიც ჯერ ერთმანეთთან და შემდეგ მეზობელ ქვეყნებთან აქტიურ სავაჭრო კავშირებს ამყარებენ, განსაკუთრებით კი შავიზღვისპირა ქვეყნებთან.

საბერძნეთის ნაკლებად ნოყიერი მიწა ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას არ აძლევდა ხორბალი დიდი რაოდენობით მოეყვანათ. ამიტომ, ისინი ხორბლის იმპორტს აწარმოებდნენ; ძირითადად იგი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოჰქონდათ.

ჩვ. წ. აღ-მდე XV ს-ში ბერძნებს აქტიური აღებ-მიცემა ჰქონდათ ქ. კრეტის მაცხოვრებლებთან (მათგან დამწერლობაც შეითვისეს), ხოლო ჩვ. წ. აღ-მდე XV ს-ის შუა ხანიდან კუნძულ როდოსის და აღმოსავლეთით მდებარე კუნძულის მაცხოვრებლებთან.

ჩვ. წ. აღ-მდე XIV-XIII სს-ში ბერძნები რეგულარულ კავშირს ამყარებენ სირიასთან, ფინიკიასთან, ეგვიპტესთან. ამ პერიოდში მცირე აზიის ტერიტორიაზე ბერძნული ახალშენები გაჩნდა.

არგონავტების მოგზაურობა სავაჭრო კავშირების დამყარების საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ შავი ზღვის უძველეს სახელმწიფოებს და საბერძნეთს შორის; მათ შორისაა კოლხეთი (ზოგიერთი მეცნიერების ვარაუდით ეს მოხდა ძვ. წ. აღ. 1189-1180 წწ-ში. - ა. გელოვანი მითოლოგიური ლექსიკონი თბილისი 1983წ.). არგონავტების მითში აისახა ბერძენთა პირველი ურთიერთობა კოლხეთთან, რომელიც ცნობილი იყო ოქროთი, ვერცხლით, საუკეთესო ჯიშის საქონლით და სელის ტანსაცმლით.

ჩვ. წ. აღ-მდე III-I სს-ში საბერძნეთში ფუნქციონირებს მრავალი სავაჭრო ნავსადგური, აქ თავს იყრის აღმოსავლეთის საქონელი ჩინური აბრეშუმიდან დაწყებული ხალიბების განთქმული ფოლადის ნაწარმით დამთავრებული.

✧ იტალიის ტერიტორიაზე ბევრად უფრო ადრე გაჩნდა ადამიანების დასახლება ვიდრე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და უკვე ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. აღ-ით II ათასწლეული) იტალიის ტერიტორიაზე იქმნება ძლიერი ტომებრივი გაერთიანებები, რომლებსაც ერთმანეთთან მჭიდრო სავაჭრო კავშირები გააჩნდათ.

ძვ. წ. აღ-ით I ათასწლეულში იტალიის წინაპრებმა რკინის დამუშავება დაიწყეს, ჩნდება ქალაქის ტიპის დასახლებები. არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ ამ პერიოდის დასასრულს იტალიელებს კავშირი გააჩნდათ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მაცხოვრებელ

მოსახლეობასთან.

ჩვ. წ. აღ-მდე VII ს-ში ეტრუსკების ქალაქებში ტარვინიაში, ცერეში, ვეტულონიაში ყალიბდება ვაჭართა ძლიერი კლასი, ხოლო ჩვ. წ. აღ-მდე V-III სს-ში იტალიაში ვაჭართა კლასი იმდენად გაძლიერდა, რომ წარმართავდა რომის პოლიტიკას. ძვ. წ. 268 წელს ძველი იტალიის საგარეო ვაჭრობის გააქტიურებამ და გაფართოვებამ ვერცხლის მონეტების მოჭრის აუცილებლობის საკითხი დასვა და ამავე წლის მიწურულს სპილენძის მონეტების პარალელურად ხმარებაში შემოდის ვერცხლის მონეტები.

ჩვ. წ. აღ-მდე III ს-ის დასასრულს იტალიაში განსაკუთრებულად ვითარდება საზღვაო ვაჭრობა. კართაგენელები ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ კუნძულებზე ქმნიან მძლავრ სავაჭრო-კოლონიალურ ტერიტორიებს; სავაჭრო-კოლონიალური ქალაქები მიმოფანტული იყო ტუნისში, მაროკოს სანაპიროების გასწვრივ, სამხრეთ ესპანეთში, აღმოსავლეთ სიცილიაში, კორსიკაზე.

იტალიელებს შემოჰქონდათ ოქროს ქვიშა, სპილოს ძვალი, აფრიკის დასავლეთ სანაპიროებიდან კალა, ბრიტანეთიდან - ქარვა, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებიდან ქსოვილები და საკვები პროდუქტი.

ჩვ. წ. აღ-მდე I ს-ში იტალიის სამხედრო და პოლიტიკური გავლენა აღმოსავლეთ ქვეყნებში შესუსტდა, მაგრამ სავაჭრო კავშირებს იგი ინარჩუნებდა.

* * *

დაიმახსოვრე

* ათვისების პოლიტიკა. ფასების პოლიტიკის ერთ-ერთი ვარიანტი. იგი საქონლის ბაზარზე გატანის პირველ ეტაპზე გულისხმობს მაღალ ფასებს, მაგრამ შემდგომში ფასების კლების ტემპი ძალზე სწრაფია. ამ პოლიტიკის შემთხვევაში ხდება ფასობრივი დისკრიმინაცია დროში. საწყის ეტაპზე მიიღება ზემოგება, ხოლო ფასების კლების კვალობაზე ბაზრის ახალ-ახალი სეგმენტების ღაპყრობა, რაც რეალიზაციის მოცულობის გაზრდის საშუალებას იძლევა.

* ხელშეკრულებაში ანგარიშსწორების პირობები. საგარეო-სავაჭრო კონტრაქტის სახელშეკრულებო-სამართლებრივი რეკვიზიტები. მათი საშუალებით დგინდება მოხდება თუ არა საქონლის გაყიდვა ნაღდ ფულზე ან კრედიტში. ანგარიშსწორების პირობების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია გადახდის წესი. საგარეო-სავაჭრო კონტაქტში დგინდება საქონლის მოძრაობის რომელ სტადიაზე მოხდება მისი ანაზღაურება. მოხდება იგი ერთდროული თანხის შეტანით თუ ნაწილ-ნაწილ. ზოგიერთ შემთხვევაში გადასახდელი თანხის ნაწილი გადაიხდება ნაღდით, ხოლო დანარჩენი ნაწილი ნაზღაურდება კრედიტით. საქონლის ექსპორტირებისას უმჯობესია ნაღდი ანგარიშსწორება, ხოლო იმპორტირებისას კომერციული ან საბანკო კრედიტის გამოყენება.

* ბარტერული გარიგება. უვალუტო, მაგრამ შეფასებული და დაბალანსებული საქონელგაცვლა, რომელიც ფორმდება ერთიანი ხელშეკრულებით.

საქონლის შეფასება ხდება იმ მიზნით, რომ განხორციელდეს ექვივალენტური გაცვლა, საბაჟო აღრიცხვა, პრეტენზიების აღნუსხვა. ექვივალენტურობის საფუძველია საქონლის გაცვლა მსოფლიო ბაზრის ფასების მიხედვით. ბარტერული გარიგების ძირითადი მიზეზია თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის ნაკლებობა, მისი კურსის მერყეობა.

* დემპინგი. საქონლის ექსპორტირება სხვა ქვეყნების ბაზრებზე იმ ფასებად, რომლებიც ნაკლებია ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზრის ფასებზე, ან საქონლის თვითღირებულებაზე. დემპინგის მიზანია ბაზარზე შელწევა, პოტენციური კონკურენტების გამოდევნა, ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის დაკავება. დემპინგი შეიძლება განხორციელდეს როგორც ფირმა ექსპორტიორის საკუთარი სახსრებით, ასევე ქვეყნის დახმარებით. ამ შემთხვევაში სახელმწიფო აწესებს სუბსიდიებს ბიუჯეტიდან ექსპორტიორებისათვის.

* დილერი. იმ ფიზიკური და იურიდიული პირების აღმნიშვნელი განზოგადებული ცნება, რომლებიც ახდენენ საქონლის ყიდვასა და გაყიდვას უპირატესად საკუთარი სახელითა და საკუთარი სახსრებით. დილერის მოგება ყალიბდება როგორც ფასთა სხვაობა ნაყიდ და გასაყიდ ფასებს შორის. გასაღების სისტემაში დილერი ყველაზე ახლოს დგას მომხმარებელთან. ასევე დილერებს წარმოადგენენ საბირჟო შუამავლები, რომლებიც არიან საფონდო ბირჟის წევრები და ახდენენ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას.

* დისკრიმინაცია საგარეო ვაჭრობაში. ერთნაირი რეჟიმის პრინციპის დარღვევა. ერთნაირი რეჟიმის

პრინციპი მიღებული იქნა გაეროს მიერ. ფაქტიურად ეს პრინციპი ხშირად ირღვევა, როცა ერთი ქვეყანა მეორე ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ანიჭებს საკუთარ ტერიტორიაზე ვაჭრობის განსაკუთრებით ხელშეშწყობ პირობებს.

* ჯეტროს სისტემა. ბაზარზე ყოველმხრივი და მუდმივი დაკვირვება. ამ სისტემას განსაკუთრებით კარგად იყენებენ იაპონელი მწარმოებლები, რომლებსაც ხელს უწყობს მთავრობა. სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებში მუშაობენ სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც მუდმივად ახდენენ ინფორმაციის შეგროვებას ამ ქვეყნის ეკონომიკის, საბაზრო კონიუნქტურის შესახებ. ჯეტროს სისტემამ იაპონელ მწარმოებლებს მიანიჭა ძალზე დიდი უპირატესობები. ეს გამოიხატება მათ ძალზე სწრაფ რეაგირებაში ბაზრის მოთხოვნებზე. ჯეტროს სისტემა მარკეტინგული კვლევის ერთ-ერთი ორგანიზაციულად ყველაზე სრულყოფილი სისტემაა.

*

II თავი

საქართველოს საგარეო ვაჭრობის გვიანდელი სტადია.

> პოლიტიკო-ეკონომიური მდგომარეობა საქართველოსი იმ გვარია, რომ ჩვენ გვესაჭიროება ჩვენი ერის ეკონომიკურად გაერთიანება. ეს გაერთიანება, ვრცელი შრომის განაწილებაზედ და არა კლასიურ ანტაგონიზმზედ აშენებული. საჭიროა ჩვენი ეროვნულობის წარმატებისათვის.
>
> არჩილ ჯორჯაძე

ახ. წ. I ს-ის საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებ ინფორმაცია მოიპოვება ისტორიკოსისა და გეოგრაფის სტრაბონის ნაშრომში - "გეოგრაფია", რომელშიც იგი საქართველოში 4 დიდი სავაჭრო მაგისტრალის არსებობის თაობაზე მიუთითებს, კერძოდ: კოლხეთის, არაგვის ხეობის, ალბანეთის და არმენიის.

საქართველოში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მნიშვნელოვნად გაფართოვდა ადრეულ ქრისტიანულ ხანაში. ჩვენმა წინაპრებმა არამარტო შეინარჩუნეს ძველი სავაჭრო კავშირები, არამედ ახალი უფრო აქტიური ურთიერთობები გააბეს სასანიდურ ირანთან (III ს) და ბიზანტიის იმპერიასთან (IV ს). ამ პერიოდში საქართველოში ბიზანტიელებს შემოჰქონდათ: აბრეშუმი, ნელსაცხებელი, სპილოს ძვალი, ოქრო; სანაცვლოდ კი გაჰქონდათ მინისა და საფეიქრო ნაწარმი, რკინის ნაკეთობა, ძოწეული და სხვა.

V ს-ში შედგენილ ანონიმურ ისტორიულ წყაროში "პონტუს პირიპლუსი", ნათქვამია, რომ ქ. ფასისში სავაჭროდ ჩამოდიოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე 60 ტომის დიდვაჭრები. მათ შორის იყვნენ "ბარბაროსები ინდოეთიდან და ბაქტრიიდან".

V ს-ის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო თვალსაჩინოდ იწყო გამოჩენა ახალმა მოვლენებმა. კერძოდ, ამ დროისათვის ძალიან შორს წავიდა ძველ თავისუფალ მიწათმოქმედთა – "ერის" – დიფერენციაციის პროცესი, გაჩნდა მდიდარ ვაჭართა კლასი, რომლებიც უფრო ლოიალური პოლიტიკის მომხრენი იყვნენ მოძლიერებული სპარსეთის სახელმწიფოს მიმართ. ამან განაპირობა ვახტანგ გორგასალის სიკვდილის შემდეგ ქართლის დიდი ქალაქების ციხეებში სპარსეთის ჯარის ჩადგომა, რომელიც საგარეო სავაჭრო პოლიტიკას აკონტროლებდა.

დაახლოებით მსგავსი ვითარება იყო ეგრისში, აქ საგარეო ვაჭრობას მთლიანად რომაელები აკონტროლებდნენ. იმ დროინდელი რომაელი მოხელეები ცნობილი იყვნენ თავისი სიხარბით, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ციბე. ციბემ ეგრისში თავისუფალი ვაჭრობა ოითქმის მოსპო. ვაჭრებს ნება არ ჰქონდათ თვითონ შემოეტანათ ეგრისში საქონელი, არც ეგრისელებს ჰქონდათ უფლება თავის ნებაზე გაეყიდათ საქონელი. როგორც შემოსატან, ისე გასატან საქონელს ჯერ ციბეს ხელში უნდა გაევლო და ფასებსაც მათ თვითონ ციბე უწესებდა. ხშირ შემთხვევაში ეგრისელებს აიძულებდნენ ისეთი საგნებიც ეყიდათ, რომლებიც მათ სრულებით არ სჭირდებოდათ.

VI ს-ში ეგრისი ფართო ვაჭრობას აწარმოებდა; გაჰქონდა: ტყავეულობა, ბეწვეულობა და სხვა ნეიღლეული. სანაცვლოდ შემოჰქონდათ მარილი, ქსოვილი, საძეურნეო იარაღი. ეგრისელები უმთავრესად ვაჭრობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქვეყნებთან, პირველ რიგში - -პონტოსა და ყირიმთან.

VII-VIII სს-ში ბიზანტიასა და არაბთა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გამწვავებამ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების ორიენტაცია შეცვალა, კერძოდ არაბეთმა საქართველოს უშუალოდ თბილისის გავლით სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებთან, საიდანაც შემოჰქონდათ ძვირფასი ბეწვეული და მოჰყავდათ ტყვეები (მონები). დროის ამ პერიოდში თბილისი პოლიტიკურად მოწყვეტილი იყო ქართულ ეროვნულ ორგანიზმს, იგი მეტწილად სამეურნეო და სავაჭრო ცხოვრებით იყო დასაქმებული და არაბეთის სახალიფოს სავაჭრო იმპერიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. თბილისი სავაჭრო გზებით იყო დაკავშირებული საქართველოს ყველა კუთხესთან, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიასთან. თბილისელი ვაჭრები უკავშირდებოდნენ ამიერკავკასიის ქალაქებს -ანისს, დარუბანდს, დვინს, ბარდავას. თბილისში 704 წელს მოიჭრა არაბული მონეტა.

VIII-ს-ში არაბთა ბატონობის შესუსტებამ განაპირობა ქართლის თემების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით კი კახეთის. კახელები ეურჩებოდნენ არაბებს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ თავისი სამეურნეო საქმე დამოუკიდებლად ეწარმოებინათ. განაპირა თემების გაძლიერება თბილისსაც დაეტყო და IX საუკუნეში

თბილისი მნიშვნელოვნად გაიზარდა. X საუკუნის არაბი გეოგრაფი ისთაჰრი წერდა: "ტფილისი დარუბანდზე ნაკლებია და ორი კედელი აქვს თიხისა. სიმდიდრით სავსე ადგილია, მრავალ ხილიანი-ნაოესებიანი, მრავალი საქონელი და თაფლი მტკვრით მიაქვთ იქიდან". იმ დროის საქართველოს სავაჭრო ქალაქად შეიძლება მივიჩნიოთ არტანუჯი (კლარჯეთი), აქ მოაქვთ საქონელი ტრაპიზონიდან, იბერიიდან, აბაზგიიდან, სირიიდან.

ტაო-კლარჯეთში მოჭრილი ფული (X ს) ნაპოვნია რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებში და ბალტიის ზღვის ნაპირებზე.

ამრიგად შეგვიძია დავასკვნათ, რომ I-X სს-ში საქართველოზე გადიოდა საკმაოდ ბევრი სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელთა მეშვეობითაც მცირე აზიის, აღმოსავლეთ აზიის და ევროპის ქვეყნები მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული.

XI-ს 80 წლებიდან საქართველოს პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იწყება. ტახტზე ადის გიორგი მეორეს ძე - დავით IV, რომელმაც მოკლე ხანში შესძლო საქართველოს ტერიტორიიდან თურქ-სელჯუკების გარეკვა, დაიბრუნა მათ მიერ დაკავებული ციხე-სიმაგრეები და ხელსაყრელი პირობები შექმნა საგარეო ვაჭრობისათვის.

XI-XII სს-ში საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა განსაკუთრებით გაძლიერდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რომლებიც ამ პერიოდში მსოფლიო ვაჭრობის ცენტრები იყო.

საქართველოში მატყლი და პარფიუმერია შემოდიოდა ალექსანდრიიდან. ამ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა,

რადგან ალექსანდრია იმ დროის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სატრანზიტო პუნქტი იყო, მას მსოფლიოს ბაზარსაც უწოდებდნენ. ალექსანდრია ბაღდადთან (ერაყის დედაქალაქი) ერთად მსოფლიო ბაზარზე საქონლის ფასს არეგულირებდა.

თამარ მეფის დროიდან (გიორგი III-ის ქალიშვილი) 1184 წ-ს საქართველოში იწყება დიდი მასშტაბის სოციალური მოძრაობა, რომელსაც მეთაურობდა საქართველოს მეჭურჭლეთ-უხუცესი ყულთუ-არსლანი. მას სურდა თავის მომხრე დიდგვაროვნებთან ერთად დაუფლებოდა სამეფო ხელისუფლებას, რის მიღწევასაც საკანონმდებლო დაწესებულების -"კარვის" (პარლამენტის მსგავსი ორგანო) დაარსებით აპირებდა. ამავე საუკუნის დამლევს ვაჭრები დაუპირისპირდნენ ქართველ ფეოდალებს, ხოლო ყოველივე ეს მიუთითებს, რომ საქართველოში დასავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად (საფრანგეთის ქ. კლერმონის ვაჭრებისა და სენიორების შეტაკება, რომელიც ისტორიაში კომუნალური მოძრაობის სახელითაა ცნობილი; იტალიის 15 ქალაქის ლიგის ჯარების მიერ 1176 წ-ს ფეოდალების ჯარის სასტიკად განადგურება) ფეოდალური კულტურის რღვევისა და ქალაქური ვაჭრული ცივილიზაციის განვითარების ნიშნების ჩამოყალიბებაზე. თამარ მეფის დროს გამოსვლებს ძირითადად სოციალური ხასიათი ჰქონდა.

XII ს-ის თბილისის სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებზე სათანადო წარმოდგენას გვიქმნის არქეოლოგიური გათხრები. კერძოდ, თბილისში მრავლადაა ნაპოვნი ჭურჭელი, რომელიც აღმოსავლური წარმოშობისაა (ირანული, ქუფური და სხვა). ამასვე მოწმობენ ქალაქში და მის გარეუბნებში აღმოჩენილი

ბიზანტიური, აგრეთვე შირვან შაჰების, დერბენდის, ეიბიანთ, ელდიგუზიანთა, ორტუკიანთა და რუმის სულთანთა მონეტები.

თბილისი სავაჭრო მაგისტრალებით იყო დაკავშირებული, როგორც ახლო მდებარე ქვეყნებთან, ისე ახლო და შუა აღმოსავლეთის ქალაქებთან (რეი, ზენჯანი, ქერმანი...), ბიზანტიასთან, ინდოეთთან, ჩინეთთან, რუსეთთან. ეს კავშირი მყარდებოდა დერბენდის და დარიალის გზებით. თბილისიდანვე გადიოდა გზა ბარდავში, იქიდან კი დერბენდში, საიდანაც შესაძლებელი იყო წასვლა ხაზართა ქვეყანაში და რუსეთში. თბილისი-ბარდავის სავაჭრო გზით თბილისი უკავშირდებოდა სპარსეთის ქალაქებს, საიდანაც გზები იყრებოდა არაბეთსა და ეგვიპტის მიმართულებით. ასევე აქტიური სავაჭრო კავშირი იყო დამყარებული ბიზანტიასთან, რომელთანაც კავშირი შავი ზღვის ქალაქების მეშვეობით ხორციელდებოდა. თბილისში ტვირთის საზიდად გამოიყენებოდა მდ. მტკვარი, რომლის ნაპირზეც მრავალი ნავსაყუდელი იყო აშენებული. XII ს-ში თბილისში ერთ-ერთი ყველაზე განთქმული სავაჭრო ცენტრი იყო "ხიდის უბანი".

XII საუკუნის მიწურულს საქართველოში ძირითადად საქონელი შემოჰქონდათ (იმპორტი) ბაღდადიდან, არაბეთიდან, სპარსეთიდან, - ოქროქსოვილები, სურნელებანი, ნელსაცხებელნი, ქაღალდი, ძვირფასი ქვები; საბერძნეთიდან - ქსოვილები. გაჰქონდათ (ექსპორტი): სახნისის ქვაბი, ხარის ტყავი, მაღალი ჯიშის ცხენი, უნაგირი, ქალამანი. ამ პერიოდში ვაჭრობა ისე განვითარებულა, რომ დაარსებულა ბანკის ტიპის დაწესებულება, რომელსაც იმ დროს ორტაღს

უწოდებდნენ.

საგარეო ეკონომიკური კავშირების გააქტიურებას და გაფართოვებას ქვეყნის შიდა ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფი აღმავლობა მოჰყვა, ხოლო ხელსაყრელმა ეკონომიკურმა ვითარებამ საქართველოს პოლიტიკური პოზიციები მცირე აზიაში კიდევ უფრო გააძლიერა. XII საუკუნის საქართველოსთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ "... საქართველო თავის ისტორიულ წარსულში არასოდეს ისეთ ხელსაყრელ პოლიტიკურ გარემოში არ მოქცეულა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა XI-XII ს-ში, არასოდეს ის ისეთს ინტენსიურ კულტურულ ურთიერთობაში არ ყოფილა ერთსა და იმავე დროს აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებთან, როგორც ეს იყო X-XII საუკუნეებში".

XIII ს-ის 20-იანი წლებიდან მონღოლთა მომთაბარე ტომების შემოსევისა და მათი ხანგრძლივი ბატონობის შედეგად, საერთო ვითარება შეიცვალა, საგარეო ვითარება გართულდა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო კავშირურთიერთობა მნიშვნელოვნად შესუსტდა, საქარავნო-სავაჭრო გზები გაპარტახდა, მიმოსვლა სახიფათო შეიქმნა და, ბუნებრივია, საქართველო დროებით მოწყდა მეზობელ ქვეყნებთან პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას და რასაკვირველია ევროპასაც.

1314 წ. საქართველოს სამეფო ტახტზე ადის გიორგი მეხუთე, ბრწყინვალედ წოდებული (დემეტრე თავდადებულის ძე), რომელმაც მოქნილი პოლიტიკით შეძლო ირანის სამეფოს დაახლოება და მონღოლთა განდევნა. გიორგი ბრწყინვალე აქტიურად შეუდგა ქვეყნის

სავაჭრო გზების აღდგენას და, უკვე, ამავე საუკუნის 30-იან წლებში საქართველოს აქტიური სავაჭრო კავშირები ჰქონდა ოქროს ურდოსთან, ირანისა და მცირე აზიის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ჩრდილო იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებთან. საგრძნობლად გამოცოცხლდა კავშირები ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებთანაც. ამ პერიოდში საქართველოს იმპორტს შეადგენდა: თევზი (შემოჰქონდათ მოვაკანის მხრიდან), ქაღალდი (შემოჰქონდათ დამასკოდან), აბრეშუმი და ნოხები (ირანიდან), პარფიუმერია (იტალიიდან), სპილოს ძვლის ნაკეთობანი (ინდოეთიდან), ხოლო ექსპორტს წარმოადგენდა: კერამიკული ნაკეთობანი, ლითონის ჭურჭელი, მაღალფეხებიანი ავეჯი, ჩირი, ღვინო, ნავთი. ნავთთან დაკავშირებით საინტერესოა XIII ს-ის ვენეციელი მოგზაურის მარკო პოლოს ცნობა, იგი წერს: "ეს ზეთი საჭმელში არ იხმარება... შეიძლება მისი წარმატებით გამოყენება გასანათებლად".

საქართველოს აღმავლობა არც ამ დროს გაგრძელებულა დიდხანს; XV ს-ის შუა პერიოდიდან შავი ზღვის აუზში ოსმალეთის (ამჟამინდელი თურქეთი) გაძლიერება-გაბატონებამ ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში საერთაშორისო ვითარება კვლავ დაძაბა; დაეცა ქრისტიანული სამყაროს ციტადელი კონსტანტინოპოლი (ბიზანტიის დედაქალაქი) და საქართველო მარტო აღმოჩნდა უზარმაზარი მუსულმანური სამყაროს წინაშე. საქართველოს საერთო ვითარების კიდევ უფრო გაუარესება გამოიწვია აღმოსავლეთის და ევროპის სავაჭრო მაგისტრალის გაუქმებამ.

XV ს-ის ბოლოს ცალკეულ სამეფოებად დაქუცმაცებული საქართველო, ძირითადად აზრეთის

და ჩრდილოეთის ქვეყნებთან ახორციელებს ვაჭრობას. ამ პერიოდში განვითარდა ვოლგა-ასტრახანის სამდინარო სავაჭრო გზა, რომელიც ირანსა და აღმოსავლეთ საქართველოს მოსკოვთან აკავშირებდა. XV ს-ში საქართველომ საბოლოოდ დაკარგა მდიდარი აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნების დამაკავშირებელი ფუნქცია, იგი თანდათანობით იძენს ბუფერული სახელმწიფოს როლს, რომელიც ჩამორჩენილი რუსეთის და არაპროგრესული სპარსეთის ინტერესების დამაკავშირებელი ხდება.

XV-XVIII სს-ში საქართველოს ყველა სამეფო მეტწილად შინაურ და გარეშე ომებში იყო ჩართული, რის გამოც მათი საგარეო სავაჭრო არეალი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ პერიოდში სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდა ქალაქები: თბილისი, გორი, ქუთაისი და ფოთი. საქონელი ირანიდან და თურქეთიდან შემოდიოდა, ძირითადად კი ირანის მეშვეობით საქართველო უკავშირდებოდა შორეულ ქვეყნებს: ინდოეთს, ჩინეთს, საფრანგეთს.

XVII ს-ის საქართველოს იმპორტი შედგება: აბრეშუმი, ძვირფასი ქვები, იარაღი, საფეიქრო ქსოვილი, მარილი, თამბაქო, ბამბა, ბრინჯი, ტყავეული, შაქარი, თევზი, ხალიჩები, ქაღალდი, სარკეები, თიხისა და მინის ჭურჭელი, მატყლი, საეკლესიო ნივთები, რკინის ნაკეთობა. სანაცვლოდ საქართველოდან გაჰქონდათ: აბრეშუმის ჭიის ჭუპრი, ღვინო, ხილი, ნიგოზი, თაფლი, არყის ხე.

XVIII ს-ში საქართველოს ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორია თურქეთი, საიდანაც შემოჰქონდათ: ცხენის მოსართავები, უნაგირი, ხმლები, ზანდუკები, ხალიჩები, საბნები, ტყავეული, მაუდი, შალეული, რკინა,

აბრეშუმის ქსოვილი, დამარილებული თევზი, ხიზილალა, დანები, პილპილი, შაქარი, მარილი, ქაღალდი. ამ გზით შემოდიოდა ევროპის საქონელიც: კანაფი, თაფლი, ცვილი, სელი, ბრინჯი, ძაფი, კვერნისა და წავის ბეწვი, ბზიის ხეები.

ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან აშკარაა, რომ XV ს-დან საქართველო მკაცრად იმპორტიორ ქვეყნად გადაიქცა.

XVIII ს-დან საქართველოზე გამავალი ირან-თურქეთის სავაჭრო გზა პოლიტიკურ დატვირთვას იძენს. რუსეთის დაინტერესება საქართველოთი ამავე საუკუნის 50-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად იზრდება, იგი საქართველოს აღიქვამს, როგორც მცირე აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისაკენ გამავალ გასაღებს. ამ ფაქტზე მეტყველებს ეკატერინე II დიპლომატების მიერ შემუშავებული ახლო აღმოსავლეთის ათვისების გრანდიოზული გეგმა ("საბერძნეთის პროექტი"), რომლის განხორციელებაც "გიორგიევსკის ტრაქტატის" გაფორმებით და, მოგვიანებით, რუსეთის მიერ ამ ტრაქტატის დარღვევით დაიწყო.

რუსეთის მიერ კავკასიელი ერების დაპყრობა მათი ეკონომიკით ხასიათდებოდა. რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში ითვალისწინებდა ქართველი ერის, როგორც კავკასიელი ერების შემაკავშირებელი ძალის განადგურებას. ამასთან იცოდა რა ევროპის ქვეყნების დაინტერესება საქართველოთი, იგი სამხედრო და პოლიტიკურ მეთოდებთან ერთად საქართველოში ფეხის მოსაკიდებლად ეკონომიკურ ანექსიასაც ახდენდა; რუსეთის საქონელმა წალეკა საქართველოს ბაზარი, რამაც ევროპისა და მცირე აზიის ქვეყნების ვაჭრების განდევნა მოახდინა. ისეთ

დიდ სავაჭრო ქალაქებიდან, როგორებიც იყო თბილისი, გორი და ფოთი.

XVIII ს-ის 90-იან წლებში საქართველო ეკონომიკურად მიება რუსეთს და უკვე "ჩრდილოეთის გზით" უკავშირდებოდა ევროპის ბაზრებს. ამ პერიოდის იმპორტი შედგებოდა: რუსული - ბეწვეული და საღებავი, გერმანული - დანები და ნემსები, ესპანური - მაუდი და გარნიტურა, ფრანგული- პარფიუმერია, ჩეხური - მინა, ჩრდილოეთ კავკასიური - ცხენები.

მსოფლიო საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა (I-XVIII სს)

XVIII ს-ში ქვეყნებს შორის ჩამოყალიბდა საგარეო ვაჭრობის სრული სტრუქტურა, სადაც მკვეთრად გამოიხატა ქვეყნებს შორის დამოკიდებულების და ურთიერთდამოკიდებლობის კავშირი; ნათლად ჩამოყალიბდა საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე მოქმედი შემდეგი ფაქტორები, კერძოდ:

1. ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია;
2. კოლონიური ქვეყნების ბაზრების და რესურსების აქტიური ათვისება;
3. თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობის ნიშნების გააქტიურება;
4. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება.

ჩამოყალიბდა მსოფლიო ვაჭრობის გეოგრაფიული სტრუქტურა, რომელშიც შეიმჩნევა საგარეო ვაჭრობის შემდეგი პროპორცია: 1. მსოფლიო ვაჭრობის დიდი ნაწილი ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებს

შორის სრულდება;

2. ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებზე მსოფლიო ვაჭრობის უდიდესი წილი მოდის;

3. კოლონიური და ეკონომიკურად სუსტად განვითარებული სახელმწიფოების ექსპორტის უდიდესი ნაწილი ბუნებრივი რესურსებისაგან და ნედლეულისაგან შედგება.

მსოფლიოში ჩამოყალიბდა ეკონომიკური სისტემის ორი ტიპი. ესენია:

1. ტრადიციული;
2. თავისუფალ მეწარმეობითი.

I-XVIII სს-ის მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მოკლე ისტორია

✧ იტალიის ტერიტორიაზე (ჩვ. წ. აღ-მდე I ს) გადიოდა მრავალი სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც აკავშირებდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე განლაგებულ სახელმწიფოებთან, ხოლო ესპანეთის სრული დაპყრობის შემდეგ რომაელების კონტროლს დაექვემდებარა ევროპის სავაჭრო გზების უდიდესი ნაწილი. I ს-ში კი მჭიდრო ეკონომიკური კავშირი დაამყარა ირლანდიის, შოტლანდიის და უელსიის სახელმწიფოებთან.

IV-VI სს-ში რომის იმპერიის თანდათანობითი განადგურების შემდეგ იტალიის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები სამხრეთ და მცირე აზიის ქვეყნებთან მნიშვნელოვნად შესუსტდა.

VI-VII სს-ში იტალიის ტერიტორიაზე რომის

იმპერიის ერთადერთ შემორჩენილ პოლიტიკურ ორგანიზაციად შეიძლება მივიჩნიოთ — საპაპო, რომელმაც იმ დროინდელი საფრანგეთის ხელშეწყობით დამოუკიდებლობას მიაღწია და სავაჭრო-ეკონომიკურ პოლიტიკას თვითონ განსაზღვრავდა.

X ს-ში იტალია საჰერცოგოებად და საგრაფოებად დაყოფილ ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელსაც სავაჭრო კავშირები გააჩნდა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან, პოლონეთის სამეფოსთან, ინგლისის სამეფოსთან და ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან. XI საუკუნის 40-იან წლებში მის ტერიტორიაზე შეიქმნა მძლავრი სავაჭრო პორტები, მათ შორისაა: გენუა, ვენეცია, პიზა. ამ ქალაქებში ჩამოყალიბდა ძლიერი ვაჭართა კლასი, რომლებმაც ქალაქის მართვის სადავეები ჩაიგდეს ხელში.

XIII-XV სს-ში იტალია სავაჭრო ურთიერთობებს აღრმავებს ევროპის ისეთ განვითარებულ სახელმწიფოებთან, როგორებიცაა საფრანგეთი, ესპანეთი, უნგრეთის სამეფო და ოსმალეთის იმპერია.

XV საუკუნის ბოლოს შეიმჩნევა იტალიის ეკონომიკის დაცემა, ძირითადად რეგრესია აღინიშნა მრეწველობაში; ევროპის ბაზრებიდან თანდათანობით ვაიდევნა იტალიური საქონელი, ხოლო დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა იტალიის სავაჭრო კავშირები დასავლეთის ქვეყნებთან მნიშვნელოვნად შეამცირა, იგი აშკარად ჩამორჩა მეზობელ სახელმწიფოებს მზარდ კოლონიალურ ვაჭრობაში, რომელმაც თავისი ასახვა შემდგომ საუკუნეებშიც ჰპოვა. თუმცა XVII საუკუნის ბოლომდე ვენეცია მაინც რჩებოდა როგორც ევროპის ერთ-ერთი მდიდარი და მსხვილი სავაჭრო რესპუბლიკა.

XVIII ს-ში იტალიას საგარეო ვაჭრობა გააჩნდა

მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, საიდანაც ძირითადად შემოჰქონდა ბრინჯი, საკონდიტრო ნაწარმი, ბამბის ქსოვილები, ხე-ტყე, ნოხი, მარილი, ჩაი, აბრეშუმი, სპილოს ძვალი, ძვირფასი ქვები.

◇ ტოსკანიის და ჩრდილო იტალიის ქალაქი სახელმწიფოები. XII ს-ის ბოლოს მსოფლიო საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა ორმა დიდმა ქალაქმა ვენეციამ და გენუამ; ამ ქალაქების დაწინაურება ძირითადად დაკავშირებული იყო ჯვაროსნული მსვლელობების შედეგად მოპოვებულ წარმატებასთან.

XII ს-ში გენუამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია საგარეო ვაჭრობაში და უკვე 1297 წ-ს გააჩნია საკუთარი სავაჭრო წარმომადგენლობა თითქმის ყველა შავიზღვისპირა ქალაქში. ამ პერიოდში გენუას საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალაქი ფეოდოსია; სწორედ, ამ ქალაქის დახმარებით უკავშირდებოდა იგი რუსეთს, ირანს, ცენტრალურ აზიას, ჩინეთს და კავკასიას.

XIV ს-ში გენუაში ცალკეულ სავაჭრო ფილიალებს შორის შექმნილმა დაპირისპირებამ უარყოფითად იმოქმედა მის საგარეო ვაჭრობაზე. ამ გარემოებით ისარგებლა ვენეციამ, რომელსაც XIII ს-ში უკვე თავისი საგარეო სავაჭრო პოზიციები გამაგრებული ჰქონდა ალექსანდრიაში, (ვენეციამ ეგვიპტის სულთანთან XIII ს-ში გააფორმა შეთანხმება სავაჭრო პრივილეგიების შესახებ) და როცა 1380 წ-ს გაანადგურა გენუას საზღვაო ფლოტი, სრულად დაიქვემდებარა მისი ხმელთაშუაზღვის სავაჭრო ცენტრები.

ვენეციის საგარეო ვაჭრობის არეალი განსაკუთრებით გაფართოვდა XV ს-ში იგი მოიცავდა

ხმელთაშუაზღვის, შავი ზღვის, გიბრალტარის სრუტის გასწვრივ განლაგებულ ქალაქებს, რომლის მეშვეობით უკავშირდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს. ვენეციას ძირითადად გაჰქონდა: ფუფუნების ნივთები, მინის ნაწარმი, იარაღი; მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდა მსოფლიო მონოპოლიური მდგომარეობით მარილით ვაჭრობაში.

✧ გერმანელების შესახებ, ცეზარი აღნიშნავს "გერმანელები დიდხანს არ რჩებიან მიწაზე, და მიწა კერძო საკუთრებაში არ გააჩნიათ, ისინი ძირითადად მესაქონლეობას და მონადირეობას ეწევიან".

X ს-ში გერმანია უკვე წარმოგვიდგება, როგორც ფეოდალური სახელმწიფო, რომელსაც აქტიური სავაჭრო კავშირები გააჩნია მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ინგლისის სამეფოსთან. XI ს-ში კი მჭიდრო სავაჭრო კავშირი დაამყარა იტალიასთან.

XII-XIII სს-ში გერმანიაში მკვეთრად შეიმჩნევა საწარმოო ძალის ზრდა. დიდი წარმატებებია სოფლის მეურნეობაში, ტყის საფარის ხარჯზე სახნავი მიწის ფართობი გაიზარდა; ვითარდება ქალაქები და იძენენ სამრეწველო ქალაქის სტატუსს, რომლებიც მჭიდრო სავაჭრო კავშირს ამყარებენ საფრანგეთთან, ნიდერლანდებთან, იტალიასთან, უნგრეთთან და ბალკანეთის სახელმწიფოებთან. ამ პერიოდში გერმანიიდან გააქვთ ტილო, სხვადასხვა სახის რკინის იარაღი, ბეწვეული. ძირითადად შემოაქვთ ხორბალი, ქერი, შვრია.

XIII ს-ში გერმანელები აწარმოებენ დაპყრობით ომებს და ტერიტორიების გაფართოვების კვალობაზე, იზრდება მათი სავაჭრო არიალი, რომელშიაც მოექცნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მათ შორისაა კიევის რუსეთი. ამავე საუკუნის 40-იან წლებში ჩაეყარა

საფუძველი ისეთი დიდი ქალაქის დაარსებას, როგორიცაა ბერლინი.

XVI-XVII სს-ში გერმანიის ქალაქებს სავაჭრო კავშირები გააჩნია რუსეთთან; ამავე პერიოდში გერმანელი ვაჭრები ვენეციაში საკუთარი სავაჭრო ცენტრს ქმნიან.

XVIII ს-ში გერმანიის ქალაქებს კიოლნს და სტრასბურგს მჭიდრო სავაჭრო კავშირები გააჩნდათ საფრანგეთთან, ნიდერლანდებთან, იტალიასთან. ამ ორი ქალაქის ნაწარმი, კერძოდ – ტილო, დიდი პოპულარობით სარგებლობდა და კონკურენტუნარიანი იყო მთელ ევროპაში. გერმანული საქონელი ნელნელა იპყრობდა მსოფლიოს ბაზრებს.

XVII საუკუნის გერმანიაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საბანკო საქმიანობა (ამ საქმიანობის ჩამოყალიბების ნიშნები შეიმჩნევა XV ს-ში), კრედიტები დიდი რაოდენობით გაიცემა იმპორტიორებზე.

გერმანიის დიდმა რესურსულმა პოტენციალმა დასაბამი მისცა სამთო მრეწველობის და მეტალურგიის განვითარებას და უკვე IX ს-ის დასაწყისში გერმანიის სახელმწიფო წარმოგვიდგება, როგორც ევროპის ერთ-ერთი ძლიერი ექსპორტიორი.

✧ საფრანგეთის V-VI სს-ის საზოგადოებრივი წყობა კარგადაა ასახული ფრანკების სასამართლო წესების კრებულში ("lex Salica"). ამ კრებულის ულიდესი ნაწილი შეეხება ფრანკების სოფლის მეურნეობის საქმიანობას, მკაცრადაა განსაზღვრული მიწაზე საკუთრების უფლება, კერძოდ: იკრძალებოდა მიწის გაყიდვა და მდედრობით სქესზე შთამომავლობით გადაცემა. VI ს-ის ბოლოს ძლიერი ფეოდალების მოთხოვნით დაშვებულ იქნა მიწის გაყიდვა, რამაც ხელი შეუწყო თავისუფალი ალეხების

გაღატაკებას, დაქირავებული შრომის განვითარებას და ქვეყნის შიდა ვაჭრობის გააქტიურებას. შიდა ვაჭრობის გააქტიურების კვალობაზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა საგარეო ვაჭრობა ვესტგოთების სამეფოსთან და ბიზანტიის იმპერიასთან, თუმცა სავაჭრო კავშირები შეიმჩნეოდა უფრო ადრინდელ საუკუნეებშიც (III-IV) ისეთ დიდ სახელმწიფოებთან, როგორიც იყო ესპანეთი, იტალია, ბრიტანეთი, აღმოსავლეთ რომის იმპერია.

VIII ს-ის 30-იან წლებში არაბების მიერ საფრანგეთის შევიწროვებამ ქვეყნის შიდა პოლიტიკური წყობა მოშალა და საგარეო ვაჭრობის აქტიურობა შეამცირა, მაგრამ 768-814 წლებში კარლოს დიდის მეფობის დროს ფრანგებმა შექმნეს ძლიერი იმპერია, რომელიც ევროპის სავაჭრო გზების უდიდესი ნაწილის მაკონტროლებელი ხდება.

XI ს-ში საფრანგეთში ფართოდ განვითარდა საშუამავლო ვაჭრობა. ფრანგები ყიდულობდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში საქონელს, რომელსაც შემდგომში ყიდიდნენ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში. ამ პერიოდის დიდი სავაჭრო ქალაქებია: მარსელი, არლი, ტულუზი.

XVI-XVII სს-ში განვითარებულმა საშუამავლო ვაჭრობამ მნიშვნელოვნად გააძვირა აღმოსავლეთის საქონელი, რამაც კრიზისი გამოიწვია, აღმოსავლეთის საქონლის გაძვირება ასევე გამოწვეული იყო თურქების მიერ ახლო აღმოსავლეთის დაპყრობით. სავაჭრო მაგისტრალებზე მოძრაობა სახიფათო გახდა, თურქები ხმელთაშუა ზღვაში მეკობრეობასაც ეწეოდნენ. ევროპელებისათვის ამ საუკუნეებში აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ერთადერთი სავაჭრო გზა ეგვიპტეზე გადიოდა,

რომელიც მართალია უხიფათო, მაგრამ ძვირი იყო. ამდენად, საფრანგეთი იძულებული იყო გაეფართოვებია კოლონიზაციის პოლიტიკა, ახალი ბაზრების და იაფი სამუშაო ძალის მოსაპოვებლად.

საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე განსაკუთრებით ზრუნავდა საფრანგეთის მეფე ჰენრიხ IV (XVII ს.), მან გაუმჯობესა გზები და რეგულარული საპორტო მიმოსვლა დააწესა. ამ მეფის დროს პრაქტიკაში შემოვიდა მოსახლეობის და მცირე მოცულობის ტვირთის ომნიბუსებით გადაადგილება; მართალია საფრანგეთის სავაჭრო ფლოტი ისეთი ფართომაშტაბიანი აქტიურობით არ გამოირჩეოდა, როგორც პორტუგალიის, ინგლისის და ესპანეთის, მაგრამ იგი მაინც ახერხებდა ახალი ბაზრების დაპყრობას და მტკიცე საფუძველს ქმნიდა თანამედროვე საფრანგეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოვებისათვის.

✧ ბრიტანეთი რომაელებმა V ს-ის დასაწყისში დატოვეს. ამ დროისათვის აქ საკმაოდ დაქუცმაცებული სამეფოები არსებობდა, რომლებსაც დამოუკიდებელი საგარეო ეკონომიკური კავშირები გააჩნდათ ევროპის ქვეყნებთან. ამავე საუკუნის ბოლოდან გერმანული ტომების მიერ ბრიტანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით განლაგებული სამეფოების თანდათანობითი დაპყრობა დაიწყო (VI ს-ის მეორე ნახევრი), რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა დასავლეთით განლაგებული სამეფოების კორნუელსის, უელსის და შოტლანდიის სავაჭრო კავშირები ევროპის ქვეყნებთან.

VII ს-ში ბრიტანეთის კუნძულზე 9 დამოუკიდებელი სამეფო შეიქმნა და ყველა ეს სამეფო ძალისმიერი მეთოდით ცდილობდა სავაჭრო გზების ხელში

ჩაგდებას, შედარებით მოგვიანებით უპირატესობა ინგლისის სამეფომ მოიპოვა და უკვე XVI ს-ში იგი ევროპის ერთ-ერთი ძლიერ საგარეო სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა.

ინგლისში XVI ს-ში მნიშვნელოვნად განვითარდა მრეწველობა. ამ პერიოდში ინგლისელი ვაჭრები ითვისებენ ევროპის ბაზრების დიდ ნაწილს, ქმნიან ფართო სავაჭრო კომპანიების ქსელს, მათ შორისაა მოსკოვის სავაჭრო კომპანია, რომელიც რიჩარდ ჩენსლერის რუსეთში მოგზაურობის დროს შეიქმნა (1553 წ.). ინგლისელი ვაჭრები, რომლებიც ამ კომპანიის წევრები იყვნენ, კავშირს ამყარებენ არა მარტო რუსეთის სახელმწიფოსთან, არამედ შუა აზიის, ირანის და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან (საქართველო, აზერბაიჯანი).

რუსეთიდან ინგლისს გაჰქონდა: ლორი, თაფლი, ბეწვეული, ხე-ტყე; სანაცვლოდ შემოჰქონდათ: ტილო, გალანტერიის საქონელი, მედიკამენტები, იარაღი, გოგირდი, ტყვია. ინგლისელი ვაჭრების მიერ რუსეთის ქალაქებში (იაროსლავი, ვოლოგდა, მოსკოვი) დაარსდა სამრეწველო საწარმოები. ინგლისელი ვაჭრები მოგზაურობდნენ რუსეთის მთელ ტერიტორიაზე. ერთ-ერთი მარშრუტი გადიოდა მდ. ვოლგაზე. ამ გზით უკავშირდებოდნენ კასპიის ზღვის მოსაზღვრე სახელმწიფოებს.

XVI ს-ის 80-იან წლებში ინგლისელების მიერ დაარსდა კიდევ ორი ძლიერი სავაჭრო კომპანია, რომელიც ისლანდიის და თურქეთის სავაჭრო კომპანიების სახელით არის ცნობილი. პირველი სავაჭრო კომპანია შეიქმნა ბალტიის ზღვის სანაპიროზე განლაგებულ სახელმწიფოებთან ვაჭრობისათვის, ხოლო მეორე -

ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოებთან.

XVII ს-ის დასაწყისში ინგლისელებმა დაარსეს რამოდენიმე მძლავრი სავაჭრო კომპანია, რომლებიც ინდოეთთან და ჩრდილო აფრიკის ქვეყნებთან ახორციელებდნენ ვაჭრობას. ამავე საუკუნეში ინგლისი იწყებს ფართომაშტაბიან კოლონიურ ომს, ის იპყრობს კუნძულ ბარბადოსს, ინდოეთს.

XIX ს-ის მიჯნაზე დიდი ბრიტანეთი წარმოგვიდგება, როგორც ძლიერი კოლონიალური სახელმწიფო, რომელსაც ფართო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები გააჩნია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან.

✧ ესპანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არაბებთან რვასაუკუნოვანმა ომმა (დაიწყო VIII ს-ში და დამთავრდა XV ს-ში, როცა ეპანეთში დაეცა არაბეთის უკანასკნელი სამფლობელო-გრენადა). სახელმწიფოებრივი ევოლუციის ამ პერიოდში არაბები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ესპანეთის ეკონომიკის განვითარებაში; დანერგეს ნიადაგის ხელოვნური მორწყვის სისტემა; შემოიტანეს სოფლის მეურნეობის ახალი კულტურები, კერძოდ: შაქრის ლერწამი, ბრინჯი, თუთის ხე (არაბეთში ეს კულტურა საქართველოდან გავრცელდა), ფორთოხალი, ლიმონი. განავითარეს მრეწველობა; გააფართოვეს საგარეო ვაჭრობა აფრიკის და ევროპის ქვეყნებთან. ესპანელი არაბები ვაჭრობას აწარმოებდნენ მცირე აზიის ქვეყნებთან, ძირითადად გაჰქონდათ შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, ტყავი, მინისა და საიუველირო ნაკეთობები.

XVI ს-ის დასაწყისში ესპანეთი კოლონიური ომების საფუძველზე მნიშვნელოვნად აფართოვებს საგარეო ვაჭრობის არეალს. ამ საუკუნეში ესპანეთი ითვისებს

ამერიკის კონტინენტის მნიშვნელოვან ტერიტორიას, საიდანაც დიდი რაოდენობით შემოაქვს ოქრო და ვერცხლი, რამაც მნიშვნელოვნად გააქტიურა ეკონომიკის სხვადასხვა დარგები. მაგალითად, კასტილიის და ანდალუზიის ქალაქებში მნიშვნელოვნად განვითარდა მეტალურგია და საფეიქრო საქმიანობა. სევილიაში მრეწველობის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობამ 130 ათასი ადამიანი შეადგინა.

XVII ს-ში ესპანეთში დაიწყო ფინანსური კრიზისი, რომელმაც ეკონომიკის ყველა დარგი მოიცვა, შემცირდა საგარეო ვაჭრობის არეალი. ესპანეთმა დაკარგა კოლონიები (მაგ., ჰოლანდია) და, შესაბამისად, ბაზრები.

ესპანეთში კაპიტალიზმის განვითარება ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად განხორციელდა, ხოლო რაც შეეხება საგარეო ვაჭრობას, იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის საგარეო ვაჭრობას, რაც ესპანეთის ეკონომიკას გარკვეულწილად დამოკიდებულს ხდის ამ ქვეყნების ეკონომიკაზე.

✧ ირანი ბიზანტიის იმპერიისაგან განთავისუფლების შემდეგ (226 წელი) დამოუკიდებლად იწყებს ეკონომიკური კავშირების დამყარებას მეზობელ სახელმწიფოებთან და უკვე სასანიდური ირანის პერიოდში ამ ქვეყანას აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ვააჩნია ბიზანტიასთან, ინდოეთთან, ცენტრალური აზიის ქვეყნებთან; გაჰქონდათ: შალის, აბრეშუმის და ბამბის ნაჭრები, ნოხები, საბრძოლო იარაღი, კერამიკული ნაწარმი. სანაცვლოდ შემოჰქონდათ: რკინის ნაკეთობა, ფოლადის ნივთები და იარაღი (ძირითადად საქართველოს ტერიტორიიდან), აბრეშუმი (ჩინეთიდან), ძვირფასი ლითონები და ქვები.

II ს-ის მიწურულს ირანში ფეხს იკიდებს

ფეოდალური წყობის ნიშნები, რაც ქვეყნის ცენტრალიზებული მართვის სისტემის შესუსტებას იწვევს; პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იწყება, მომძლავრებული ფეოდალები აღარ ეპუებინ ცენტრალიზებული მართვის სისტემას; ეკონომიკაში განვითარების ტემპის აშკარაა შემცირებაა.

VII ს-ში ფეოდალური ანარქიის შედეგად დასუსტებული ირანი არაბების ბატონობის ქვეშ ექცევა. ასევე კონტროლს დაექვემდებარა ირანის საგარეო ვაჭრობაც.

VII-VIII სს-ში ირანის საგარეო კავშირები ძირითადად აზიის ქვეყნებით შემოიფარგლება.

XVI-XVII სს-ში ირანში დროებითი ეკონომიკური აღორძინება შეიმჩნევა, ფართოვდება საგარეო ვაჭრობა. ამ პერიოდის ირანს სავაჭრო კავშირები გააჩნია: პორტუგალიასთან, ჰოლანდიასთან, ინგლისთან, რუსეთთან, ჩინეთთან, ინდოეთთან. საგარეო ვაჭრობის განვითარების მიზნით ირანი ელჩებს აგზავნის რუსეთში, ჰოლანდიაში, ესპანეთში, გერმანიის იმპერატორთან და რომის პაპთან. საგარეო ვაჭრობაში უშუალოდ შახიც მონაწილეობდა, მას მონოპოლია ჰქონდა გამოცხადებული ისეთ საქონელზე როგორიცაა აბრეშუმი, ნოხი, მარილი. XVII ს-ის შუა ხანებიდან ირანი აქტიურად იწყებს სავაჭრო გზების შეკეთებასა და კონტროლს, ხოლო XVIII ს-ის დასაწყისში მისი ქალაქი ისპაჰანი აზიის ერთ-ერთი დიდი სავაჭრო ცენტრი ხდება.

✧ არაბეთში II ს-ში მნიშვნელოვნად განვითარდა მიწათმოქმედება, აქ მოჰყავდათ: ბრინჯი, ბამბა, რომელიც გარეთაც გაჰქონდათ, განსაკუთრებული მოთხოვნა იყო ვარდისაგან დამზადებულ ესენციაზე. არაბებს გამოჰყავდათ

ცხენის და ცხვრის საუკეთესო ჯიშები. საზღვარგარეთ დიდი პოპულარობით სარგებლობდა არაბი ხელოვნების მიერ დამზადებული ნაწარმი, კერძოდ: აბრეშუმის, შალის და ბამბის ნაჭრები და ტანსაცმელი, ფოლადი, იარაღი, მინის ნაკეთობა.

IX და X სს-ში არაბმა ვაჭრებმა შეაღწიეს ჩრდილო ევროპაში, მდინარე ვოლგის სათავეებამდე და ბალტიის ზღვის მოსაზღვრე სახელმწიფოებში. მათ აქტიური ვაჭრობა გააჩნდათ ჩინეთთან, ინდოეთთან და ინდონეზიასთან, ხოლო სირია და ეგვიპტე მისი მთავარი პარტნიორები იყვნენ, საიდანაც არაბები თავიანთ საქონელს აგზავნიდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

არაბების საგარეო ვაჭრობა ყოველთვის დამოკიდებული იყო შიდა და მისი მეზობელი სახელმწიფოების პოლიტიკაზე, ამდენად ამ ხალხის საგარეო სავაჭრო აქტივობა ფართო დიაპაზონში იცვლებოდა.

✧ ინდოეთის სამეურნეო წყობა ძირითადად მიწათმოქმედებაზე იყო დამყარებული, რომელიც მის პოლიტიკურ წყობასაც განსაზღვრავდა და IV ს-ში იგი წარმოადგენდა ათეულ მცირე სახელწიფოდ დაყოფილ ქვეყანას, რომლებსაც დამოუკიდებელი სავაჭრო კავშირები გააჩნდათ როგორც მეზობელ, ასევე მცირე აზიის ქვეყნებთან.

VII ს-ში არაბების მიერ ირანის და ავღანეთის დაპყრობამ გარკვეულწილად შეზღუდა ინდოეთის საგარეო ვაჭრობა დასავლეთის ქვეყნებთან, ხოლო XI-XII სს-ში მუსულმანების მიერ ინდოეთის რამოდენიმეჯერ დაპყრობამ და XIV ს-ში მონღოლების შემოსევამ მნიშვნელოვნად დააქვეითა ქვეყნის ეკონომიკა.

XIII-XVI სს-ში ინდოეთში აქტიურად ვითარდება ფეოდალური წყობა, რომელიც აქტიურ როლს ასრულებს საგარეო ვაჭრობაში.

XVI ს-ში პორტუგალიელების (ვასკო და გამას ესკადრელია) მიერ ინდოეთის სამხრეთ სანაპიროების ათვისებამ დასაბამი მისცა ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას, ხოლო XVI ს-ის ბოლოს და XVII ს-ის დასაწყისში ინდოეთის კოლონიზაცია მოახდინეს ჰოლანდიელებმა, ფრანგებმა და ინგლისელებმა. კოლონიზატორებს ინდოეთიდან გაჰქონდათ: ჩაი, აბრეშუმის და ტილოს ნაჭრები, საიუველირო ნაწარმი, ფირუზი, მარგალიტი და სხვა ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვები.

XVIII ს-ში ინდოეთს გაცხოველებული ვაჭრობა გააჩნდა ევროპის და შუა აზიის ქვეყნებთან. ამ პერიოდში განვითარდა სანაოსნო პორტები: ბომბეი, კალკუტა, დიუ. ეს ქალაქები XVIII ს-ის მიწურულს მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრებად გადაიქცა, განსაკუთრებით ბომბეი. ისტორიკოსების მონაცემებით (XVIII ს-ის მიწურულს) ბომბეიში შეხვდებით ყველა ქვეყნის ვაჭარს, იგი იმ დროის ქალაქებს შორის ერთ-ერთი უმდიდრესი ქალაქი იყო.

✧ ჩინეთმა საგარეო ვაჭრობაში თავისი პოზიციები ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე II ს-ში გაიმაგრა და ამ ტენდენციას ეროვნული ეკონომიკის განვითარების საფუძველზე ინარჩუნებდა ჩვ. წ-აღ V საუკუნემდე, მონღოლების და თურქების მომთაბარე ტომების შემოსევამდე. მომთაბარე ტომების პერიოდულმა შემოსევებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ჩინეთის ეკონომიკას.

VI ს-ში იწყება აღორძინება ყოფილი საეაჭრო

გზების და უკვე VII-VIII სს-ში ჩინეთი აქტიურ ვაჭრობას აწარმოებდა არაბებთან, ინდოეთთან და ვიეტნამთან. VIII ს-ში "დიდმა აბრეშუმის სავაჭრო გზამ", რომელიც იწყებოდა ჩინეთში, მთლიანად დაიბრუნა ძირითადი სავაჭრო გზის ფუნქცია, ამ პერიოდში აგრეთვე დიდ როლს ასრულებდა საზღვაო გზაც, გამავალი ჩინეთის და სამხრეთ-აზიის ქვეყნების სანაპიროების გასწვრივ, ბოლო ნავსაყუდელით ინდოეთში. ჩინელებს ექსპორტზე ინდოეთში გაჰქონდათ: ჩინური აბრეშუმი, ფაიფურის ნაკეთობა, ბრინჯი, სამკურნალო საშუალებები. სანაცვლოდ შემოჰქონდათ: სპილოს ძვლის ნაკეთობა, ქაღალდი, სელის თოკები, სუნელები.

X ს-ში დინასტია სუნ-ის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი აღმავლობა შეიმჩნევა. X-XI სს-ის ჩინეთი ძირითადად ბამბის, ბრინჯის, ჩაის მწარმოებელი და ოქროს, სპილენძის, ვერცხლის, რკინის მომპოვებელი იყო; ნამატი პროდუქტი კი აზიის და ევროპის ქვეყნებში გაჰქონდა.

XIII-XVI სს-ში მონღოლთა ბატონობამ, მნიშვნელოვნად შეარყია ჩინეთის საგარეო-ეკონომიკური მდგომარეობა და საგარეო ვაჭრობის ინიციატივა გადავიდა მეზობელი და ევროპის სახელმწიფოების ხელში. 1561 წელს ჩინეთში გამოჩნდნენ პირველი ევროპელები (პორტუგალიელები), რომლებმაც ჩინეთის ზღვის სანაპიროებზე ფართო კოლონიები დაარსეს, ხოლო XVII ს-ში გამოჩნდნენ ესპანელები, ჰოლანდიელები, ინგლისელები, ფრანგი ვაჭრები.

XVIII ს-ში 1757 წელს ჩინეთის მთავრობამ ევროპელების მიერ ქვეყნის სამხრეთით დაარსებული სავაჭრო-კოლონიები გააუქმა და აკრძალა ევროპელების

შემოსვლა ჩინეთში. ეს აკრძალვა XIX ს-ის შუა პერიოდამდე მოქმედებდა.

✧ იაპონიის საგარეო ვაჭრობა მისი მეზობელი სახელმწიფოების მსგავსად ვითარდებოდა და თავისი აქტიურობის მაღალ დონეს ფეოდალიზმის ჩამოყალიბების (XI-XII სს) პერიოდში მიაღწია. ამ პერიოდის იაპონიის ექსპორტი ძირითადად შედგება: მარაო, ფაიფური, ქვის და ძვლის ნაკეთობები, აბრეშუმი, ფოლადი. ხოლო იმპორტი — ბამბა, აბრეშუმი, ბრინჯი, რკინის ნაკეთობა, ტყავეული. სავაჭრო კავშირები გააჩნდა კორეასთან, ჩინეთთან, ვიეტნამთან და ფილიპინის კუნძულების მაცხოვრებლებთან.

XVI ს-ში საკმაოდ აქტიური სავაჭრო კავშირები გააჩნდა კორეასთან, ჩინეთთან და ფილიპინებთან; ევროპის ქვეყნებიდან — პორტუგალიასთან, ესპანეთთან, ჰოლანდიასთან.

XVII ს-ში იაპონელებმა თავისი სავაჭრო ქალაქებიდან განდევნეს ესპანელი და პორტუგალიელი ვაჭრები და XIX ს-ის შუა პერიოდამდე ეს ქვეყანა იზოლირებულ, მსოფლიო სამყაროს მოწყვეტილ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

* * *

საინფორმაციო გვერდი

დაიმახსოვრე

* ექსპორტ-იმპორტის ბანკები. სახელმწიფო, შერეული მფლობელობის ან კერძო დაწესებულებები, რომლებიც ახდენენ ექსპორტიორების ხანგრძლივ დაკრედიტებას. ექსპორტ-იმპორტის ბანკები ასევე ეწევიან კერძო ბანკების სადაზღვევო კრედიტების გარანტირებასა

და რეფინანსირებას.

* კომერციული კრედიტი. კრედიტის პირვანდელი ფორმა, მათ შორის საგარეო ვაჭრობაში. კომერციული კრედიტი მდგომარეობს გადახდის ვადის გადადებაში გაყიდული საქონლისათვის. კომერციული კრედიტის დროს მყიდველი გასცემს თამასუქს. შესაძლებელია ასევე ღია ანგარიშის გამოყენება, როდესაც გამყიდველი ხსნის ანგარიშს, რომელზეც მყიდველი პერიოდულად გადმორიცხავს თანხებს.

* კონსიგნაცია. საქონლის გაყიდვის პირობები შუამავლების საკონსიგნაციო საწყობებიდან, როდესაც საქონელზე საკუთრების უფლება რჩება გამყიდველს იმ მომენტამდე, სანამ საქონელს არ შეიძენს მყიდველი. ძირითადად გამოიყენება საქონლის ექსპორტირებისას. საქონლის შენახვა და მისი გაყიდვის წინა მომზადება ხორციელდება ექსპორტიორის ხარჯზე. საქონლის მიწოდება საწყობში ხორციელდება მომხმარებელზე მიყიდვის კონტრაქტაციამდე. კონსიგნაციის ჩვეულებრივი პირობებია: საქონლის შენახვა შუამავლის საწყობში 1-დან 1,5 წლამდე. თუ ამ პერიოდში საქონელი არ გაიყიდა, იგი უბრუნდება მის მესაკუთრეს მისივე ხარჯებით.

* პრეფერენციალური რეჟიმი. განსაკუთრებით შელავათიანი რეჟიმი, რომელსაც ერთი ქვეყანა აძლევს მეორეს. უმეტესწილად აღნიშნული ეკონომიკური რეჟიმი გამოიხატება საბაჟო გადასახადების შემცირებაში იმპორტულ საქონელზე, შელავათიანი დაკრედიტებისა და დაზღვევის სისტემებში, ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევაში. ასეთი რეჟიმი არსებობს საერთო ბაზრის ქვეყნებსა და ზოგიერთ განვითარებად ქვეყანას შორის.

* საგადასახადო ბალანსი. ქვეყნის მიერ საზღვარგარეთ გადახდილი და საზღვარგარეთიდან მიღებული თანხების თანაფარდობა დროის გარკვეულ პერიოდში, რომელიც ასახავს ქვეყნის საგარეო ეკონომიკური კავშირების მდგომარეობას. თუ მიღებული თანხები აღემატება გადახდილს, მაშინ საგადასახადო ბალანსის სალდო აქტიურია, წინააღმდეგ შემთხვევაში - პასიური. ამ ბალანსის მდგომარეობას ძალზე დიდი გავლენა აქვს ქვეყნის სავალუტო პოლიტიკაზე. უმეტეს ქვეყნებში საგადასახადო ბალანსის მუსლები დაჯგუფებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების საფუძველზე.

* საგარეო ვაჭრობის ფასების დინამიკა. ფასების მოძრაობა საგარეო ვაჭრობაში. იგი ახასიათებს ფასების ცვლილებას ცალკეულ საქონელზე, სასაქონლო ჯგუფზე, გარკვეული ქვეყნის მთელ ექსპორტსა და იმპორტზე, საერთოდ, საერთაშორისო ვაჭრობაზე.

საგარეო ვაჭრობის ფასების დინამიკის შესაფასებლად გამოიყენება საგარეო ვაჭრობის ფასების ინდექსები. ისინი წარმოადგენენ სტატისტიკურ მაჩვენებელს, რომლებიც გამოხატავენ მიმდინარე პერიოდში ფასების რაოდენობრივ ცვლილებას საბაზისი პერიოდთან შედარებით. საერთაშორისო სტატისტიკაში ფართოდ გამოიყენება მსოფლიო ბაზრის ფასის ინდექსები, რომლებსაც აქვეყნებს გაერო.

* საერთაშორისო ანგარიშსწორების ბალანსები. ერთი ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნების მიმართ გადასახდელი და ამ ქვეყნებიდან მიღებული ფულადი სახსრების თანაფარდობა. ამ ბალანსების ძირითადი ფორმებია: საანგარიშსწორებო ბალანსი, საერთაშორისო

დავალიანების ბალანსი, საგადასახადო ბალანსი.

საანგარიშსწორებო ბალანსი წარმოადგენს გარკვეული თარიღისათვის მოცემული ქვეყნის მიერ მისაღებ და გადასახდელ თანხათა შორის თანაფარდობას. აქტიური ბალანსი გვიჩვენებს, რომ ქვეყანა ნეტტო - კრედიტორია, პასიური კი - ნეტტო - მევალე. საერთაშორისო დავალიანების ბალანსი მეტად ახლოს დგას საანგარიშსწორებო ბალანსთან, მაგრამ განსხვავდება მისგან რიგი მუხლებით. საავჭრო ბალანსი გვიჩვენებს ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობას. ასევე დგება ბალანსი მომსახურებასა და მიმდინარე ოპერაციებზე.

III თავი
საქართველოს საგარეო ვაჭრობის თანამედროვე სტადია

1. XIX-XX ს-ში საქართველოს საგარეო ვაჭრობა

რასაკვირველია, ხმალი მაშინ უფრო კარგია, როცა იგი ფარია და არა სატევარი. მაგრამ რასა იქ? ეს უბედური ქვეყანა ისე დაეწყო, რო ხმალი უფრო სატევრობს, ვიდრე ფარობს. ადამიანის გაუძღომელმა წადილმა ეს უკეთესი მხარე ხმლისა დააჩლუნგა და უარესი გალესა. მინამ ქვეყანა ასეა და ძალა აღმართს ხნავს, ხმალმა ორგვარი საშსახური უნდა გაუწიოს თავის პატრონს, იმის მიხედვით, თუ შემთხვევა და ფათერაკი რა დროს რას მოითხოვს.

ილია ჭავჭავაძე

XIX-ს-ში საქართველოში მეფის რუსეთის დამკვიდრებას თან სდევდა გაუთავებელი ომები, საშინაო მღელვარება და სტიქიური უბედურება, რომლებიც დიდ ზიანს აყენებდნენ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას. სოფლის მეურნეობა და მრეწველობა საშინაო და საგარეო ვითარების გართულების გამო ვერ ვითარდებოდა. რუს მოხელეთა თვითნებობა, ეგზეკუციები, სასურსათო და სატრანსპორტო ბეგარა, მოთარეშე აბრაგთა რაზმების განუწყვეტლივი შემოსევა აფერხებდა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარებას. მაგრამ, ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ევროპის სახელმწიფოების დაინტერესებამ აზიის ბაზრით კვლავ გააქტიურა საქართველოს საგარეო ვაჭრობა (XIX ს.

20წ-ბი).

XIX ს-ის 20-იან წლებში საქართველოში ევროპული საქონელი ძირითადად ირან-ოსმალეთის გზით შემოდიოდა. ევროპული საქონლის სიჭარბე და საქართველოს სავაჭრო კავშირები ევროპის ქვეყნებთან მნიშვნელოვნად აღელვებდა რუსეთს.

1821 წ. საქართველოს ბაზარზე რუსეთის საქონლის მოცულობა მეტად უმნიშვნელო იყო, ძირითადად, ბაზარი ეჭირა ინგლისის, ირანის, თურქეთის საქონელს და შესაბამისად ვალუტის (იმ პერიოდში საქართველოში ძირითადად მიმოქცევაში ირანის და რუსული ეროვნული ვალუტა იყო) გადინება ამ ქვეყნებში ხდებოდა. ეს კი დიდ ზიანს აყენებდა რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიზნებს საქართველოში და აღმოსავლეთში, რომლის ბაზარი იმ დროს ინგლისს ეპყრა ხელთ, ამიტომ რუსეთის მთავრობა სერიოზულად ფიქრობდა, საქართველო-ამიერკავკასიაში გაეხსნა გზა ფრანგულ-გერმანული საქონლისათვის და ამით შეესუსტებინა ყარს-არზრუმის გზით მომავალი ტრანზიტი, რომელიც ინგლისის კონტროლს ექვემდებარებოდა. ამის გამო რუსეთის მოხელეებმა საჭიროდ მიიჩნიეს საფრანგეთის და გერმანიის საქონელზე ბაჟის შემცირება. ამასთანავე ნებადართული იქნა რუსეთიდან შემოსული ევროპული საქონლის უბაჟოდ გატანა ამიერკავკასიის გზით ირანისაკენ, ეს ღონისძიება განხორციელდა 1822 წ. 1 ივლისიდან.

საქართველოში დაიწყო უცხოური იაფი საქონლის მრავლად შემოზიდვა. ევროპული საქონელი მოჰქონდათ ყულევში, აქედან "ცივის" არხის მეშვეობით ამოჰქონდათ მდ. რიონამდე. შემდგომ სახმელეთო გზით თბილისში,

საიდანაც საქონელი მიემართებოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ აზიის ქვეყნებისაკენ.

შელავათიანმა და თითქმის თავისუფალმა ვაჭრობამ ხელი შეუწყო ადგილობრივი ვაჭრების გამდიდრებას. მათ ხელში დაგროვდა ფულადი კაპიტალი, რომელიც წესით, წარმოების განვითარებას უნდა მოხმარებოდა. მაგრამ, ეს ვაჭრები უმთავრესად უცხოურ საქონელს ასაღებდნენ და ნაკლებად უწყობდნენ ხელს ჩვენი ქვეყნის სამრეწველო განვითარებას.

1830-1900 წლებში მეფის რუსეთის ხელისუფლება საქართველოში პოლიტიკური პოზიციების გამაგრების და რუსეთის ბურჟუაზიული ფენის ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით ხელს უწყობს საქართველოს სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და საგარეო ვაჭრობის განვითარებას, მაგრამ ამასთან, პარალელურად ცდილობს ქართველი ერის გარუსებას და საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც ამას ვერ ახერხებს, დაუფარავად აწყობს ქართველი ხალხის შევიწროებას.

1918 წ. 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ პერიოდში იგი უკვე ფლობდა დამოუკიდებელი ეკონომიკური ცხოვრების ყველა ატრიბუტს: ტერიტორია, მოსახლეობის სამეურნეო კულტურა, მდიდარი წიაღისეული, ნოყიერი ნიადაგი, ეროვნული მრეწველობა და ვალუტა.

1919-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო პარტნიორები იყვნენ: აშშ, ინგლისი, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, თურქეთი, სპარსეთი, რუსეთი, არმენია, აზერბაიჯანი, პოლონეთი, ბელგია, დაღესტანი, ეგვიპტე, ესპანეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, ჰოლანდია, შვეცია, ფინეთი, ჩინეთი.

პროდუქციის ექსპორტი და იმპორტი ხორციელდებოდა ბათუმის, ბოგდანოვკის, გუდაუთის, თბილისის, ლაგოდეხის, ოჩამჩირის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისის და ყაზბეგის საბაჟოების მეშვეობით.

1918-1921 წლებში რესპუბლიკიდან გაჰქონდათ: სიმინდი, მარილი, ბოსტნეული, ნედლი და გამხმარი ხილი, თხილი და კაკალი, შაქარი, თაფლი, თევზი, ხიზილალა, კონსერვები, ღვინო, მინის ნაკეთობა, საოჯახო ნივთები, ქვანახშირი, მატყლი, ბამბა, თიხის ჭურჭელი, სადურგლო ნაწარმი, ქაღალდი, სარეცხი საპონი, წუმწუმა, ხალიჩები, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვა.

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ძირითადად შემოჰქონდათ: ხორბალი, ბრინჯი, მცენარეული ზეთი, კაკაო, ყავა, დამუშავებული ტყავი, ცემენტი, ნავთი, ფეხსაცმელი, ბამბის ქსოვილები, სანთელი, საინჟინრო იარაღი, ელექტრომოწყობილობები, აგური.

1921 წლის 11 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია დაიწყო; საქართველო კვლავ ექცევა პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში.

წითელი რუსეთი ამჟამად საქართველოს დამორჩილების ახალ მეთოდს იყენებს, რომელიც ითვალისწინებს: ქართველი ერის ცნობიერების შეცვლას, საქართველოში არა ტრადიციული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დარგების დანერგვას, კორუფციის გავრცელებას. ამავე დროს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს გიგანტური მრეწველობის დარგების განვითარებაში, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე.

1925 წლის საბჭოთა პერიოდის საქართველოს საგარეო ვაჭრობას შემდეგი ტენდენციები ახასიათებს:

რესპუბლიკის მთელი ვაჭრობის 73,6% მოდიოდა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაზე, 26,4% — კერძო ვაჭრობაზე.

სსრკ-ს მთლიანმა ექსპორტმა (მიმდინარე წლის ფასებში) 1950 წ-ს - 1,6 მლრდ. მანეთი შეადგინა, 1965 წ-ს - 7,4 მლრდ. მანეთი, 1970 წ-ს - 11,5 მლრდ. მანეთი, 1975 წ-ს - 24,0 მლრდ. მანეთი 1976 წ-ს - 28,0 მლრდ. მანეთი, 1977 წ-ს - 33,2 მლრდ. მანეთი, 1978 წ-ს - 35,7 მლრდ. მანეთი, 1979 წ-ს - 42,4 მლრდ. მანეთი, 1980 წ-ს - 49,6 მლრდ. მანეთი, 1985 წ-ს - 72,5 მლრდ. მანეთი, 1990 წ-ს - 60,7 მლრდ. მანეთი. ექსპერტული მონაცემით, სსრკ-ს მთლიან ექსპორტში საქართველოს წილი მერყეობდა დაახლოებით 3-9 პროცენტის ფარგლებში.

1950 წ-ს სსრკ-ს სავაჭრო ურთიერთობა 45 ქვეყანასთან, ხოლო 1987 წ-ს 145 ქვეყანასთან გააჩნდა. 1990 წ-ს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნების მაჩვენებელის სიდიდე დაახლოებით ორჯერ შემცირდა.

მანგანუმის ექსპორტი იყო: 1980 წ. — 1255 ათასი ტონა; 1985 წ. — 1126 ათასი ტონა; 1986 წ. — 1101 ათასი ტონა; 1987 წ. — 714 ათასი ტონა; 1988 წ. — 982 ათასი ტონა; 1989 წ. — 895 ათასი ტონა; 1990 წ. — 128 ათასი ტონა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მთელი ექსპორტის 95%-ს შეადგენდა საქართველოში — ჭიათურაში მოპოვებული.

სსრკ-ში ჩაის იმპორტმა შეადგინა: 1980 წ. — 4,0 ათასი ტონა; 1985 წ. — 8,1 ათასი ტონა; 1986 წ. — 3,1 ათასი ტონა; 1987 წ. — 11,8 ათასი ტონა; 1988 წ. — 10,9 ათასი ტონა; 1989 წ. — 64,0 ათასი ტონა. ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს წილად

მოდიოდა დაახლოებით 9%. 1980-1990 წწ-ში საქართველოში დამზადებული პროდუქცია, სსრკ-ს სახელით გადის: ბულგარეთში, უნგრეთში, ვიეტნამში, იტალიაში, ირანში, ჩინეთში, კუბაში, პოლონეთში, რუმინეთში, თურქეთში.

1981 წელს საქართველოში შემოდიოდა 4466,3 მლნ. მანეთის საქონელი, აქედან იმპორტი (იგულისხმება სსრკ-ს ფარგლებს გარედან შემოტანილი) 856,0 მლნ. მანეთს შეადგენდა. ამავე პერიოდში, გადიოდა 5510,8 მლნ. მანეთის საქონელი, მათ შორის ექსპორტზე 350,0 მლნ. მანეთის. 1987 წ-ს შემოდიოდა 6336,3 მლნ. მანეთის საქონელი, მათ შორის იმპორტი 1421,2 მლნ. მანეთს შეადგენდა, ხოლო გადიოდა 6011,4 მლნ. მანეთის საქონელი, მათ შორის ექსპორტზე 413,4 მლნ. მანეთის. 1988 წ-ს შემოდიოდა 6490,0 მლნ. მანეთის საქონელი, აქედან სსრკ-ს ფარგლებს გარედან - 1270,0 მლნ. მანეთის, ხოლო გადიოდა 5900,0 მლნ. მანეთის, მათ შორის ექსპორტზე - 400,0 მლნ. მანეთის. 1989 წ-ს შემოდიოდა 6469,0 მლნ. მანეთის საქონელი, მათ შორის იმპორტი 1580,7 მლნ. მანეთს შეადგენდა, ხოლო მთლიანობაში საქართველოს რესპუბლიკიდან გადიოდა 6084,2 მლნ. მანეთის საქონელი, მათ შორის ექსპორტზე - 365,4 მლნ. მანეთის.

1989 წ-ს საბჭოთა საქართველოს სსრკ-ს ფარგლებს გარეთ ექსპორტზე გაჰქონდა: ელექტროენერგია - 12,2 მლნ. მანეთის, ნავთობი და გაზი - 63,0 მლნ. მანეთის, ქიმიური და სამთო ქიმიური მრეწველობის საქონელი - 7.4 მლნ. მანეთის, მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია - 40,2 მლნ. მანეთის, კვების მრეწველობის - 125.3 მლნ. მანეთის, სოფლის მეურნეობის - 3,5 მლნ.

მანეთის.

1989 წ-ს საზღვარგარეთის ფირმების მონაწილეობით საქართველოში რეგისტრირებულია 18 ერთობლივი საწარმო.

1990 წ-ს საქართველომ ექსპორტზე გაიტანა: იუგოსლავიაში 134,4 ათასი ტ შავი ლითონის ნაგლინი; ავღანეთში, ერაყში, იემენში, ინდოეთში, ირანში, მოზამბიკში, ნიგერიაში, პაკისტანში 157,1 ათასი ტრანსფორმატორი; ალჟირში, ბულგარეთში, ეგვიპტეში, ინდოეთში, ირანში, კუბაში, მონღოლეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში 161 ათასი მანეთის ელმავლების სათადარიგო ნაწილები და ელექტროძრავები; იტალიაში, იუგოსლავიაში, კვიპროსში - 1301,5 ათასი ტ ნავთობპროდოქტები; აშშ-ში, გერმანიაში, ნიკარაგუაში, უნგრეთში, ჩინეთში - 110,8 ათასი ტ სულფატამონიუმი და ამონიუმის გვარჯილა; ეთიოპიაში, ვიეტნამში, ირანში, ლიბიაში, მონღოლეთში - 529 ტ ანდეზიტის ფქვილი; ბულგარეთში, კუბაში, პოლონეთში, რუმინეთში, უნგრეთში - 8,5 ათასი ტ სილიკომანგანუმი - 82%-იანი; ალჟირში, ინდოეთში, მონღოლეთში 150 ათასი მანეთის ელექტროტექნიკური ხელსაწყოები; გერმანიაში, მოზამბიკაში, მონღოლეთში 632 ათასი მანეთის ჰიდრომეტეოროლოგიური აღჭურვილობა და 526 ათასი მანეთის ხელსაწყოები; ავღანეთში, ალჟირში, არაბთა გაერთიანებულ ემირატებში, ბულგარეთში, კუბაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში - 1501 ათასი მანეთის ჩარხები, ინსტრუმენტები, მჭრელები, საღარაკები; იტალიაში, ტანზანიაში - 8288 ათასი მანეთის დანადგარები გემთმშენებლობისათვის; თურქეთში, პოლონეთში, უნგრეთში 548,2 ათასი მანეთის მუსიკალური

ინსტრუმენტები, სათამაშოები, და ხალხური რეწვის ნაკეთობანი; აშშ-ში, ავღანეთში, ახალ ზელანდიაში, ბელგიაში, ბულგარეთში, გერმანიაში, იაპონიაში, ისრაელში, იტალიაში, კანადაში, მონღოლეთში, პოლონეთში, საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიაში 14 მლნ. მანეთის ღვინო, კონიაკი, შამპანური, ნაყენი „ტარხუნა", მინერალური წყალი „ბორჯომი", შავი ბაიხის და მწვანე ჩაი, ცხიმეული ნაწარმი; რუმინეთში - 20 ტ ჯემი; ბულგარეთში, გერმანიაში, იუგოსლავიაში, პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში - 1660 ტ. თხილი; ბრაზილიაში, ეგვიპტეში, კონგოში, ნიგერიაში, პორტუგალიაში, რუმინეთში 6286 ათასი მანეთის თევზი.

2. 90-იანი წლების საქართველოს საგარეო ვაჭრობის ტენდენციები

ა) საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზოგადი მიმოხილვა

საბჭოთა კავშირის პერიოდში, საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტის სამ მეოთხედზე მეტი მოკავშირე რესპუბლიკებზე მოდიოდა, თუმცა ამისათვის არ შეიძლებოდა გვეწოდებინა საექსპორტო საქმიანობა, რადგან პროდუქციის გასაღება ე. წ. გეგმიური ეკონომიკის წესების მიხედვით ხორციელდებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საწარმოო და სატრანსპორტო კავშირების რღვევასთან ერთად, თავი იჩინა მთელმა რიგმა სირთულეებმა და თვალსაჩინო გახდა, რომ ქართველი მეწარმეები არ იყვნენ მიჩვეულნი რეალურ

საექსპორტო საქმიანობას. საბჭოთა პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბდა საკავშირო ცენტრალიზებული ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი სტრუქტურა, რომლის პირობებში ფაქტიურად მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ქვეყნის ეკონომიკის დამოუკიდებლად ფუნქციონირების შასაძლებლობები, რაც უპირველეს ყოვლისა წარმოების მკვეთრი შემცირებით (1991-1994 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტი შემცირდა თითქმის 5-ჯერ, ხოლო წარმოების მოცულობა თითქმის 6-ჯერ) და არსებული საწარმოო-სავაჭრო კავშირების მოშლით იყო განპირობებული. აქვე აღსანიშნავია, რომ საკუთარი რესურსების უკმარისობის გამო, საქართველოს მრეწველობა დიდად იყო დამოკიდებული ენერგომატარებლების იმპორტზე, რომლის შეტანა მსოფლიო ფასებთან შედარებით გაცილებით დაბალ ფასებში ხდებოდა.

ფასების სახელმწიფო რეგულირების პირობებში ასევე დაბალი იყო ფასები კვების, მსუბუქი მრეწველობის და სახალხო მოხმარების სხვა საგნების კვლავწარმოებისათვის აუცილებელ ნედლეულსა და მასალებზე. ასეთ პირობებში საქართველოს საწარმოებს გააჩნდათ იაფი საწარმოო რესურსები, ხოლო პროდუქცია მომგებიანად საღდებოდა საბჭოთა კავშირის ბაზარზე, რომლის ფარგლებს გარეთ ხვდებოდა საქართველოდან გატანილი პროდუქციის მხოლოდ 6,5%. ყოფილი საბჭოთა კავშირის სტასტისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით, 1989 წელს საქართველოში წარმოებული პროდუქციის 25,1% მის ფარგლებს გარეთ იგზავნებოდა, ხოლო საქართველოში მოხმარებული პროდუქციის 26,2%

იმპორტით შემოდიოდა. გატანის მოცულობა შეადგენდა 5,5 მლრდ. სავალუტო მანეთს, ხოლო შემოტანის მოცულობა — 3,4 მლრდ. სავალუტო მანეთს. სალდო იყო დადებითი და შეადგენდა 2,1 მლრდ. სავალუტო მანეთს. ასეთი ბალანსის ფორმირებას ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის შიდა ბაზრის ფასების სტრუქტურა.

ამასთანავე, საქართველოში სამრეწველო სექტორის 65%-ს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები შეადგენდა. მათში დასაქმებული იყო მუშახელის 45% და იწარმოებოდა სამრეწველო პროდუქციის ნახევარი, ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში კოოპერირების დონე მომიჯნავე საწარმოებთან 75-80%-ს შეადგენდა.

პრიდუქციის კოოპერირებული მიწოდების ჩამოყალიბებული წესის დარღვევის შედეგად უაღრესად გაძნელდა ერთ ცალკეულ ქვეყანაში საავიაციო, საავტომობილო, ჩარხმშენებელი, ელმავალმშენებელი, გემთმშენებელი, ელექტროტექნიკური, რადიოტექნიკური და სხვა ტექნიკურად რთული პროდუქციის წარმოება.

ამასთანავე, საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში საქართველოს ეკონომიკა სუსტად იყო ორიენტირებული ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციით ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. ეს განაპირობებდა ადგილობრივი მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად აუცილებელი პროდუქტის სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანას. ფაქტიურად საბჭოთა კავშირის ეკონომიკა წარმოადგენდა ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსს. შედეგად, საქართველოს ეკონომიკა საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ მზად არ აღმოჩნდა ძირითადად დაეკმაყოფილებინა

შიდა ბაზრის მოთხოვნილებები საკუთარი წარმოების პროდუქციით, რამაც განაპირობა ქვეყნისთვის აუცილებელი იმპორტის მაღალი დონე. ყოველივე ამან, გაურკვეველი პოლიტიკური და ფინანსური დესტაბილიზაციის და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოაყალიბა ტენდენციები, რაც ექსპორტთან შედარებით, იმპორტის წინმსწრებ ზრდაში გამოიხატა.

უარყოფითი სავაჭრო ბალანსის ზრდა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების დამახასიათებელი ნიშანია, რის დასტურადაც შეგვიძლია მოვიყვანოთ ასეთი ქვეყნების 1997 წლის უარყოფითი სავაჭრო ბალანსის მონაცემები (საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით) როგორიცაა: ხორვატია - 4.780,00 მლნ. აშშ დოლარი; ჩეხეთის რესპუბლიკა - 4.475,00 მლნ. აშშ დოლარი; სლოვაკეთი - 1.530,00 მლნ. აშშ დოლარი; პოლონეთი - 10.000,00 მლნ. აშშ დოლარი; ლიტვა - 1.760,00 მლნ. აშშ დოლარი; ლატვია - 1.221,00 მლნ. აშშ დოლარი; უკრაინა - 1.462,00 მლნ. აშშ დოლარი.

საქართველოს ექსპორტის კოეფიციენტი (ექსპორტი როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტი) 1995 წელს შეადგენდა 5,2%-ს, ხოლო 1996-1997 წლებში კი - 4,7% შეადგინა.

ბ) საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულებანი

აღსანიშნავია, რომ 1994-1997 წლებში გაფართოვდა საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია, რაც უდაოდ დადებით ტენდენციას წარმოადგენს.

1997 წელს სავაჭრო ოპერაციები განხორციელებულია 94 ქვეყანასთან, ნაცვლად 83 ქვეყნისა 1996 წლის, 70 ქვეყნისა 1995 და 54 ქვეყნისა 1994 წ. ამასთანავე, 1994-1997 წლებში გამოიკვეთა საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ჯგუფი, რომელზეც მოდის მთელი საქონელბრუნვის დაახლოებით 80%. 2000 წელს საქართველომ სავაჭრო ოპერაციები განახორციელა 90 ქვეყანასთან.

1995-1997 წ-ში ქვეყნის მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვისა და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვის ზრდასთან ერთად 18-დან 12-მდე შემცირდა იმ ქვეყანათა რიცხვი, რომლებთანაც საქართველოს დადებითი საგარეო სავაჭრო ბალანსი ჰქონდა. ამავე დროს, აღნიშნულ ქვეყნებთან საქართველოს დადებითი საგარეო სავაჭრო ბალანსის მოცულობა 1,7 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა 1995 წელთან შედარებით და 1996 წელს 19,2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 1997 წელს კი 20,8 მლნ. აშშ დოლარი. 2000 წ-ს იანვარ-სექტემბერში ქვეყანას დადებითი საჭრო ბალანსი (8,7 მლნ. აშშ დოლარი) ჰქონდა 25 ქვეყანასთან.

დსთ-ის წევრ ქვეყნებიდან საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი მოცულობა საქართველოს გააჩნია: რუსეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან და უკრაინასთან.

არა დსთ-ის წევრი ქვეყნებიდან საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენენ: თურქეთი, აშშ, ბულგარეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, რუმინეთი და გერმანია. 1997 წელს მათ რიცხვს შეემატა ვირჯინიის კუნძულები, რომელიც საქონელბრუნვის მაჩვენებლით მეშვიდე ადგილზე გავიდა, რაც განპირობებულია დიდი რაოდენობით სიგარეტის იმპორტით.

1994 წელს საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები დსთ-ის წევრი ქვეყნებიდან იყვნენ: თურქმენეთი (საქონელბრუნვა - 229,0 მლნ. აშშ დოლარი), აზერნაიჯანი (72 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (65 მლნ. აშშ დოლარი), ყაზახეთი (9,4 მლნ. აშშ დოლარი). არა დსთ-ს წევრი ქვეყნებიდან აღსანიშნავია საქართველოს ვაჭრობა თურქეთთან, რომელთანაც საქონელბრუნვამ 1994 წელს შეადგინა 65 მლნ. აშშ დოლარი, რაც ამ ჯგუფის (არა დსთ-ს წევრ) დანარჩენ ქვეყნებთან საქონელბრუნვის 47,4%-ია.

1995 და 1996 წლებში საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების ათეულების ერთმანეთთან შედარებით ჩანს, რომ მომხდარი ცვლიბები მნიშვნელოვნად გამოწვეულია 1996 წელს ბუნებრივი აირის რუსეთიდან იმპორტირებით (ნაცვლად თურქმენეთისა 1995 წელს). სიას გამოაკლდა თურქმენეთი და ავსტრია, ხოლო მათი ადგილი დიდმა ბრიტანეთმა და იტალიამ დაიკავა. 1997 წელს კი სომხეთისა და რუმინეთის ადგილები ვირჯინიის კუნძულებმა და გერმანიამ დაიკავეს.

აღნიშნული ჩანაცვლება ვირჯინიის კუნძულების შემთხვევაში გამოწვეული იყო ამ ქვეყნიდან 52,6 მლნ. აშშ დოლარის სიგარეტების იმპორტით, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ ვირჯინიის კუნძულებს, რომლებიც დიდი ბრიტანეთის პროტექტორატს წარმოადგენენ, მინიჭებული აქვს თავისუფალი ზონის სტატუსი და იქ დარეგისტრირებული ფირმები სარგებლობენ გარკვეული საგადასახადო შეღავათებით.

გერმანიის ათეულში მოხვედრაც აგრეთვე გერმანიიდან იმპორტის ზრდით არის განპირობებული.

კერძოდ, გერმანიიდან იმპორტირებული იყო ხორბლის და ჭვავ-ხორბლის ნარევი 5,1 მლნ. აშშ დოლარის, სამკურნალო საშუალებები - 1,8 მლნ. აშშ დოლარის, ალუმინის 0,2 მმ-მდე სისქის ფოლგა - 1,4 მლნ. აშშ დოლარის, რომელთა იმპორტიც 1996 წელს საერთოდ არ განხორციელებულა, ხოლო მსუბუქი ავტომობილების იმპორტი კი 1996 წელს 0,5 მლნ. აშშ დოლარიდან 1997 წელს 10,2 მლნ. აშშ დოლარამდე გაიზარდა. ეს ტენდენცია 2001 წლისათვის შემცირდა.

რაც შეეხება სომხეთსა და რუმინეთს, პირველი ათეულიდან ამოვარდნა განაპირობა სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვის მოცულობის ზრდამ სომხეთთან საქონელბრუნვის უმნიშვნელო ზრდის ფონზე, ხოლო რუმინეთთან საქონელბრუნვა 42,6 მლნ. აშშ დოლარიდან 15,2 მლნ. აშშ დოლარამდე შემცირდა, რაც რუმინეთიდან ნავთობპროდუქტების იმპორტის მკვეთრი შემცირებით იყო გამოწვეული.

1996 წელს 10 უმსხვილესი პარტნიორი ქვეყნების სიაში იტალიის მოხვედრა განაპირობა ამ ქვეყნიდან ხორბლისა და ჭვავ-ხორბლის ნარევის და ფქვილის იმპორტმა 27,3 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო ბრიტანეთის - 18,6 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების სიგარეტის ნაწარმის იმპორტმა.

1997 წელს რუსეთი კვლავ რჩება ათეულის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა სიაში, რომლის წილადაც მოდის მთელი საქონელბრუნვის 16,4%. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქონელბრუნვის ზრდა მოხდა როგორც საქართველოდან რუსეთში ექსპორტის ზრდის, 56,6-დან 68,6 მლნ. აშშ დოლარამდე, ასევე რუსეთიდან იმპორტის ზრდის ხარჯზე, 114,3-დან 125,0 მლნ. აშშ

დოლარამდე. სალდო კვლავ რჩება უარყოფითი - 56,4 მლნ. აშშ დოლარი, მაგრამ ბუნებრივი აირის იმპორტის გარეშე (63,4 მლნ. აშშ დოლარი), საქართველოს რუსეთთან ვაჭრობაში დადებითი სალდო აქვს და რუსეთი კვლავ წარმოადგენს საქართველოს ძირითად საექსპორტო ბაზარს. საქართველოს ექსპორტის ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო ჩაის (1997 წელს - 4,9 მლნ. აშშ დოლარამდე), მინერალური წყლების (4,0-დან 15,6 მლნ. აშშ დოლარამდე), ღვინის (2,3-დან 10,6 მლნ. აშშ დოლარამდე), სხვა ალკოჰოლური სასმელების (1,2-დან 3,8 მლნ. აშშ დოლარამდე), სიგარეტებისა (0,3-დან 3,9 მლნ. აშშ დოლარამდე) და ფეროშენადნობების (3,1-დან 4,8 მლნ. აშშ დოლარამდე) ექსპორტის მოცულობების საგრძნობი მატებით, რასაც ხელი შეუწყო:

— სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესებამ;

— 1994 წელს რუსეთთან გაფორმებულმა შეთანხმებამ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ;

— 1996 წლის მარტში რუსეთთან ხელმოწერილმა შეთანხმებამ "სავაჭრო ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ". ამგვარი შეთანხმებები წინა წლებშიც ფორმდებოდა, მაგრამ მათი რეალიზაცია გართულებული იყო სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირებით. 1996 წელს სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო გაფორმებული შეთანხმების პრაქტიკულ ამოქმედებას;

— ქართული ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, ჩაის ხარისხის გაუმჯობესებამ და მათმა რეკლამირებამ რუსეთის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პროდუქციის ექსპორტის ზრდას საგრძნობლად აფერხებს

რუსეთისა და დსთ-ს სხვა ქვეყნების ბაზარზე ქართული სავაჭრო ნიშნებით ადგილობრივი წარმოების ფალსიფიცირებული, იაფფასიანი საქონლის სიჭარბე, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულია საქართველოს უშიშროების სამინისტრო, ანტიმონოპოლიური სამსახური და სხვა უწყებები.

1995-1997 წლებში შედარებითი სტაბილურობით გამოირჩეოდა საგარეო ვაჭრობა სომხეთთან (30,1 საქონელბრუნვა 1995 წელს, 36,2 მლნ. აშშ დოლარისა - 1996 წელს და 40,7 მლნ. აშშ დოლარი - 1997 წელს). სომხეთი ერთადერთი ქვეყანაა 10 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა შორის, რომელთანაც საქართველოს სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდო აქვს აღნიშნულ პერიოდში. აქვე აღსანიშნაეია, რომ 1997 წელს საქონელბრუნვის დონის შენარჩუნება მოხდა ექსპორტის (18,9 მლნ. აშშ დოლარი) შემცირებისა და იმპორტის ზრდის ხარჯზე, რის შედეგადაც საქართველოს სომხეთთან უარყოფითი სალდო ჰქონდა (-2,8 მლნ. აშშ დოლარი).

არა დსთ-ს წევრ ქვეყნებთან 1995-1996 წლებში საქართველოს საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1996 წელს, 1995 წელთან შედარებით, საქონელბრუნვა თურქეთიდან 16,7 მლნ. აშშ დოლარით შეეცირდა. ამ დროს შემცირდა როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის მოცულობა. საქართველოდან თურქეთში ექსპორტის შემცირება გამოწვეული იყო ფეროშენადნობების ექსპორტის კლებით (რაც წარმოების შემცირებამ განაპირობა) და შავი ლითონის ჯართის ექსპორტის შეწყვეტით, მისი აკრძალვის გამო.

1996-1999 წლებში საქართველოში თურქეთიდან

იმპორტის შემცირების მიზეზი ძირითადად გახდა ნავთობპროდუქტების, შაქრისა და ლუდის იმპორტის შემცირება. ნავთობპროდუქტები და შაქარი საქართველოში სხვა ქვეყნებიდან შემოვიდა, ხოლო ლუდის იმპორტი მთლიანობაში შემცირდა, რაც დაკავშირებულია ლუდის ადგილობრივი წარმოების ზრდასთან. მნიშვნელოვანი გავლენა თურქეთიდან იმპორტის მოცულობის შემცირებაზე მოახდინა აგრეთვე თურქული წარმოშობის საქონელში დაბალხარისხიანი პროდუქციის დიდმა წილმა. მოსახლეობის სამომხმარებლო კულტურის დონის აწევამ გაზარდა მოთხოვნილება ეკოლოგიურად უსაფრთხო საქონელზე, რასაც მოჰყვა თურქული საქონლის კონკურენტუნარიანობის შემცირება საქართველოს ბაზარზე.

1996 წ-ს საქართველოს ვაჭრობის მოცულობის ზრდა შეეშჩნევა ბულგარეთთან (ძირითადად 25,8 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების ნავთობპროდუქტების იმპორტის ხარჯზე), რომელთან საქონელბრუნვამ 50,7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

"ბისეკის" ქვეყნებთან საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების მოცულობა 1994 წლიდან 1997 წლამდე განუხრელად იზრდებოდა. კერძოდ რეგისტრირებული სავაჭრო ბრუნვა ამ ხნის განმავლობაში 2,9-ჯერ გაიზარდა (227,4 მლნ. აშშ დოლარიდან 669,7 მლნ. აშშ დოლარამდე). სამწუხაროდ ზრდა ძირითადად სდებოდა "ბისეკის" ქვეყნებიდან საქართველოში რეგისტრირებული იმპორტის სწრაფი მატების ხარჯზე, 1997 წელს 1994 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 6-ჯერ გაიზარდა (83,7 - 507,9 მლნ. აშშ დოლარი), მაშინ როცა იმავე ქვეყნებში საქართველოდან

რეგისტრირებულმა ექსპორტმა სულ რაღაც 37,8 მლნ. აშშ დოლარით მოიმატა ე. ი. 1,2-ჯერ გაიზარდა (143,7-- 161,4 მლნ. აშშ დოლარი).

თუ განვიხილავთ საქართველოს მთლიან რეგისტრირებულ საგარეო სავაჭრო ბრუნვაში "ბისეკის" ქვეყნებთან რეგისტრირებული სავაჭრო ბრუნვის წილს, აღმოჩნდება, რომ 1994 წელს ეს მაჩვენებელი 42,2%, 1995 წელს 71,3%, 1996 წელს 64,8%, ხოლო 1997 წელს კი 57,6% იყო, რაც "ბისეკის" ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ამ ქვეყანასთან ვაჭრობის გაფართოებას შეუწყო ხელი 1996 წლის ოქტომბერში ამოქმედებულ ფოთი-ბურგასის საბორნე ხაზმა, აგრეთვე ბურგასი-ნოვოროსიისკი-ფოთის ხაზის მწყობრში ჩადგომამ. აღნიშნულმა სატრანსპორტო ხაზებმა გააფართოვეს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებთან განსაკუთრებით სარკინიგზო ბორანის ტერმინალის აშენების შემდეგ.

2000 წ-ს საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების პირველ ათეულში შედიან: თურქეთი, რუსეთი, გერმანია, აზერბაიჯანი, აშშ, უკრაინა, თურქმენეთი, შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო, იტალია. ამ პერიოდში ქვეყანას დადებითი სავაჭრო ბალანსი (9,0 მლნ. აშშ დოლარი) ჰქონდა 25 ქვეყანასთან, ხოლო 1999 წ-ს 17 ქვეყანასთან (4,7 მლნ. აშშ დოლარი).

2000 წ-ის საექპორტო საქონელი ძირითადად წარმოდგენილია: შავი ლითონების ჯართი, ყურძნის ღვინო ნატურალური, ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები, ახალი ან გამხმარი კაკალი, აზოტის

სასუქები, მანგანუმის მადანი და კონცენტრატები, ფეროშენადნობები, ალუმინის წაწარში და ჯართი, ნედლი ნავთობი, მინერალური წყლები.

გ) საგარეო ვაჭრობის სეზონურობა

საქართველოს საგარეო ვაჭრობის კვარტალური განხილვა გვიჩვენებს, რომ ყოველი წლის პირველ კვარტალში შეიმჩნევა ექსპორტის მოცულობის შემცირება და საგაჭრო დეფიციტის ზრდა, რაც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

— ექსპორტში მაღალი ხვედრითი წილის მქონე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მეოთხე კვარტალში რეალიზაციით;

— ენერგეტიკული კრიზისის გამო სამრეწველო საწარმოთა უდიდესი ნაწილის (განსაკუთრებით — მეტალურგიული, ქიმიური და სხვა საწარმოების) წარმოების მოცულობის შემცირებით;

— ენერგომატარებლებზე დიდი მოთხოვნის შედეგად მათი იმპორტის მკვეთრი ზრდით.

ყოველი წლის მესამე კვარტალში ექსპორტის მოცულობა იზრდება წარმოებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდის შესაბამისად.

საგაჭრო ბრუნვის მოცულობის ზრდა შეიმჩნევა მეოთხე კვარტალში, რომლისთვისაც დამახასიათებელია როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის მატება. აღნიშნული გამოწვეულია, ერთის მხრივ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის, ხოლო მეორეს ცხრივ - ენერგომატარებლებზე (ნავთობი, გაზი) მოთხოვნილების ზრდით, ასევე წლის ბოლოს ვაჭრობისათვის დამახასიათებელი გამოცოცხლებით.

დ) საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობა

საქართველოს საგაჭრო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობას. 1996-1997 წლების განმავლობაში შიმდინარე ანგარიშებით საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობის აღრიცხული ბრუნვა, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, შეადგენდა: 1996 წ-ს 191,8 მლნ. აშშ დოლარს; 1997 წ-ს 483,7 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო 2001 წელს იგი 2-ჯერ გაიზარდა.

<u>საატრანსპორტო სექტორი.</u>

მსოფლიო პრაქტიკაში სატრანსპორტო დარგის სახელმწიფო რეგულირება ხდება ნაწილობრივ ეროვნული კანონმდებლობით, ძირითადად კი საერთაშორისო კონვენციებით, საქართველოს კანონმდებლობაც აღიარებს და ითვალისწინებს საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ საქართველოს მიერ რატიფიცირებულია ექვსი მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმება:

1. 1968 წლის საერთაშორისო კონვენცია საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ;
2. 1975 წლის საბაჟო (TIR) კონვენცია;
3. 1975 წლის შეთანხმება ძირითადი საატრანსპორტო არტერიების შესახებ (AGR);
4. 1994 წლის საერთაშორისო კონვენცია საატრანსპორტო ტერმინალის ოპერატორის პასუხისმგებლობის შესახებ;
5. 1978 წლის ვენის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ტრანსპორტით გადაზიდვის შესახებ;
6. 1978 წლის საერთაშორისო კონვენცია ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვების შესახებ (ჰამბურგის წესები);

ზემოთ მოყვანილი შეთანხმებების ძირითად

პრინციპებს წარმოადგენს საბაჟო, სანიტარული და სხვა საზის კონტროლის პროცედურების გამარტივება და საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მათი დაყვანა. ამას უნდა ითვალისწინებდეს საქართველოში მოქმედი საშიქალაქო, საზღვაო, საავტომობილო, საჰაერო ტრანსპორტის, საგადასაბალო და სამაჟო კანონმდებლობა. საბოლოო ჯამში ეს ხელს შეუწყობს საგარეო ვაჭრობის განვითარებას, რაც გულისხმობს მომსახურეობის ექსპორტის განვითარებასაც ამ სექტორში.

უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით ტრანსპორტირების განვითარებას, რკინიგზა იქნება ეს თუ საავტომობილო ტრასები ან მილგაყვანილობა. ამას სტიმულს აძლევს არა მარტო ის ფაქტი, რომ "დიდი აბრეშუმის გზა" ან უფრო ზუსტად ერთ-ერთი მისი განშტოება, საქართველოზე გადიოდა, არამედ იმის რეალური შესაძლებლობა, რომ საქართველო გახდეს ხიდი ორ დიდ ეკონომიკურ რეგიონს შორის. ბევრი სპეციალისტი იმედოვნებს, რომ კომუნიკაციები, რომლებიც დააკავშირებენ კასპიისა და შავ ზღვებს ერთმანეთთან, გახდება სწრაფი ეკონომიკური ზრდის საფუძველი.

საქართველოს გააჩნია სატრანზიტო გადაზიდვების განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი, როგორიცაა შავი ზღვის პორტები და გაყვანილობები, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანას ისარგებლოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით. კომუნიკაციისა და ტრანსპორტის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტია შავი ზღვის ეკონომიკურ რეგიონში ინტეგრირება და აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებაზე კონცენტრაცია. ამასთან

გასათვალისწინებელია, რომ საქართველომ დაბალი ღირებულებით მიღებული უპირატესობა შეიძლება დაკარგოს სატრანსპორტო საშუალებების არაეფექტურობით გამოწვეული მაღალი დანახარჯების მიზეზით. გასულ წლებში შეიცვალა ვაჭრობის მოდელი და მიმართულება რუსეთიდან ისეთი ქვეყნებისაკენ, როგორიცაა თურქეთი და დასავლეთ ევროპის ქვეყნები. აღწერილი მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია სატრანსპორტო ქსელის მოდერნიზაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

არსებული სამხედრო საჰაერო ბაზების რეკონსტრუქცია და კომერციული მიზნებით გამოყენება (მაგ. სენაკში), აგრეთვე სამხედრო საზღვაო პორტების გახსნა, გარკვეულ შესაძლებლობებს სახავს საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტირებისათვის.

ამასთან, საზღვაო ტრანსპორტის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის გასათვალისწინებელია, რომ ფოთისა და ბათუმის პორტებს სჭირდებათ ახალი, გაუმჯობესებული ტერმინალები, შესაბამისი თანამედროვე აღჭურვილობა. ამასთან ერთად, რკინიგზით ტვირთის გადასაზიდად საჭიროა ამწეებითა და მართვის ახალი ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა, თანაბარი ენერგომიწოდება და მომსახურე პერსონალის სტიმულირება. ამ პირობების შესრულების შემთხვევაში გაიზრდება როგორც პორტების, ასევე რკინიგზის გამტარუნარიანობა და დატვირთვა, რაც დამატებით შემოსავალსაც მისცემს ქვეყანას.

მაგალითად, საქართველოს პორტებს შეუძლიათ გადაამუშაონ 300 000 ტონა ბამბა წელიწადში, რაც დაახლოებით 9 მლნ. აშშ დოლარის შემოსავალს მოგვცემს

(ამავე დროს უზბეკეთი, რომელიც 2-ჯერ შეიმოკლებს გზას ევროპის ბაზრებისაკენ დაზოგავს 12 მლნ. აშშ დოლარს).

ტურიზმი.

საქართველოს გააჩნია უცხოელი ტურისტების მოსაზიდად არქიტექტურულ-ისტორიული და კულტურულ-ეთნოგრაფიული ცენტრები, სპორტული თუ სამკურნალო ტურიზმისათვის აუცილებელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე შემოსულ ტურისტთა რაოდენობა საქართველოში აღწევდა 2,0 მილიონ კაცს.

1990 წლის სახალხო მეურნეობის სტატისტიკური კრებულის ოფიციალური მონაცემებით, ამ დროისათვის საქართველოში აღრიცხული იყო 350-ზე მეტი სანატორიუმი, 112 პანსიონატი, 150-ზე მეტი დასასვენებელი ბაზა და პროფილაქტორიუმი, 100-ზე მეტი სასტუმრო და ტურბაზა. მათი ერთდროული გამტარუნარიანობა 200 ათასზე მეტ კაცს შეადგენდა და ყოველწლიურად ისვენებდა 1,5 მლნ-მდე კაცი. გარდა ამისა, მოსახლეობა საბინაო-საშუამავლო ორგანიზაციების მეშვეობით თავიანთ ბინებში იღებდა აღნიშნულზე ორჯერ-სამჯერ მეტ დამსვენებელს.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ მომსახურეობის ეს სახეობა კრიზისში მოექცა, ტურიზმის განვითარების მეტად დიდი რესურსები გააჩნია საქართველოს ზღვისპირეთს, პირველ რიგში აჭარასა და აფხაზეთს, რომელთათვისაც საკურორტო მომსახურება და ტურიზმი ძირითად საექსპორტო პოტენციალად უნდა ჩაითვალოს.

მაგალითისათვის, ცნობილია, რომ საუკეთესო

წლებში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასასვენებლად ჩადიოდა 3,5 მილიონი დამსვენებელი. საკარაუდოა, რომ ამჟამად შენარჩუნებულია სტაციონალური ობიექტების 50%-ზე მეტი. მინიმალური ინვესტიციების მოზიდვის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ყოველწლიურად 1,5 მილიონი დამსვენებლის მიღება, რომლიდან შემოსავლები (მინიმუმ 250 დოლარი ერთი დამსვენებლიდან) 375 მილიონ დოლარს გაუტოლდება.

აფხაზეთის ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს ვარაუდით, რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით ყველაზე პერსპექტიულად არის მოჩნეული 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების მშენებლობა და ეგზოტიკური ტურიზმის განვითარება, რის შედეგადაც დასვენების და ტურიზმის ინდუსტრიის შემოსავლები შეიძლება გაიზარდოს 1,5 მილიად დოლარამდე.

ე) საკანონმდებლო და სახელშეკრულებო ბაზის ანალიზი

საქართველოში ჩატარებული სერიოზული საშართლებრივი ცვლილებები (პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებები, პარლამენტის საკანონმდებლო აქტები და გადაწყვეტილებები) საშუალებას იძლევიან ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას საგარეო ვაჭრობის ფრიად ხელშემწყობი რეჟიმი.

1995 წლიდან სწრაფი ტემპით წარიმართა ექსპორტის ლიბერალიზაციის პროცესი:

– ვაუქმდა ქვოტირების სისტემა;

– ექსპორტის აკრძალვას ექვემდებარება მხოლოდ 2

სასაქონლო ჯგუფი;
– საქართველოში არ არსებობს საექსპორტო საბაჟო გადასახადი; ლიცენზირებადი საექსპორტო საქონლის ჩამონათვალი დაყვანილია 5 პოზიციამდე, მაშინ როდესაც 1993 წელს ექსპორტის ლიცენზირებას ექვემდებარებოდა 26 ჯგუფი;
– 1997 წლის ნოემბრიდან გაუქმდა საგარეო-სავაჭრო კონტრაქტების სავალდებულო რეგისტრაცია, რომელსაც 1994 წლის მარტიდან ექვემდებარებოდა ყველა სასაქონლო ჯგუფის ექსპორტი, ნაწარმოები სახელმწიფო სექტორში, ხოლო 1995 წლის ნოემბრიდან - 9 სასაქონლო ჯგუფის ექსპორტი და 3 სასაქონლო ჯგუფის იმპორტი.

შეიქმნა ექსპორტის მასტიმულირებელი საგადასახადო სისტემა:
– ექსპორტირებული პროდუქცია განთავისუფლებულია დღგ-ის და სააქციზო გადასახადისაგან;
– საექსპორტო პროდუქციისათვის განკუთვნილი ნედლეული განთავისუფლებულია საიმპორტო საბაჟო გადასახადებისაგან;
– 1996 წლის ბოლოდან 2001 წლამდე 14 სასაქონლო ჯგუფი (მათ შორის მოწყობილობა-დანადგარები) ექვემდებარება შეღავათიან 5%-იან საბაჟო გადასახადს და განთავისუფლებულია დღგ-საგან.

აღნიშნულმა თავისი შედეგი გამოიღო. 1997 წელს ხსენებული სასაქონლო ჯგუფების იმპორტი წინა წლებთან შედარებით აბსოლუტურ მაჩვენებლებში 2,2-ჯერ, ხოლო იმპორტის სტრუქტურაში წილობრივ მაჩვენებლებში 1,6-ჯერ გაიზარდა. ბუნებრივია, ეს დადებითი ტენდენცია ახლო მომავალში აისახება

ქართული ნაწარმის კონკურენტუნარიანობის ზრდაზე.

საგარეო ვაჭრობასა და ექსპორტის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტნიორ ქვეყნებთან ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმის დამყარებას ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე. საქართველოს 1992-2001 წლებში გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები:

— სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ - 24 ქვეყანასთან;
— ინვესტიციათა ურთიერთწახალისებისა და დაცვის შესახებ - 29 ქვეყანასთან;
— ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ - 12 ქვეყანასთან;
— სავაჭრო ურთიერთობის შესახებ - 5 ქვეყანასთან;
— თავისუფალი ვაჭრობის შესახებ - 8 ქვეყანასთან.

ამასთან ერთად საქართველო მიერთებულია შემდეგ საერთაშორისო კონვენციებზე:

— პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ (20.03.1883წ.), დეპოზიტარი - WIPO;
— ხელშეკრულება საპატენტო ურთიერთ თანამშრომლობის შესახებ (1970 წ.) დეპოზიტარი - WIPO;
— მადრიდის შეთანხმება მარკების არარეგალური რეგისტრაციის შესახებ (14.04.1891წ.);
— ვენის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ (11.04.1980წ.), დეპოზიტარი - გაერო;
— კონვენცია უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისა და აღიარების შესახებ (10.06. 1958წ.), დეპოზიტარი - გაერო.
— განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია საქართველოს

გაერთიანება WTO-ში, რაც უდაოდ მნიშვნელოვად შეუწყობს ხელს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარებას, კერძოდ: საქართველოს მეწარმეებს მიეცათ საშუალება, თავიდან აიცილონ დისკრიმინაციული ზემოქმედება; შეიქმნება ვაჭრობის სფეროში წამოჭრილი საერთაშორისო დავების სამართლიანად გადაწყვეტის პირობები; ხელი შეეწყობა დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების პრაქტიკულად ამოქმედებას.

საქართველოს 1998 წლის 1 იანვრიდან, დსთ-ს ქვეყნებთან მიმართებაში, გადავიდა საქონლის "დანიშნულების ადგილის" მიხედვით დღგ-თი დაბეგვრის პრინციპებზე.

საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის ივნისში მიიღო ახალი საგადასახადო კოდექსი. კოდექსი არეგულირებს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს. მასში გათვალისწინებულია დსთ-ს ფარგლებში ექსპორტირებული პროდუქციის მიმართ დაბეგვრის ისეთივე რეჟიმის გამოყენება, როგორიცაა დაწესებული საზღვარგარეთის სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ დსთ-ს წევრ სახელმწიფოებს შორის დადებული შეთანხმებების შესაბამისად კოოპერაციული ურთიერთმიწოდებები განთავისუფლებულია ყველა სახის გადასახადისაგან, რაზედაც ახალი საგადასახადო კოდექსი გავლენას არ მოახდენს.

1997 წლის ნოემბერში მიღებულია "საბაჟო კოდექსი", ხოლო 1998 წლის მარტში - "საქართველოს კანონი საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ", რომლის მიხედვით დსთ-ის ქვეყნებთან საქონლის იმპორტი

იბეკრება ისეთივე რეჟიმით, როგორც სხვა ქვეყნებთან.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დსთ-ის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორმხრივი შეთანხმებები "თავისუფალი ვაჭრობის შესახებ", რომლებიც საქართველომ გააფორმა რუსეთთან, უკრაინასთან, სომხეთთან, თურქმენეთთან, უზბეკეთთან, მოლდოვასთან, ყაზახეთთან, რუსეთთან, უკრაინასთან და აზერბაიჯანთან, რამაც განაპირობა ის, რომ ეს სახელმწიფოები საქართველოსთან ვაჭრობაში ლიდერობენ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოს მონაწილეობას რეგიონალურ ეკონომიკურ გაერთიანებებში. ამ თვალსაზრისით ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას ევროკავშირთან ურთიერთობა წარმოადგენს.

გაითვალისწინა რა საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლაში მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯები, მათი ხელშეწყობის მიზნით 1993 წლის 17 ნოემბერს ხელმოწერილი და 1996 წელს 3 წლით გაგრძელებული ხელშეკრულებით ევროკავშირმა საქართველოდან ექსპორტირებული საფეიქრო ნაწარმი გაათავისუფლა ქვოტებისაგან.

2001 წ-მდე საფეიქრო ნაწარმით ევროპის ბაზარზე ვაჭრობაში საქართველოს მინიჭებული შეღავათები შეიცავენ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ჩვენი ქვეყნის წარმოებაში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, ერთობლივი საწარმოების შესაქმნელად და საერთაშორისო კოოპერირების გზით წარმოების განსავითარებლად.

ის ქვეყნები, რომელთაც გააჩნიათ დიდი

შესაძლებლობები (ნედლეული, ტექნოლოგიები, კაპიტალი და ა.შ.) ტექსტილის წარმოებისათვის, მაგრამ შეზღუდულები არიან ამ ნაწარმით ვაჭრობაში ევროკავშირის ბაზარზე, დაინტერესებულნი უნდა იყვნენ საქართველოში საფეიქრო ნაწარმის ერთობლივი წარმოებით, შემდგომ მის ევროკავშირში ექსპორტირების მიზნით, საქართველოსთვის მინიჭებული შეღავათების გამოყენებით.

1996 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმდა შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. მასში ასახულია ურთიერთობის საკითხები ეკონომიკის თითქმის ყველა დარგში. ფაქტიურად, შეთანხმება მთლიანად მოიცავს ეკონომიკის სფეროს.

აღსანიშნავია, და ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რომ შეთანხმების მიხედვით, ევროკავშირი და მასში შემავალი სახელმწიფოები, საქართველოს განიხილავენ არა როგორც ქვეყანას, რომელსაც მუდმივი დახმარება სჭირდება და მასთან თანამშრომლობა მხოლოდ ჰუმანიტარული ტვირთების მიწოდებით და შეღავათიანი კრედიტების გამოყოფით შეიძლება (დოტაციის ქვეყანა), არამედ — როგორც თანასწორუფლებიან, პარტნიორ სახელმწიფოს. ეს დიდი მიღწევაა.

აღნიშნული შეთანხმება, ევროკავშირში ჩვენი ქვეყნის ასოცირებულ წევრად შესვლის წინა პირობას, წინა ეტაპს წარმოადგენს.

საქართველოს პარლამენტმა შეთანხმებას რატიფიცირება გაუკეთა 1997 წლის 15 იანვარს, ევროკავშირის ქვეყნებიდან კი დანიამ, ესპანეთმა, ირლანდიამ, იტალიამ, ავსტრიამ, ფინეთმა და შვეციამ.

შეთანხმებაში ჩაწერილია, რომ მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ ეკონომიკური, ფინანსური, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნოლოგიური და კულტურული ორმხრივი თანამშრომლობის უპირატესი ხელშეწყობა და განვითარება. ევროკავშირი ყოველმხრივ დაეხმარება საქართველოს, რათა მან წარმატებით დაასრულოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა.

შეთანხმებაში თანამშრომლობის მთელი რიგი მიმართულებებია დასახული შემდეგ სფეროებში: ინვესტიციების განხორციელება, მათი დაცვა, კომპანიებისა და ფირმების ფილიალების დაარსება-ფუნქციონირება; ვაჭრობა; ხელსაყრელი სავაჭრო მომსახურება; ტრანსპორტი და საერთაშორისო გადაზიდვები; თანამშრომლობა ეკონომიკური კანონმდებლობის დარგში; ტექნიკური დახმარება; ფინანსური მომსახურება, ფულად-საკრედიტო ურთიერთობები; მომხმარებელთა დაცვა; ინსტიტუციონალური თანამშრომლობა და სხვა. შეთანხმებაში ცალკე თავები ეძღვნება მრეწველობის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, კომუნიკაციების, ტრანსპორტის, საბანკო საქმის, ტურიზმის, განათლების და მეცნიერების, კულტურის, გარემოს დაცვის სფეროებში თანამშრომლობის და ურთიერთობის საკითხებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირი, ურთიერთობის ყველა სფეროში, საქართველოს ანიჭებს, როგორც მინიმუმ — უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს, ხოლო ზოგიერთ დარგში კი - ეროვნულ (ნაციონალურ) რეჟიმს.

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობათა სახელშეკრულებო ბაზის განხილვისას

გასათვალისწინებელია ის გარმოებაც, რომ 1997-1998 წლებში საქართველოს საგარეო სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვმა 90-ს გადააჭარბა, მაშინ როდესაც ჩვენს ქვეყანას საგარეო ვაჭრობის სფეროში ხელშეკრულებები დადებული აქვს მხოლოდ 22 ქვეყანასთან. აუცილებელია აღნიშნული მიმართულებით მუშაობის შემდგომი გააქტიურება. საქართველოს ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვი გააჩნია.

თანამედროვე მსოფლიოს ვაჭრობის სტრუქტურა

XIX-XX სს-ში მრავალმა ყოფილმა კოლონიურმა ქვეყანამ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მაგრამ ეკონომიკურად ისინი კვლავ სხვა ქვეყნებზე დარჩნენ დამოკიდებულნი, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა მსოფლიოს საგარეო-ვაჭრობის დიფერენციაცია და, შესაბამისი სტრუქტურების ჩამოყალიბება, კერძოდ:

1. ნომინალური დამოუკიდებლობა. ამ ჯგუფში შედიან ნეოკოლონიურ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოები, რომელთა ეკონომიკა მთლიანად კვლავ სხვა ქვეყნებზეა (ყოფილ კოლონიზატორებზე) დამოკიდებული;

2. დამოკიდებული. ამ ჯგუფში შედის ისეთი ქვეყნები, რომელთაც გააჩნიათ სწრაფვა დამოკიდებულებიდან ურთიერთდამოკიდებულებისაკენ;

3. ურთიერთდამოკიდებულება. ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულობის ხარისხს აფასებენ ეკონომიკური კავშირების (საგარეო ვაჭრობის)

მოცულობის შეფარდებით ქვეყნის შიდა წარმოების (ერთობლივი ეროვნული პროდუქციის) მოცულობასთან. 90-იან წლებში ეს მაჩვენებელი აშშ-თვის – 27%, ბულგარეთისათვის – 90%, უნგრეთისათვის – 110-111% შეადგენდა.

თანამედროვე სტადიაში საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე ძირითადი მოქმედი ფაქტორებია:

1. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება;
2. მსოფლიო ბაზარზე ტრანსეროვნული კომპანიების საქმიანობის აქტივიზაცია;
3. საერთაშორისო ვაჭრობის შესამჩნევი ლიბერალიზაცია;
4. თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის პროცესის გააქტიურება;
5. საეაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის განვითარება;
6. ყოფილი კოლონიური ქვეყნების მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება;
7. განვითარებადი ქვეყნების გააქტიურება მსოფლიო ბაზრებზე.

მსოფლიო ვაჭრობის თანამედროვე სტადიის დამახასიათებელია ერთი სახის პროდუქციის ექსპორტზე ორიენტაცია, მაგალითად: რუანდის მთლიან ექსპორტში ყავის წილი 70,5% შეადგენს, კუბის მთლიან ექსპორტში შაქარი - 77,2%-ს, სომალის ექსპორტში ცოცხალი ცხოველების ხვედრითი წილი - 89%-ს, ნიგერიაში ურანისა და თორის მადნის - 83,2%-ს, გაბონში ნავთობის - 76%-ს, იაპონიაში მანქანების და კომპიუტერების 65%-ს, და ა. შ.

XX ს-ის მსოფლიოს საგარეო-ვაჭრობაში

ჩამოყალიბდა შემდეგი ტენდენცია: საქონლის მსოფლიო ექსპორტის თითქმის 70%-ს მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები ახორციელებენ, 20%-ს განვითარებადი ქვეყნები, 6%-ს პოსტსაბჭოთა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, ხოლო 4%-ს ეკონომიკურად უღარიბესი ქვეყნები.

XX ს-ის 70 წლებიდან შეიმჩნევა ზრდა მომსახურეობით ვაჭრობაში. მაგალითად, თუ 1975 წ. იგი 155 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენდა, 1994 წ. 1.1 ტრილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ანუ 7-ჯერ. მომსახურების ექსპორტის ხვედრითი წილი მსოფლიო ექსპორტის საერთო მოცულობაში 1994 წ. 25% შეადგინა და ექსპერტების მიერ ნავარაუდევია საგარეო ვაჭრობის ამ სახეობის შემდგომი ზრდის ტენდენციის დაჩქარება, განსაკუთრებით XXI ს-ში.

XIX-XX სს-ში კაპიტალის საზღვარგარეთ გატანის ძირითადი მიზეზები იყო:

1. ეროვნულ ქვეყანაში კაპიტალზე უკუგების დაბალი მაჩვენებელი;

2. კაპიტალზე მოთხოვნისა და მიწოდების დონეთა უთანაბრობა;

3. კაპიტალის იმპორტირებად ქვეყანაში ეაფი რესურსების არსებობა;

4. იმპორტირებად ქვეყანაში კეთილსასურველი სამართლებრივი საკანონმდებლო ბაზა;

5. კაპიტალის ექსპორტირებადი ქვეყნის გამიზნული პოლიტიკა;

6. კაპიტალის იმპორტირებადი ქვეყნის სტაბილური პოლიტიკური ვითარება;

7. ადგილობრივი ბაზრის მონოპოლიზაცია.

მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაცია

მსოფლიო ეკონომიკური კავშირების გაფართოება კაცობრიობის განვითარების აუცილებელ პირობად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ, ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების გაფართოება ანუ ინტეგრაცია უნდა განიხილებოდეს, როგორც მხოლოდ ეკონომიკური სისტემის კეთილდღეობის მასტიმულირებელ ძალად, იგი არ შეიძლება იყოს ერის ცნობიერებაზე ზემოქმედების ფაქტორი და არ უნდა მიეცეს ერის კულტურაზე და წეს-ჩვეულებაზე ზეგავლენის უფლება.

მსოფლიოში ინტეგრაცია ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით, კერძოდ: 1. პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმება; 2. თავისუფალი ვაჭრობის ზონა; 3. საბაჟო კავშირი; 4. საერთო ბაზარი; 5. ერთიანი სავალუტო სისტემა; 6. საერთო ეკონომიკური სივრცე; 7. საერთო პოლიტიკური სივრცე. ხოლო, მაშტაბის მიხედვით იყოფა: 1. რეგიონული; 2. გლობალური.

რეგიონული ინტეგრაცია გარკვეულწილად გლობალურ ინტეგრაციას ეწინააღმდეგება, რადგან იგი იწვევს მსოფლიოს დაყოფას ცალკეულ რეგიონებად ("ბლოკებად"). რეგიონული ინტეგრაცია ძირითადად წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის საფუძველზე მიმდინარეობს, რომელსაც ინტეგრაციის პირველი სამი საფეხური ახასიათებს, ხოლო როცა იგი რეგიონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესს სცილდება და იძენს ინტეგრაციის მეოთხე სტადიის ყველა ნიშანს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იწყება გლობალური ინტეგრაცია.

რეგიონული ინტეგრაცია, ჩვეულებრივ,

ხორციელდება ეკონომიკური განვითარების დაახლოებით ერთნაირი დონის, გეოგრაფიულად მეზობელ, ისტორიულად დაახლოებულ, პოლიტიკურად დაინტერესებულ, ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირების მქონე ქვეყნებს შორის. ინტეგრაციის ეს პროცესი პატარა ქვეყნებისათვის უმტკივნეულოდ ხორციელდება ე. ი. ნაკლებ პრობლემებს უქმნის ეროვნულ ინტერესებს და ამასთან, არ მოითხოვს ინტეგრაციაში მყოფი სახელმწიფოების მაკროეკონომიკური მაჩვენებლების უნიფიკაციას.

გლობალური ინტეგრაცია ძირითადად ხორციელდება რეგიონული გაერთიანებების და განვითარებული სახელმწიფოების პოლიტიკური ინტერესების გაერთიანების საფუძველზე, და შეიძლება დავყოთ საწყის, გარდამავალ და საბოლოო სტადიად. ბოლო ორი სტადიის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ეროვნული ინტერესების ზოგადსაკაცობრიო ხასიათი, სრული ეკონომიკური ინტეგრაცია, ვერტიკალური მმართველობითი სტრუქტურა.

გლობალური ინტეგრაციის საწყისი სტადიის ნიშნები ახასიათებს ევროკავშირს, რომელსაც სახელმწიფოს ატრიბუტები გააჩნია, ესენია: შენგენის შეთანხმების მოქმედების ზონით განსაზღვრული საერთო-საგარეო საზღვრები, ერთიანი ეკონომიკური წესი, ერთიანი საბაჟო პოლიტიკა; "ერთიანი ევროპული აქტით" განსაზღვრული ერთიანი ბაზარი; ერთიანი ვალუტა ("ევრო" - ხმარებაში შემოვიდა 1998 წ.); სტრუქტურები - ევროპარლამენტი, მინისტრთა საბჭო, ევროკომისია, ევროსასამართლო.

ევროკავშირის ჩამოყალიბებამ შეუწყო იმის

აუცილებლობის პირობა, რომ მსოფლიოში ჩამოყალიბებულიყო მსგავსი გლობალური გაერთიანებები. ამგვარ გაერთიანებებად შეიძლება მივიჩნიოთ პოსტსაბჭოური გაერთიანება - დსთ (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა), მაგრამ ევროკავშირის მიერ "ევროს" შემოღებამ კიდევ უფრო არსებითად შეცვალა მსოფლიოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, გაამძაფრა კონკურენცია აშშ-სა და ევროპას შორის, რადგან ევროკავშირი აცხადებს პრეტენზიას მსოფლიოს ზესახელმწიფოს როლზე. ამდენად, სავარაუდოა აშშ-მა მოისურვოს შექმნას მსგავსი ინტეგრაციული გაერთიანება - მესამე გლობალური გაერთიანება, რომელშიც შესაძლოა შევიდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა — ინგლისი. ამ გლობალურ გაერთიანებაში სავარაუდოდ გაწევრიანდებიან: ლათინური ამერიკის ქვეყნები, კანადა, ისრაელი, ავსტრალია, მექსიკა.

მესამე გლობალური გაერთიანების შექმნა გახდება საფუძველი, აზიაში მეოთხე გლობალური გაერთიანების ჩამოყალიბებისა, რომლის შექმნის ინიციატორი შეიძლება ჩინეთი იყოს. ამ გაერთიანებაში შესაძლოა შევიდეს: რუსეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, ვიეტნამი, ბანგლადეში, ერაყი. დსთ-ს წევრი ქვეყნების მეოთხე გლობალურ გაერთიანებაში შესვლა გამოიწვევს დსთ-ს დაშლას და ინტეგრაციის გარეთ დარჩენილი ქვეყნების ევროკავშირში გაერთიანებას. მეოთხე გლობალური გაერთიანება ბიძგს მისცემს აღმოსავლეთ აზიაში იაპონიის ინიციატივით მეხუთე გლობალური გაერთიანების შექმნას.

რამდენად სწრაფად ჩამოყალიბდება ზემოთ აღნიშნული ახალი გლობალური გაერთიანებები, დამოკიდებულია "ევროს" პოზიციებზე.

ქართველი და უცხოელი ექსპერტები ევროს უწინასწარმეტყველებენ მსოფლიოს პირველი ვალუტის როლს, რაც თეორიულად შესაძლებელია. ჯერ ერთი, 2001 წლის ბოლოსათვის ევროს არეალში მოექცევიან ფრანკის ზონის აფრიკული ქვეყნები, გერმანულ მარკაზე ორიენტირებული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რაც ჯერ ბალკანეთში და ახლო აღმოსავლეთში და. შემდგომში, მსოფლიო მაშტაბით გამოიწვევს ევროსა და ამერიკული დოლარის სერიოზულ შეჯახებას, ეს გარემოება კი კიდევ უფრო აღუძრავს სურვილს აშშ-ს ჩამოაყალიბოს ახალი გლობალური გაერთიანება.

ევროს შემოღებამ ამჟამად მხოლოდ, საფუძველი ჩაუყარა ფინანსური გეოპოლიტიკური ალიანსის შექმნას - ევროს, დოლარის და იენის. აღნიშნულს ადასტურებს გარემოებები:

– 1999 წ. იანვარში მოეწყო საფრანგეთის პრეზიდენტის ჟ. შირაქის და იაპონიის პრემიერ-მინისტრ კ. ობუტის შეხვედრა, რომლის დროსაც მიღებული იქნა შეთანხმება დოლარს, ევროს და იენს შორის საკურსო რყევების შესამცირებლად საჭირო მოქმედებათა კოორდინაცია "დიდი შვიდეულის" ფარგლებში.

უცხოელ ექსპერტთა შეფასებით ჟ. შირაქისა და კ. ობუტის შეხვედრა აღიქმება, როგორც დოლარზე ევროსა და იენის ერთობლივი იერიში;

– 1999 წ. მარტი აშშ-ში დაიწყო აქტიური დისკუსია "დოლარიზაციის" საკითხზე. ლათინური ამერიკის ქვეყნებში ამჟამადაც (2000წ.) განიხილავენ ეროვნული ვალუტის დოლარით შეცვლის საკითხს;

– იაპონია, თავის მხრივ, იენის (იაპონიის ეროვნული ვალუტა) ზონის ჩამოყალიბებას შეეცდება

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მაგრამ ამ რეგიონში სულ უფრო ნათლად ჩანს ჩინეთის წამყვანი როლი, რომელიც ეცდება იუანის (ჩინეთის ეროვნული ვალუტა) ზონის შექმნას.

ევროკავშირი დოლარის "შევიწროების" კვალობაზე, განახორციელებს დასავლეთ ევროპის (დეკ-ევროკავშირის ცენტრალიზებული სამხედრო ორგანიზაცია) გაძლიერებას და ევროპაში ნატოს პოზიციების შესუსტებას. ამ გარემოებაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტები:

– 1998 წ. დეკემბერში საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟ. შირაქმა და დიდი ბრიტანეტის პრემიერ-მინისტრმა თ. ბლეერმა სან-მალოში ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელშიც ისინი ევროკავშირს სთავაზობენ დასავლეთ ევროპული კავშირის (დეკ) საფუძველზე ერთიანი ევროპული ჯარის შექმნას;

– 1999 წ. ამსტერდამის ხელშეკრულების ძალით ევროპის ქვეყნებმა ივალდებულეს ერთიანი საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის განხორციელება.

მსოფლიოს გლობალური (გეოპოლიტიკური) ინტეგრაციული გაერთიანებებით დაყოფა საქართველოს რთული არჩევანის წინაშე დააყენებს, კერძოდ: დარჩეს დსთ-ს გაერთიანებაში, რომელსაც საბოლოოდ დაშლა ემუქრება; გაერთიანდეს ევროკავშირში; დაელოდოს ახალი გლობალური გაერთიანების შექმნას; აირჩიოს რეგიონული გაერთიანების გზა.

ისტორიულმა და თანამედროვე დაკვირვებებმა ცხადყო, რომ პატარა ქვეყნებისათვის ხელსაყრელია რეგიონული ინტეგრაცია, რომელიც ბუფერულ როლს შეასრულებს გლობალურ გაერთიანებებს შორის, მხოლოდ

ამ შემთხვევაშია შესაძლებელი მცირე ერებმა შეინარჩუნონ თავისი თვითმყოფადობა.

დიდი აბრეშუმის საავჭრო გზა.

ძველი აბრეშუმის საავჭრო გზას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი მსოფლიოსათვის და ქვეყნების მცდელობა ამ საავჭრო მაგისტრალის ხელმეორე აღორძინება გასაგებია და, უდაოდ, აქტიურ როლს შეასრულებს საგარეო ვაჭრობის განვითარებაში.

დიდი აბრეშუმის გზა, რომლის აღორძინებაც მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობას მიზნად აქვს დასახული, ისტორიულად ჩინეთში-სინძიანში იწყებოდა და ქ. დუნხუანიდან ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისაკენ.

ორივე გზა შუა აზიაში, ქ. ყაშგარში იყრიდა თავს. აქედან კი გზის ერთი – სამხრეთი განშტოება, მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის უსაზღვრო ხეობაში განლაგებული სახელმწიფოების გავლით, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე განლაგებულ ქ. ანტიოქიის გავლით უკავშირდებოდა ევროპის სახელმწიფოებს.

რაც შეეხება გზის მეორე – ჩრდილოეთ განშტოებას, იგი კასპიის ზღვის, ალბანეთის (თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორია) და საქართველოს მთელი ტერიტორიის გავლით ჩადიოდა ქ. ფასისში (ფოთი), საიდანაც მიემართებოდა დასავლეთ ქვეყნებისაკენ.

ძველი აბრეშუმის საავჭრო გზის აღდგენის მთავარი ინიციატორი – ევროკავშირია. შემდგომში, მას მხარი დაუჭირეს აზერბაიჯანმა, თურქეთმა, ევროკავშირში შემავალმა ქვეყნებმა, ცენტრალური აზიის ყველა

სახელმწიფომ და იაპონიამ. მაგალითად, პრემიერ-მინისტრმა კ. ობუჩიმ აღნიშნა, რომ იაპონიის მთავრობას განზრახული აქვს აბრეშუმის გზის აღორძინების მიზნით დიპლომატიური ძალისხმევა გააქტიუროს ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოსთან.

გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტისა და იაპონიის პრემიერ-მინისტრის ერთობლივ განცხადებაში "მეგობრობისა და პარტნიორობის შესახებ" ევროპისა და აზიის ტრანსკავკასიური დერეფნით შემაერთებელი ისტორიული დიდი აბრეშუმის გზის აღორძინება პრიორიტეტულ ამოცანად აღიარეს.

ახალი აბრეშუმის გზის პროექტის შექმნას ხელი შეუწყო TRASECA-ს არსებობამ და სხვა მრავალმა ფაქტორმა. მათ შორის ევროკავშირის პოლიტიკურმა ინტერესმა, რაც გამოიხატება შემდეგში:

ევროკავშირს სურს ამ პროექტის განხორციელებით მხარი დაუჭიროს პოსტსაბჭოურ სივრცეში შექმნილი სამხრეთი კავკასიისა (საქართველოს, აზერბაიჯანის) და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების, სუვერენიტეტის განმტკიცებას, მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რათა შესაძლებელი გახდეს ამ ქვეყნების ეფექტური დაკავშირება ევროპულ ბაზართან და ამით გაიმაგროს პოზიციები და მოახდინოს "ევროს" მოქმედების ზონის გაზრდა.

ევროკავშირის დაინტერესება "აბრეშუმის დიდი საკაჭრო გზით" ნათლად წარმოჩინდა 1997 წ. აპრილში საქართველოში, თბილისის კონფერენციაზე, სადაც ძირითადად იხილებოდა "ტრასეკას" (TRASECA) პროექტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს "აბრეშუმის გზის" აღდგენისა და ამოქმედების საქმეში.

ამ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო ტრასეკას, არამედ "ბისეკის" ალიანსის წევრმა სახელმწიფოებმაც. მიღებულ იქნა თბილისის კონვენცია. შეიქმნა ტრასეკას საერთაშორისო კომიტეტი.

1997 წლის ივნისში ფინეთში, ჰელსინკში ჩატარდა ტრასეკას პანევროპული კონფერენცია, რომელსაც საფუძვლად დაედო თბილისის კონფერენციის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

ჰელსინკის შეხვედრაზე შავი ზღვის რეგიონი აღიარებულ იქნა პანევროპული სატრანსპორტო არეალის შემადგენელ ნაწილად.

1998 წ-ის სექტემბერში აზერბაიჯანში, ბაქოში პრეზიდენტ ალიევის დიდი ძალისხმევით შედგა შეხვედრა უმაღლეს დონეზე. მასში მონაწილეობა მიიღო 32 ქვეყანამ და საერთაშორისო ორგანიზაციამ. შედგა სამიტი ტრასეკას ქვეყნების პრეზიდენტებისა და სახელმწიფოთა მეთაურობის დონეზე. ტრასეკას ხელეკრულების ქვეყნები დღეს უკვე მოიცავენ მსოფლიო სივრცეს იაპონიიდან ამერიკამდე.

აბრეშუმის მსოფლიო გზის აღორძინებით დაინტერესდნენ ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, აშშ, ჩინეთი, იაპონია, თურქეთი, აზერბაიჯანი, ინდოეთი, მონღოლეთი, ირანი.

ბაქოში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას "ევროპა-კავკასია-ცენტრალური აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების შესახებ", მიღებულ იქნა დოკუმენტები: საბაჟო სამსახურის, საზღვაო, საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტის თაობაზე. გამოქვეყნდა ბაქოს დეკლარაცია.

ჩინეთში დასრულდა კურდა-კაშგარ-ოშის

სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა, რომელიც მოკლე გზით დააკავშირებს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანთან ჩინეთის პორტს – ლიანიუნგანს. ნავარაუდევია ლიანიუნგანი - როტერდამის მიმართულებით 11000 კმ-ანი მაგისტრალის მშენებლობა, რომელიც მთლიანად მოიცავს აბრეშუმის გზის ძირითად მიმართულებას.

ახალი აბრეშუმის გზის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების სია ყოველწლიურად ფართოვდება. ამჟამად მისი წევრებია: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, თურქმენეთი, უზბეკეთი, თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, იაპონია.

აბრეშუმის გზის აღორძინებით თავიდანვე სერიოზულ დაინტერესებას იჩენდა აშშ-ს სენატი. მაგალითად, სენატორმა სემ ბრაუნბეკმა (შტატი კანზასი) აშშ-ის სენატში წარადგინა კანონპროექტი: სამხრეთი კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის 1961 წ. აქტის დამატება, რომელსაც პირობითად ეწოდა "აბრეშუმის გზის სტრატეგიის აქტი". ამ აქტის დამატებას წარმოადგენს დოკუმენტი ევროკავშირის პროექტის - ტრასეკას შესახებ.

1997 წ. 23 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების სანატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის, ექსპორტისა და ვაჭრობის ხელშეკრულების ქვეკომიტეტმა მოაწყო ზემოთ ხსენებული პროექტის (1961 წ. აქტი) რიგით მეორე მოსმენა.

პროექტში ხაზგასმულია, რომ უძველესი აბრეშუმის გზა – სიცოცხლის უზრუნველმყოფი გზა იყო

ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიცაა: აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი.

სენატორმა ბრაუნბეკმა ამერიკის შეერთებული შტატების აზიის საზოგადოებაში გამოსვლისას განაცხადა: კასპიის აუზსა და მის მოსაზღვრე ცენტრალურ აზიასაა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვთ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის.

"სამხრეთი კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, და უზბეკეთი) ისტორიულ გზაჯვარედინზე აღმოჩნდნენ, — ითქვა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში, — ეს ქვეყნები დღეს დამოუკიდებელნი არიან, მდებარეობენ დღევანდელი მსოფლიოს მთავარ გზაგასაყარზე, მდიდარი არიან ბუნებრივი რესურსებით და ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერას ელიან".

როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების მიზანია კასპიის ზღვის აუზისა და სამხრეთი კავკასიის სასელმწიფოების გაძლიერება და იქ თავისი პოზიციების გამაგრება, ეს კი, ამ რეგიონებში ევროკავშირის, აშშ-ს და რუსეთის ინტერესების შეჯახებას გამოიწვევს, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით დადებითად იმოქმედებს რეგიონებში შემავალ ქვეყნებზე, ხოლო თუ გადაიზარდა პოლიტიკურ დაპირისპირებაში, მაშინ იგი აზერბაიჯანში და საქართველოში ახალ ეთნოკონფლიქტებს ანუ "ფარულ ომს" გამოიწვევს აშშ-სა და რუსეთის შორის.

დაიმახსოვრე

* სავალუტო ოპციონი. არის კონტრაქტის სავალუტო პირობების ალტერნატიული არჩევის უფლება. სავალუტო ოპერაციას, რომელიც აერთიანებს სპოტულ და ფორვარდულ ოპერაციებს ეწოდება სვოპი. ამ დროს ნაღდი ვალუტის ყიდვა შერწყმულია მის გაყიდვასთან ფორვარდის პირობებით.

* სალიცენზიო ვაჭრობა. ტექნოლოგიებით საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი ფორმა. მისი საგანია პატენტიანი და უპატენტო ლიცენზიები. ამჟამად, საერთაშორისო პრაქტიკაში ყველაზე დიდი გავრცელება ჰპოვა სალიცენზიო ხელშეკრულებამ, რომელიც ითვალისწინებს კომპლექსურ ტექნოლოგიურ გაცვლას, ნოუ-ჰაუს და ინჟინირინგულ მომსახურებას.

* ფიუჩერსული გარიგება. გარიგების სახე სასაქონლო ან საფონდო ბირჟაზე. ფიუჩერსული გარიგება ითვალისწინებს ფულადი თანხის გადახდას გარკვეული დროის შემდეგ გარიგების გაფორმებიდან იმ ფასით, რომელიც კონტრაქტშია აღნიშნული. ამ გარიგების ძირითადი მიზანია ფასთა სხვაობის მიღება მისი სალიკვიდაციო ვადისათვის.

* ფორვარდული გარიგება. გარიგების სახე ბირჟაზე. სასაქონლო ბირჟაზე საქონლის მიწოდებიდან გამომდინარე არსებობს გარიგება საქონლის დაუყოვნებლივ ჩაბარებით ან საქონლის ჩაბარებით მომავალში. ეს უკანასკნელი გახლავთ სწორედ ფორვარდული გარიგება.

* ფრანჩაიზის ხელშეკრულება. საქონელმოძრაობის ერთ-ერთი პროგრესული სისტემა. ამ ხელშეკრულებით

წვრილი და საშუალო სავაჭრო ფირმები ერთვებიან კოოპერაციულ ბიზნესის ორბიტაში. მძლავრი კორპორაცია "ფრანჩაიზის" ირგვლივ ერთიანდება წვრილი საწარმოების "ფრანჩაიზის" მთელი სისტემა. ფრანჩაიზის ხელშეკრულების საფუძველზე სავაჭრო ფირმები კისრულობენ ფრანჩაიზის პროდუქციის გასაღებას, გარკვეული პირობების დაცვით. ეს პირობები ეხება სავაჭრო და გაყიდვის შემდგომ მომსახურებას. თავის მხრივ, მსხვილი კორპორაცია მფარველობს წვრილ სავაჭრო საწარმოებს, უწევს მათ კონსულტაციას.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ნ. ბერძენიშვილი საქართველოს ისტორიის საკითხები. "მეცნიერება" თბილისი, 1990 წ.

ა. ჯორჯაძე სამშობლო და მამულიშვილობა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990წ.

ი. ჭავჭავაძე. საქართველოს მატიანე. V ტომი. თბილისი, 1955 წ.

ნ. შენგელია XV-XIX სს-ის საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974 წ.

ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი საქართველოს ისტორია

ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე საქართველოს ისტორია. თბილისი, 1991 წ.

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი თბილისის ისტორია, I ტომი. თბილისი, 1990 წ.

მ. ჭანაშვილი, საქართველოს დედაქალაქი თბილისი, ქუთაისი. 1899წ.

ც. გვრიტიშვილი, შ. მესხია თბილისის ისტორია, 1952 წ.

დ. კაციტაძე ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. თსუ შრომები

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია. თბილისი, 1988 წ.

В. Дьякова С. Ковалева История древнего мира. Москва 1962 г.

В. Семенов История средних веков. Москва 1970 г.

С. Сказкина Хрестоматия по истории средних веков. 1961-1963

В. Волгина Хрестоматия по социально-экономической истории Западной Европи. Москва 1929 г.

ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორია, ტომი IV-V-VI. თბილისი, 1982-1986 წწ.

არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოს აღწერა. თბილისი, 1938 წ.

დონ ჯუზეპე ჯუდიჩი მილანელი წერილები საქართველოზე. თბილისი, 1964 წ.

ე. მეგრელიძე მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბილისი, 1963 წ.

მ. იაშვილი. მასალები საქართველოს სოციელურ-ეკონომიკური ისტორიისათვის. თბილისი, 1974 წ.

ფ. სიხარულიძე ამიერკავკასიის სამარშუტო გზები IX-X სს. თბილისი, 1963 წ.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი V, თბილისი, 1970 წ.

ვ. გაბაშვილი. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII ს-ში. თსუ შრომები, თბილისი, 1967 წ.

ა. რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი, 1996 წ.

გ. ჯოლია, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები. თბილისი, 1998 წ.

ე. შევარდნაძე, დიდი აბრეშუმის სავაჭრო გზა. 1999წ.

ჰ. ღაღანიძე, ბიზნესის მცირე ცნობარი. თბილისი, 1991 წ.

ვ. კაკაბაძე, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობანი თანამედროვე პირობებში. ნაწილი I. თბილისი, 1998 წ.

ვ. კაკაბაძე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. თბილისი, 2000 წ.

ვ. კაკაბაძე, დიპლომატის ცნობარი. თბილისი, 2000 წ.

საქ. სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი
საქართველო ციფრებში 1989 წ. თბ., 1990 წ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი..... 7

I თავი

საქართველოს საგარეო ვაჭრობის საწყისი და ადრეული სტადია 10

მსოფლიო საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა 18

ძველი მსოფლიოს საგარეო ვაჭრობის მოკლე ისტორია20

საინფორმაციო გვერდი 37

II თავი

საქართველოს საგარეო ვაჭრობის გვიანდელი სტადია..... 40

მსოფლიო საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა (I-XVIII სს)..... 50

I–XVIII სს-ის მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მოკლე ისტორია 51

საინფორმაციო გვერდი 65

III თავი

საქართველოს საგარეო ვაჭრობის თანამედროვე სტადია.

1. XIX-XX სს-ში საქართველოს საგარეო ვაჭრობა...69

2.90-იანი წლების საქართველოს საგარეო ვაჭრობის ტენდენციები 76

თანამედროვე მსოფლიოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა..... 99

მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაცია 102

დიდი აბრეშუმის სავაჭრო გზა 107

საინფორმაციო გვერდი 112

ლიტერატურა 114

ვაჟა კაკაბაძე

საგარეო ვაჭრობის ისტორია და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური ასპექტები

რედაქტორი: ნანა მაისურაძე
მხატვარი: მარიამ კაკაბაძე
რეცენზეტები: იოსებ არჩვაძე
ბესიკ ლორთქიფანიძე
ლალი ბერძენიშვილი
ირინა ზედგენიძე

გამომცემლობა თბილისი 2000 წ.